

არდაშეღ თაქთირიძე

იტალიური ეზო

თბილისი
2016

© არდაშელ თაქთირიძე, 2016

© ელენე ახვლედიანი (ყდა)

© ემზარ ხაბულიანი (ყდა)

ISBN 978-9941-0-9040-0

თანამედროვე ქართულ მწერლობას შეემატა ნოველების ახალი კრებული, რომლის ავტორიც მკითხველის წინაშე წარსდგა ფსევდონიმით - არდაშელ თაქთირიძე. წიგნში განცხადებულია მწერლის ლიტერატურული ფილოსოფიურ-ესთეტიკური მრწამსი და მოქალაქეობრივი პოზიციის მთლიანობა. გამჟღავნებულია ავტორის პიროვნული თვისებები, ფსიქოლოგიური ნიჭი, რომელთა შორის განსაკუთრებით იკვეთება მოყვასის სიყვარული, ავტორის ერუდიცია, სიღრმისეული ცოდნა ისტორიისა და მითოლოგიის სფეროში.

არდაშელი უიმვიათესი ოსტატობით ახერხებს დავინწყებას მიცემული ადამიანების გაცოცხლებას („წიზელი“, „ბორკილები“, „მელიკო“).

კითხულობ მათი ცხოვრების ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებას და მაშინვე შენთვის უცნობი ადამიანების თანამზრახველი და ჭირისუფალი ხდები.

არდაშელის ყველა ნოველა გრძნობების საშუალებით მოქმედებს. მასში აღწერილი ემოციები დამაჯერებლობითაა მიტანილი მკითხველამდე. ავტორი ჩვეული ოსტატობით ახერხებს მკითხველს განაცდევინოს და აგრძნობინოს ის, რასაც უყვება.

აღსანიშნავია ის, რომ მწერალს თავის ნოველებში რეალურად არსებული პიროვნებები ჰყავს გაცოცხლებული თავისი ტკივილებითა და განცდებით.

წიგნში შეტანილი ნოველები იმდენ საფიქრალს უტოვებს მკითხველს, სიცოცხლის ბოლომდე არ შორდება მის მეხსიერებას, რადგანაც ყოველი ადამიანისათვის საკუთარი სულიც კი გამოცანას წარმოადგენს.

საყურადღებოა არდაშელის ნოველა „ნადარბაზევის ტბა“, რომელშიც ერთმანეთში გადაჯაჭვულია ორი სიუჟეტი-სიყვარულის აღქმის განსხვავებული ინტერპრეტაციით.

მზია და ბადრი ერთმანეთთან მტრად მოკიდებული ოჯახის

წევრები არიან. ძლიერია მათი გრძნობა, მაგრამ დიდმა სიყვარულ-
მაც ვერ ამოძიკვა ორ ოჯახს შორის არსებული შუღლი. პირიქით,
უფრო დაძაბა სიტუაცია და ადამიანთა მსხვერპლიც მოიტანა.

დასაფიქრებელია სიუჟეტის ფინალი.

„...რომ გაეღვიძათ, ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო. მინდორი,
სადაც გაიცნეს ერთმანეთი და სადაც ხელჩაკიდებული დადიოდნენ,
გვამებით იყო მოფენილი. ერთმანეთს თვალებში ჩახედეს - სამშობ-
ლოსთან დადებული ფიცი ერთმანეთის მტრობას აიძულებდა, თი-
ვის ზვინში დადებული ფიცი კი - სამუდამო სიყვარულს“. ვერ გა-
ტეხეს ფიცი.

„იმ მთაზე ავიდნენ, დაღამდა. მთის იქიდან ბადრი მთვარე ამოვი-
და და არემარე მზესავით გაანათა. ასე იდგნენ ერთხანს ხელჩაკიდე-
ბულები, მერე თითქოს ნიშანი მისცესო... ფრთებგაშლილი ანგელო-
ზებივით გადმოფრინდნენ, მთვარის შუქით განათებულები“

ეს არის წყვილის სიყვარულის ტრაგიკული, მაგრამ ამაღლებული
დასასრული.

მოთხრობის მეორე სიუჟეტში ჩნდება სამსონი - კეთილშობილი,
ბრძენი ადამიანი, მაგრამ საჭურისი. ერთი შეხედვით, მორწმუნე და
კაცთმოყვარე სამსონი, რომელიც უარს აცხადებს ჯერარშობილი
ბავშვის მოშობაზე, ბოლოს ვერ ერევა საკუთარ ეგოიზმს და შვი-
ლობილს საკუთარი ხელით ასალმებს წუთისოფელს.

მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდება. მწერალი ჩვეული ოს-
ტატობით ახერხებს მკითხველის სულის აფორიაქებას და სამსონის
ტკივილის გააზრებას.

„...ხარხარის ხმა გაიგონეს და გარეთ გამოცვივდნენ. მთის იქი-
დან ბადრი მთვარე ამოსულიყო და არემარეს მზესავით ანათრბდა,
რომელსაც გამუდმებით შეჰყმოდა მგელი“.

მოთხრობა სრულდება ბოროტებაზე ქვეშარტი, უხინჯო სი-
ყვარულის გამარჯვებით. მგლის ყმუილის ფონზე „მთვარით გა-
ნათებულ მთის წვერზე კი გადმოსაფრენად გამზადებული, ხელ-
ჩაკიდებული ბიჭისა და გოგოს სილუეტები გამოისახა“.

არდაშელის შემოქმედებაში იგრძნობა ავტორის მიერ ისტო-
რიისა და მითოლოგიის სიღრმისეული ცოდნა. აღნიშნული ცოდნის

რეალობაში გადმოტანის საუკეთესო ნიმუშია ნოველა „იბერიის გაბრწყინება“, რომელშიც დინამიურადაა გადმოცემული გაცისა და გაიმის კერპების მსხვრევა და მისი არმაზის კერპით ჩანაცვლება, იგივე ძალაუფლებით, ისეთივე ძალადობით. მაგრამ მთავარი ეს არაა. ნოველის ღირსება - მისი ოპტიმისტურ ნოტაზე დასრულებაა.

„ერთ მხარეს დგანან: ეგვიპტურ კაბით გოლიათი არმაზ შემართული ხმლით,... და მის პირისპირ პატარა გოგო ვაზის ჯვრით ხელში, თმებით გასკვნილი, უბრალოება და სისადავე, ვით თავად ღმერთი, ძე ღვთისა, ჩასახული სულიწმინდისგან“.

ყურადღებიანი მკითხველი აღნიშნულ ნოველაში რეალობას ამოიცნობს, გაჟღენთილს ოპტიმიზმით.

ფსიქოლოგიის ფუნდამენტალური ცოდნა იკვეთება ნოველა „ლატში“, რომლის პერსონაჟების ხასიათებში კარგად ჩანს რასიომონის ეფექტის პრინციპი.

არდაშელის ნოველებში, ერთი შეხედვით, უბრალო ამბებია მოთხრობილი. მაგრამ არის კი უბრალო? ეს თავად მკითხველმა განსაჯოს.

ლალი მუკინაშვილი

ფილოლოგი

იტალიური ეზო

ოთხივე მხრიდან სხვადასხვა ასაკის, სიმაღლისა და პროექტის, უფრო კი, უპროექტო სახლებით შემოსაზღვრული ეზო, ქუჩიდან თალიანი შესასვლელით, სართულზე თითო ტუალეტით, ეზოს ცენტრში საერთო წყლის ონკანით, ერთი გიჟით, ერთი ლოთით, ერთი ბოზით, დახვეული კიბეებით, შუშებჩამტვრეული შუშაბანდებითა და რიკულებდაბრეცილი აივნებით, თბილისის ძველი უბნის – ჩუღურეთის სავიზიტო ბარათი გახლდათ.

– დან, დან, დან! – სისხამ დილით ნაგვის მანქანის ჩამოდგომას ამცნობდა ძარაზე ამალღებული ჟორა მენაგვე დიასახლისებს და აკრობატის მოქნილობით ართმევდა რიგში ჩამდგარ, ღამის პერანგზე ხალათგადაცმულ, პირდაუბანელ ქალებს ნაგვის ვედროებს.

– მანონი! – დაიძახებდა დილის სიფთაზე მემანვნე ვანო.

– Яйца, яйца! – ბანს მოსძახებდა მეკვერცხე ანდრო.

– Зелень, лук, цыцмати, зелень! – დაიკნავლებდა თათრის ქალი, ბაჯის რომ ეძახდნენ.

– Точить ножи, ножницы! – შემოგვძახებდა მხარზე სალესნამოკიდებული, შუა ეზოში გაბოტილი მლესავი.

– Бати-бути на бутылки! – უხმობდა ბავშვებს გუდანამოკიდებული მებატიბუტე.

– აბა, „პლომბირი მააროჟნი“! – დაასრულებდა დილის ეპოპეას „მემაროჟნე“ ჩერქეზა.

– ვაშა, ჩერქეზა მოვიდაო! – გიჟდებოდნენ ბავშვები ნაცნობი ხმის გაგონებაზე.

– ამ შობელძაღლებს ჩვენზე მეტად ჩერქეზა უყვართო! – ეჭვიანობდნენ მშობლები.

* * *

ავთო ხელაძე მეორე სართულის შუშაბანდიან ბინაში ცხოვრობდა. ტანად საშუალო სიმაღლის იყო, დაკუნთული, აი, ისეთი, შარვალს 36 ზომას რომ იცვამენ და პიჯაკს 56 ზომას. ლამაზზე უფრო, სანდომიანი სახე ჰქონდა, ნიკაპზე დახრილი ნაიარევით.

ოქტომბრის რაიონის აღმასკომში მუშაობდა მაღალ თანამდებობაზე, ბინაც მისცეს რაიკომის გვერდით, ხეთაგუროვის ქუჩაზე, მაგრამ მაინც მშობლიურ სახლში ერჩინა ცხოვრება. ცოლი და ორი ბიჭი ჰყავდა და, კიდეც, ლოგინად ჩავარდნილი დედა, რომელიც ბავშვებს ნანახი არ გვყავდა. უფროსები ამბობდნენ - კარგი ქალიაო. ბავშვებს სკოლაში მიმავლებს თუ შეხვდებოდი, ან სკოლიდან მომავლებს, თორემ დედამისი ეზოში სათამაშოდ არ უშვებდა, გაკვეთილები ისწავლეთო!

მადლიანი კაცი იყო ავთო, მისი შემწეობით ჩვენს ქუჩაზე ქურთების უბნიდან წამოსული ნიაღვრისგან აყრილ ასფალტს ორ დღეში აგებდნენ. პენსიის დანიშვნაზეც ავთოს აწუხებდნენ მეზობლები. ეზოში მუდამ იყო რაიკომიდან გამოგზავნილი, მეორე სართულის კიბის თავზე დამაგრებული, ახალთახალი კალათბურთის ფარი, ერთი კალათბურთის და ერთიც ფეხბურთის ბურთი.

უყვარდა ავთო ყველა მეზობელს, „სვავის“ გარდა...

* * *

ეზოში შემოსასვლელი თალის მარცხნივ, ოთხ კვადრატულ მეტრ ოთახში ცხოვრობდა მარინა. მისი კარი თაღში გამოდიოდა და ამიტომ ვერავინ ხედავდა საღამოს „სამუშაოზე“ წასულ და დილით ადრე დაბრუნებულ ფეხარეულ, ნაბახუსევ მარინას. სამაგიეროდ, შუადღით, გამოფხიზლებულზე გამოვიდოდა, გადააჯდებოდა შუა ეზოში ონკანს და ყველას დასანახად, ცივი წყლით იხაჩხაჩებდა გენიტალიებს. აღშფოთებული მშობლები კიოდნენ და ბავშვებს თვალეზე ხელს გვაფარებდნენ. მარინა

კი, კისკისით აგრძელებდა ჩაბანვას და – როდესაც ხომ მაინც ნახავენო?! – თავს იმართლებდა. ერთხელ ეზოს ბავშვებს გასაბერი ბუშტები დაგვირიგა. გავბერეთ, რატომღაც ყველა თეთრი ფერის იყო. სალამოს სამსახურიდან დაბრუნებულმა მამაჩემმა რომ დაინახა, გადაირია. მარინას მიუვარდა – ბავშვებისთვის ეს რა მიგიციანო?!

– ნუ გეშინია, უხმარი იყო! – დაამშვიდა მარინამ.

ადრე გაათხოვეს. ქმარი ჯიბის ქურდი გამოდგა და მალევე დაიჭირეს, მერე გამოვიდა, მერე ისევ დაიჭირეს. ბავშვი არ ეყოლა. როგორღაც ხომ უნდა ეარსება, ჰოდა ხელი მიჰყო უძველეს პროფესიას. ერთ ოქროს წესს იცავდა, მეზობლის კაცებს არ იკარებდა. ეს იცოდნენ ეზოს ქალებმა და დამშვიდებულები უტოვებდნენ გრიპიან ან წელკავიან ქმრებს მოსავლელად მარინას. გულკეთილი იყო მარინა, მეზობელს დახმარებაზე უარს როგორ ეტყოდა? დასტრიალებდა სხვის ქმრებს და ყველა სურვილს უსრულებდა, იმ ერთის გარდა.

უყვარდა მარინა ყველას, „სვავის“ გარდა, უიმისოდ ეზო ვერ წარმოედგინათ...

* * *

მესამე სართულზე, აიენიან ბინაში ცხოვრობდა მამა მარკოზი, იგივე არსენ სოხაძე.

მიუხედავად იმისა, რომ მიუღებელი ცხოვრების წესის გამო, ეკლესიამ მოკვეთა და მღვდელმსახურება აუკრძალა, ანაფორა მაინც არ გაიხადა და კანტიკუნტად მოხეტებულ, მისი მაღალფარდოვანი ქადაგებით გონებადაბინდულ მრევლს აღსარების ჩასაბარებლად ბინაში იღებდა. გადააფარებდა თავზე ოლარის მაგივრად პირსახოცს და დაუსვამდა შეკითხვებს:

– ქალწული ხარ, შვილოო?

– არა მამაო, „ღრიანკალიო“!

– ზოდიაქოს კი არ გეკითხები, ქალიშვილი ხარო?

– არა მამაო, შემაცდინესო!

– ხო, მძიმე ცოდვავა, ოცი მანეთი დატოვე და ვილოცებ შენი სულისთვისო!

ან კიდევ:

– მიშველე მამაო, ნარკომანი ვარო!

– ეს ლოცვა წაიკითხე და გადაგდებაში დაგეხმარებაო!

– არა მამაო, გადაგდება არ მინდაო!

– მაშ რატომ მოხვედიო?

– წამალი მიკურთხე, თორემ სული დამძიმებული მაქვსო!

მოხუცი იყო მამა მარკოზი. ორ მეტრამდე აწონილ, ძვალზე გადაკრულ დამჭკნარ ტყავზე სიბერის ლაქები დამჩნეოდა. გრძელი სახე ჰქონდა, გრძელი ცხვირით, გაშვერილი ნიკაპითა და სიფრიფანა ტუჩებით. ლაპარაკი უყვარდა, ხმა საიდანლაც, გვამიდან ამოსდიოდა, თითქოს აკლდამიდან მიცვალებულის სული გელაპარაკებო. თუ გამოგიჭერდა, ორი დღე შეეძლო, დაუღალავად ელაპარაკა. საშინელ ამბებს ყვებოდა, ყველაფერს მესამე პირში, მაგრამ ისე დანვრილებით, რომ უეჭველად თვითონ იყო მონანილე. მარჯვენა ხელზე შუათითი აკლდა. ამბობდნენ, ყაჩაღების ბანდის წევრი იყო, მაგან გასცა, ყველა დაიჭირეს და მაგას ციხეში თითი მოაჭრესო. ყველა დახვრიტეს მაგის გარდა, ეგ ცოტა ხანში გამოუშვეს, მოინანია და ეკლესიას შეაფარა თავიო.

„ბორჯომის რაიონში დათარეშობდა ყაჩაღების ბანდა, ბოგვერაძე, თაფულაშვილი და კიდევ ერთი თათარი იყვნენ მეთაურები – თავისი აივნიდან გადმომდგარი უყვებოდა ეზოში შეკრებილ მეზობლებს. – თოთხმეტი წლის კომკავშირელი ბიჭი წაიყვანეს და სოფელში ერთ შეძლებულ ოჯახში შეუშვეს. იმათ მეზობლის ბიჭს გაუღეს კარები, ესენი შეცვივდნენ და მამას და ორ შვილს იარაღი მიადეს. ერთმა შვილმა მეორეს თვალით რალაცა ანიშნა. მამამისმა დაინახა და დაუშვი თოფიო, – უბრძანა ყაჩაღს, ისიც დაემორჩილა. მივიდა კომოდთან, გამოაღო უჯრა, ამოიღო იქიდან „ბრაუნინგი“ და ყაჩაღს გადასცა. გამოიტანა 450

თუმანი ფული – ამის მეტი არ მაქვსო. ისე ვაჟკაცურად მოიქცა, ყაჩაღებმა 50 თუმანი დაუბრუნეს, ცოტა ხანს იმყოფინებო! ამით შვილები შარს გადაარჩინა და ოჯახი ანიოკებას. მერე ეს ბანდა ტყით ხარაგაულის რაიონის სოფელ ნუნისში გადავიდა. ღამე ერთ სახლს მიადგნენ, კარები გაგვიღეო! კაცმა გამოსძახა

– ქალები არიან სახლში და ხვალ დილით მოდიო!

– სახლში როგორ არ გვიშვებო! – გაექანა თათარი და თავით ფანჯარა ჩაუმტვრია. სახლის პატრონი ხმლით ხელში ელოდებოდა, მოუქნია, მაგრამ ხმალი ფანჯრის ჩარჩოს წამოედო და გადატყდა. ხმლის ნატეხი ჩამოუსვა იმ თათარს თავზე და დაჭრა. შეცვივდნენ სახლში, ცოლ-ქმარი დახოცეს, თოთხმეტი წლის გოგო თან წაიყვანეს. სარეცხს არეცხინებდნენ, საჭმელს აკეთებინებდნენ, თან სროლაში ავარჯიშებდნენ. სურამის უღელტეხილზე რომ გადადიოდნენ, ღამის გასათევად ერთ ადგილზე გაჩერდნენ. მწყემსებმა ჩამოიარეს და ერთ-ერთს გოგომ გადაულაპარაკა, მიშველე, მოტაცებული ვარო. რომ დაიძინეს, იმ მწყემსმა სცადა გოგოს გაპარება, მაგრამ ყაჩაღებმა გაიგეს, მწყემსი მოკლეს, გოგო გააუპატიურეს, მოკლეს და პატარა კომკავშირელ ბიჭს დაამარხვინესო“...

კარგი მოყოლა იცოდა მამა მარკოზმა, ორჯერ ერთსა და იმავეს არ გაიმეორებდა. უყვარდათ მისი მოსმენა მეზობლებს, „სვავის“ გარდა...

* * *

კოტე შერმადინი ჩვენი მოპირდაპირე სახლის მესამე სართულზე ცხოვრობდა, დიდშუშაბანდიან ბინაში. პენსიონერი იყო, დაბალი, მსუქანი, კეთილი, ყელის გარშემო სამფენოვანი ლაბაბით – ისეთი, მოფერება რომ მოგინდებოდა. ეზოში მუდამ ზოლიანი პიჟამათი გამოდიოდა.

წლების განმავლობაში კიროვის ქარხნის დირექტორად უმუშავია. ერთი შვილი ჰყავდა, რუსეთის ქალაქ ლიპეცკში ცხოვ-

რობდა. იქაური ცოლი მოიყვანა და ერთი შვილი შეეძინა – პაპის მოსახელე კოტიკა, რომელიც მხოლოდ ერთხელ, ზაფხულის არდადეგებზე ჰყავდათ თბილისში ჩამოყვანილი.

ბატონი კოტე ეზოს სული და გული იყო. კვირა ისე არ გავიდოდა, ქეიფი არ გადაეხადა: ზაფხულში ეზოში, ხინკლითა და ლუდით, ზამთარში, შუშაბანდში – მწვადითა და ღვინით. რა თქმა უნდა, მთელი ეზო დაპატიჟებულები ვიყავით, „სვავის“ გარდა.

დიდი ხვენწისა და მუდარის შემდეგ ავთო თამაღობაზე გვთანხმდებოდა. მამა მარკოზი სუფრას აკურთხებდა, მარხვის დღეებში საათის დღეების მაჩვენებელს ხსნილზე გადაიყვანდა და ღორის ცვრიან მწვადებს ორივე ყბით აბუქსავებდა. სადღეგრძელოები სადღეგრძელოებს მოჰყვებოდა. მამაკაცებს მხოლოდ მარინასთან ჰქონდათ ბლლარძუნის უფლება, ქმრებს ცოლებიც აგულიანებდნენ და იყო ხორხოცი, გნასი. ყველა ხარობდა, „სვავის“ გარდა...

* * *

ორ, ერთმანეთს დაშორებულ წვრილ ფეხებზე დახრილად დადებული ძვლების ტომრიდან ამოზრდილ, უსაშველოდ გრძელ, გაღინდლულ კისერზე დადგმული პატარა თავით, ნისკარტივით ცხვირით, უტუჩებო პირითა და ახლო-ახლო თვალებით, თამაზ კარიაული მართლაც მოგაგონებდათ მტაცებელ ფრინველს. წელში მოხრილი, ხელებს, შეკეცილი ფრთებივით, ზურგზე შემოიწყობდა და ისე დადიოდა. შემოხედვა იცოდა, რენტგენის აპარატში გაგატარებდა. მარტო გარეგნობის გამო კი არა, იმიტაც, რომ თავისი კეთილდღეობისთვის შეეძლო, სხვა მოესპო და მისი ლეში ეჭამა, მეზობლებმა ბატონი კოტეს მიერ შერქმეული მეტსახელი – „სვავი“, ერთხმად აიტაცეს.

ბოროტი კაცი იყო „სვავი“, დაუნდობელი, დამსმენი. ყველას ეჯავრებოდა. ამბობდნენ, ისეა განაფული „ანონიმკების“ წერაში, რომ მარცხენა ხელით უკეთესად წერს, ვიდრე მარჯვენათიო.

ჯერ იყო და, გივი ჯინჯიხაშვილი დააჭერინა – სანერკალმების „ცეხი“ აქესო. ბატონ კოტეს თავისი თვალით უნახავს მაგის განცხადება. მერე ლოთი არმენას შვილი – რაფიკა დააბეზლა, მეზობელს თოკიდან სარეცხი მოპარაო. სანყალი ანზორა ზალ-დასტანიშვილი თერთმეტწლიან „სროკზე“ გაუშვა – „ლევი“ კარაქის ტალონები დაბეჭდაო.

შემოვიდოდა ეზოში მოღუნული, ზურგზე შემონყობილ ხელელებში ჩაბლუჯულ ბაზრის „სეტკაში“ ფეხებშუა მოქანავე შავი პურით, სალამს არავის ეტყოდა, თავს არ ასწევდა, ისე ავიდოდა კიბეებზე. შეიკეტებოდა სხვენში, თავის ერთოთახიან სოროში და სამტრედეში ჩასმული ერთადერთი ფანჯრიდან გამჭოლ მზერას მოავლებდა ეზოს. მასთან ბინაში არავინ იყო ნამყოფი, არც ის ანუხებდა ვინმეს სტუმრობით. მარტოხელა იყო, ცოლი არასდროს ჰყოლია, ან ვინ გაჰყვებოდა?!

მერვე კლასში რომ გადავედი, მამამ ფოტოაპარატი მაჩუქა. ვაჩხაკუნებდი ფოტოაპარატს, ვულებდი ყველას და ყველაფერს. ქუჩიდან ეზოში შემოსულ „სვავსაც“ შევთავაზე – სურათს გადაგიღებო! ჯერ შეცბა, მერე წელში გასწორდა, თავი ასწია, გაღიმება სცადა. დავბეჭდე სურათი, დავხედე, სურათიდან ნამდვილი სვავი შემომცქეროდა, ლეშით დანაყრებული, მსუნაგი თვალეებით. გულისრევის გრძობა დამეუფლა, ვეღარ გავუძელი, ჯერ დახევა გადავწყვიტე, მერე გადავიფიქრე, რომელიღაც ყუთში ჩავაგდე და დავივიწყე.

ჯონჯოლივით კაცი იყო „სვავი“ – თუ არ დაინახავდი, არ გაგახსენდებოდა. ჰოდა, დამპალი მძორის სუნი რომ დადგა, „სვავი“ არც გაგვხსენებია. გვეგონა, ეზოში სადღაც ძალლი ან კატა მოკვდა. ყნოსვით დავიწყეთ ძებნა და სხვენში მის ბინას მივადექით. მოვიდა მილიცია, სასწრაფო, ტომარაში გამოკრეს და ისე ჩადეს სასწრაფოს მანქანაში.

ცოცხალი ხომ ჰაერს აფუჭებდა, მკვდარიც ჰაერს აფუჭებსო! – იხუმრა ბატონმა კოტემ...

* * *

გავიდა წლები, წავიდნენ კომუნისტები, მოვიდნენ ეროვნულე-
ბი, გამოიტანეს უშიშროების არქივები, რაც არ აწყობდათ,
დანვეს, რაც აწყობდათ, ქუჩაში მიმოფანტეს...

ერთ სუფრაზე მოვხვდი, შუახნის კაცის გვერდით.

– საიდანღაც მეცნობი, სად ცხოვრობო?

– საბურთალოზე ვცხოვრობო! – ვუპასუხე მე.

– ადრე სად ცხოვრობდიო?

– ბოჭორიძის 23-შიო!

– ხო, უშიშროებაში რომ ვმუშაობდი, მაგ ეზოს მე ვკურირებ-
დიო!

– ალბათ თამაზ კარიაული ყველაფერს გიკაკლავდაო?!

– რას ამბობ, ჩემი მანდ მუშაობის პერიოდში, ერთადერთი ეგ
იყო, რომელიც ვერაფრით დავითანხმე თანამშრომლობაზეო!

– როგორ, მაშ აგენტი ეგ არ იყოო?

– ეგ აგენტი რომ ყოფილიყო, სხვენში იცხოვრებდაო?

– მერე ამხელა ზიზღს როგორ უძლებდაო?

– ყველას თავისი ხვედრი აქვს, სამაგიეროდ, ნამდვილი აგენ-
ტი იმსახურებდა საყოველთაო სიყვარულსო!

სუფრიდან გულდამძიმებული მივედი სახლში, ჩემი კარადის
უჯრაში, შოკოლადის ასორტის ყუთში ვიპოვნე „სვავის“ სურათი.
დავხედე და გავშეშდი – სანდომიანი სახის მოხუცი ნაღვლიანი
თვალებით შემომცქეროდა.



მელიკო

ყოველ დილით, შავებში ჩაცმული მოხუცი ჩია ქალი, კეფაზე დახვეული თეთრი თმით, სქელი ლინზებიანი სათვალით, პროთეზით, ლაპარაკის დროს პირიდან რომ უვარდებოდა, „ბაზრის სექტაში“ ჩალაგებული არაყნით, ხაჭოთი და პურით, დაბრეცილქუსლებიანი ფეხსაცმლით აბაკუნდებოდა ჩვენ ზემოთ, მესამე სართულზე, პაპიდა თამარასთან და მეთათსედ ეკითხებოდა:

- თამარა, სად ცხოვრობს ჩემი ვასიკო?

* * *

ვასიკო მელიკო და გივი ჩიკვაძეების დედისერთა შვილი იყო. უკვე 32 წელი შესრულებოდა, მაგრამ დაოჯახებას ჯერ არ ფიქრობდა, რასაც მშობლები ძალიან განიცდიდნენ. ხან ვის ურიგებდნენ და ხან ვის, მაგრამ გაცნობა მუდმივად კრახით მთავრდებოდა: ზოგის სახე არ მოსწონდა, ზოგის - ტანი, ზოგს ფეხები არ უვარგოდა და ზოგსაც - მანერები.

კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა ლაბორატორიის უფროსად. კარგი რეპუტაციით სარგებლობდა. სამსახურიდან ორჯერ იყო უცხოეთში ნამყოფი - ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამიტომ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მივლინებით გასაგზავნ ერთ ადგილზე მისი კანდიდატურა ერთხმად მოიწონეს.

წავიდა ვასიკო მივლინებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ელოდა დედ-მამა შვილის დაბრუნებას. არ დაბრუნდა. შეძრეს მთელი ქვეყანა, მოსკოვამდე ჩავიდნენ, მაგრამ ვერ მიაგნეს. მამა

დაიბარეს უშიშროებაში.

- შენი შვილი გარდაიცვალაო! - მოახსენეს. ჩაიცვა დედ-მამამ შავები. დაიტირეს შვილი უცხედროდ. მიჰყვა შვილს მამაც წლისთავზე. დარჩა მელიკო მარტო. ქმრის საფლავზე მიდიოდა და იქ დასტიროდა ქმარ-შვილს. ასე გავიდა 14 წელი.

* * *

პაპიდაჩემი, თამარა ციციშვილი, 1919 წელს პარიზში წავიდა სასწავლებლად. საქართველოს გასაბჭოებისას, 1921 წელს, სორბონას უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ქართველ ემიგრანტზე გათხოვდა და იქ დარჩა. 60 წელი იცხოვრა პარიზში, ფრანგულ ენას ასწავლიდა უნივერსიტეტში. შვილი არ ეყოლა. სიბერეში მეუღლე გარდაეცვალა. იმ პერიოდში კანტიკუნტად დაიწყეს ჩამოსვლა ემიგრანტებმა, ვისაც კონტრრევოლუციაში არ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. პაპიდამაც ჩაალაგა ჩემოდანი და ჩამოვიდა ძმასთან საქართველოში. პაპაჩემმა ერთი ოთახი გამოუყო საგვარეულო სახლის მესამე სართულზე.

ერთხელ პაპიდამ დამიძახა:

- პატარა ბიჭო, ჩემთან შემოდიო! - და ფურცელზე მისამართი დამიწერა, - ამ მისამართზე მელიკო იკითხე და ჩემთან მოიყვანე, აუცილებელი საქმე მაქვსო!

წავედი, ვიპოვე მელიკო და გადავეცი დანაბარები.

- ვინ არისო? - მკითხა მელიკომ.

- ჩემი „ფრანცუჟენკა“ პაპიდააო! - ვუპასუხე. სირბილით წამომყვა. ჩვენს ეზოში მოვიყვანე, მესამე სართულზე ავირბინეთ და პაპიდას ოთახში შევეყვი.

- საქართველოში წამოსვლის წინ შენი ბიჭი, ვასიკო, შემხვდა და შენთან მოკითხვა დამაბარა, ოღონდ, არავის უთხრაო! - პირდაპირ მიახალა პაპიდამ. ხელის შეშველება ვერ მოვასწარი, მელიკო მოწყვეტით დაეცა იატაკზე. მეორე სართულზე ჩავირ-

ბინე, ნიშადურის სპირტი ამოვიტანე, ცხვირთან მივუტანე და მოვასულიერე.

* * *

- თამარა, სად ცხოვრობს ჩემი ვასიკო? - ყოველდღე ეკითხებოდა მელიკო.

- გერმანიაში, მელიკო, მიუნხენშიო! - ყოველდღე პასუხობდა პაპიდა თამარა.

- როგორ გაიგო, რომ მოდიოდით?

- მიუნხენში მეგობარი მყავს და იმან უთხრაო!

- პარიზში ჩამოვიდა და ჩემი მისამართი მოგცაო?

- ხო, მელიკო, მისამართი მომცაო!

- ენაცვალოს დედა, ისევ ასეთი ქოჩორი აქვსო? - ჩანთიდან სურათს ამოიღებდა და აჩვენებდა.

- არა, მელოტია, თმები აღარ აქვსო!

- კიდევ მომიყევი ვასიკოზე რამეო!

- დავოჯახდი, ცოლი და ორი შვილი მყავსო!

- არ ჩამოვალო?

- აქ რალაც შემეშალა, ახლა რომ ჩამოვიდე, დამიჭერენ, მოვადრო და აუცილებლად ჩამოვალო!

- დედა ენაცვალოს, კიდევ რა გითხრაო?

- ო, ლა-ლაო! - უპასუხებდა გაბეზრებული პაპიდა თამარა. მელიკო თავს ჩალუნავდა, მერე თითქოს ოცნებიდან გამოერკვაო, მიდგებ-მოდგებოდა, ბინას დაულაგებდა და მიდიოდა. შემდეგ დილას ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. რამდენჯერმე პაპიდამ გააგდო:

- მეორედ აქ აღარ მოხვიდეთ! - მაგრამ დილით ისევ მობაკუნდებოდა.

* * *

ეზოში ბურთს ვთამაშობდი, პაპიდამ რომ გადმომძახა:

- ერთი კვირაა, მელიკო არ გამოჩენილა, შვილმა მოსწერა, უნდა ჩამოსულიყო რამდენიმე დღით. ნადი, გაიგე რა ხდებაო! - მივედი მის ეზოში. მელიკოს ბინა დაკეტილი დამხვდა, მეზობელს დავუკაკუნე.

- შვილის ჩამოსვლის დღეს ძალიან ინერვიულა, სამშაბათს დავასაფლავეთ მელიკოო! - მითხრა მეზობელმა.



ჩიტი

- კაი ბატონებო!
- კეთილი ბატონებო!
- სახე არ მოიქავო, თორემ დაგემჩნევას!
- რომ მექავებაო?!
- არ მოიქავო და ამბავს მოგიყვებით:
- იყო, და არა იყო რა, იყო ერთი ჩიტიო!

* * *

ერთხელ, ერთმა სანყალმა კაცმა მოქანდაკეობა გადანყვიტა. შეაგროვა ფული, იყიდა თაბაშირი, შეკრა რკინის კონსტრუქცია და დაიწყო ძერნვა. ძერნა და ძერნა, ძერნა და ძერნა, ბევრი ძერნა თუ ცოტა ძერნა, ქანდაკება გამოძერნა. თვითონ მოენონა. ახლობელს აჩვენა. ახლობელმა:

– ხა-ხა-ხა, ეს რა გამოქიგანდაკებიაო, შენი მოქანდაკეობა ვის გაუგონიაო?!

– ამას აღარ ვაჩვენებ, შურიანი ყოფილაო! – მაინც კიდევ ერთხელ შეათვალიერა. რაღაც არ მოენონა, ჩაასწორა. სხვას აჩვენა. იმ სხვამ:

– პროპორციები არ მომწონსო!

– ესეც შურიანი რომ იყო, ხომ ვიცოდი, რას ვაჩვენებდიო?! – მაინც შეამონმა, პროპორციები შეასწორა. მოენონა. ახლა სხვას აჩვენა.

– არა უშავს, მაგრამ, დასახვენიაო! – უთხრა იმ სხვამ.

– აღარც ამას ვაჩვენებო! – მაინც შეათვალიერა, დეტალები დახვენა. გამოფენაზე დადო. ხალხმა მოინონა. კარგი გამოხმაურება მიიღო.

* * *

– ხოდა, ეს ჩიტი ზამთარში მავთულზე იჯდა და სიცივისგან იყინებოდა. დაუბერა ძლიერმა ქარმა, ჩიტმა გასაფრენად ფრთები ველარ გაშალა. ძირს ჩამოვარდა, თოვლში ჩავარდა და გაიყინა. ამ დროს გამოიარა ძროხამ. ჩიტი ვერც კი შეამჩნია, ისე დაანეხვა ზემოდან. გათბა ჩიტი და გამოცოცხლდაო.

აქედან მორალი პირველი:

– ვინც თავზე გიშვრება, ყველა მტერი არ არისო!

* * *

მიეცა იმ კაცს ძერწვის ხალისი. ძერწა და ძერწა, ძერწა და ძერწა, ბევრი ძერწა თუ ცოტა ძერწა, მეორე ქანდაკება გამოძერწა. ერთ კარგ კაცს აჩვენა, ვისაც არ შეშურდებოდა.

– აი, ეს არის ხელოვნებაო! – შეაქო იმ კაცმა.

– ძლივს არ ვნახე კარგი შემფასებელიო?! – გაიხარა მოქანდაკემ. მესამე ქანდაკება გამოძერწა, აჩვენა.

– შენ ნამდვილი მოქანდაკე ხარო!

ძერწა და ძერწა, მიაყოლა და მიაყოლა, გული ამოიღო, სული ჩააქსოვა. ...ათი, ოცი, ოცდაათი.

– შენ გენიოსი ხარო, შენი შედეგები ლუვრს უნდა ამშვენებდესო!

– ა, კაციო, რა კარგად ერკვევა ხელოვნებაშიო! – აიღო და პერსონალური გამოფენა მოაწყო. რეცენზიები მიიღო – ერთმანეთზე უარესი. ყველაზე მწარედ ის კაცი დასცინოდა, რომელმაც ქანდაკებები მოუნონა.

* * *

– ჩიტს სიტბო ესიამოვნა, ამოყო ფუნიდან თავი და დაიწყო ჭიკჭიკი. გაიგო ჩიტის ჭიკჭიკი მელიამ, მოცუნცულდა, ამოიყვანა ჩიტი ფუნიდან, გაასუფთავა და შეჭამაო.

აქედან მორალი მეორე:

– ვინც ნაქნარიდან ამოგიყვანს, ყველა მოკეთე არ არისო!

* * *

ჩამოყარა იმ სანყალმა კაცმა ყურები, დანა პირს არ უხსნიდა.

– ეს რა მომივიდაო, თავი შევირცხვინეო. რომელი მიქელანჯელო მე ვიყავი, ამ გაჭირვებაში მაღალი იდეალები რომ მოვინდომეო! ცხოვრებაში აღარაფერს გამოვაქანდაკებო!

* * *

მორალი მესამე და მთავარი:

– ნაქნარში როცა ზიხარ, არ უნდა იჭიკჭიკო!

* * *

თვითონაც არ უნდოდა, თავისით იპოვეს ხელებმა თაბაშირი, თავისით მოზილეს თითებმა ნაზავი. თავისით გამოიძერწა – მავთულზე ჩიტვი.



რიყე

ავტომობილი გლდანის მასივში, „ავერსის“ წინ გააჩერა. ქუჩაზე მოძრაობა შეფერხდა. ავთიაქიდან გამოსულმა ზორბა მამაკაცმა „მერსედესი“ დაქოქა და სადგომიდან გამოიყვანა. სასწრაფოდ შეაყენა მანქანა სადგომზე, თორემ წინ გაჩერებული „ოპელი“ აპირებდა შეძრომას. სავარძელზე მოხერხებულად მოკალათდა. უკანა ხედვის სარკე მიიტრიალა და პიჯაკის საყელო გაისწორა. სახლიდან რომ გამოვა, მივა და ჰკითხავს:

– ლიკა, მზესუმზირა არ გინდაო?

– ზურიკო, შენ აქ რა გინდაო? – უპასუხებს გაკვირვებული ლიკა. მერე იქვე, ბაღში გადაირბენენ და სკამზე ჩამოსხდებიან. არა, მანქანაში ჩაისვამს და რიყეზე გავლენ. რამდენი რამ აქვთ ერთმანეთისთვის მოსაყოლი...

* * *

მეცხრე კლასის ბოლო მეოთხედში კლასში ურთიერთობები ამერია. უკვე მთელი თვეა, რაც ხმას არავინ მცემდა. ყველაზე ახლო მეგობარიც კი, დილით მალულად მესალმებოდა, სხვებს რომ არ დაენახათ. არ მწყინდა, ესეც დიდი გამბედაობა იყო.

არავინ მერჩოდა, მხოლოდ ვძულდი.

ძველი კლასი უკეთესი იყო, შეკრული, და-ძმასავით ვიყავით ერთმანეთთან. მერე რა, რომ სწავლით არ ბრწყინავდნენ, სამაგიეროდ, სუფთა გული ჰქონდათ.

ეს კლასი ორ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ბანაკს მოგაგონებდათ, მხედარმთავარი გოგოს მეთაურობით, რომელიც, რალაც შარმით, მაგნიტივით იზიდავდა ან განიზიდავდა ბიჭებს. დაბადების დღეზეც მხოლოდ ის ბანაკი მიდიოდა,

რომელსაც იუბილარი განეკუთვნებოდა.

შევცდი, გამოცდილება არ მეყო. იმის მაგივრად, ერთ-ერთს მივკედლებოდი, გადასვლისთანავე ორივე ჯგუფთან მეგობრული დავიჭირე. დაბადების დღეებზეც ორივე ბანაკი მეპატიჟებოდა.

– გამოდი ბიჭო გარეთ, საქმე გვაქვს შენთანო!

პირველად მოხდა, როცა ორივე ბანაკი ერთად იყო შეკრებილი.

– რა ენები დაგაქვს აქეთ-იქითო?

– რა ენები დამაქვსო?

– ორივე მხარეს დაბადების დღეებზე შენ დადიხარ და ჩვენ გვეკითხებიო?

– მე, მე არ...

– რა შენ არა, დაგადგებიან პირზეო!

– რას მიპირებთ, მცემთო? – ძველ კლასში დამნაშავეს სცემდნენ და წყენას ივიწყებდნენ.

– არა, არ გცემთ, არავინ ხმას არ გაგცემსო!

– მცემეთო.

არ მცემეს, შემიძულეს. რა ყოფილა ეს სიძულვილი, მტრებსაც კი აერთიანებს...

ზარი დაირეკა. იმ დღის ჯოჯოხეთი დამთავრდა. ავდექი, ავიღე ჩანთა და კლასიდან გავედი. ზურგში ვიგრძენი ოცდაათი წყვილი, მძულვარებაჩაგუბებული თვალის ჩხვლეტა. სკოლიდან გამოვედი, გადავირბინე საბჭოს ქუჩა, ბაღში, „ხასანას ბაღს“ რომ ვეძახდით, 20 კაპიკად ვიყიდე ორი ჭიქა მზესუმზირა და საბჭოსა და კალინინის ქუჩების გადაკვეთაზე, წვეტიანი შენობის წინ, გაჩერებაზე 7 ნომერ ტრამვაიში ჩავჯექი. ორ გაჩერებაში ხეთაგუროვის ქუჩის ბოლოში ჩამოვედი. სანაპიროთი გავედი რიყეზე და ერთსართულიანი და, იშვიათად, ორსართულიანი სახლების რიგს გავუყევი სტადიონამდე.

ბოლო დროს, რაც კლასში ურთიერთობა დამეძაბა, სკოლის

შემდეგ თითქმის ყოველდღე ჩამოვდიოდი რიყეზე ფეხბურთის სათამაშოდ. თანატოლი ბიჭები ვიკრიბებოდით: მე, მამუკა, თემო, რეზო, ვახო, ალექო, კობა, გია, ვაჟა, რობო, ზაზა. დანარჩენები იშვიათად გამოდიოდნენ, მაგრამ, ხუთი-ხუთზე სათამაშოდ ყოველთვის იყო საკმარისი ხალხი. თუ ბევრნი ვიყავით, რიგრიგობით ვისვენებდით, რომ ყველას გვეთამაშა.

ერთ დღესაც, მეორე ტაიმში კობამ შემცვალა, სტადიონის ბორდიურზე ჩამოვჯექი და მზესუმზირას ვაკნატუნებდი. ჩრდილი დამეცა. მარჯვნივ გავიხედე – შორიახლოს გამხდარი გოგო იდგა. ხელში მოსწავლის ჩანთა ეჭირა, ცხენის კუდად შეკრულ ოქროსფერ თმაზე მოწითალო გადაჰკრავდა, თეთრი კანი ჰქონდა, მაღალი შუბლი, სწორი, პატარა, ნატიფი ცხვირი, ლურჯი თვალები, ბრონეულისფერი ტუჩები; ტანი – თხელი, სიფრიფანა, მოსწავლის მოკლე კაბაზე თეთრი წინსაფარი ეკეთა და მკერდზე კომკავშირელის ნიშანი ჰქონდა დაბნეული.

– შენ ვის „ბალელშჩიკობ“? – ვკითხე.

– მე ვაჟას და ვარო!

– რა გქვიაო?

– ლიკაო. შენო?

– ზურაო!

– ზურიკოო?

– არა, ზურაო!

– რომელ კლასში ხარო?

– მერვეში. შენო?

– მე მეცხრეშიო!

– ლიკა, „სემიჩკა“ არ გინდაო?

– გაქვსო?

ჯიბიდან ერთი მუჭა მზესუმზირა ამოვიღე და ჩავუყარე.

– კარგი, მე წავედიო! თამაშს რომ მორჩება, ჩემს ძმას უთხარი, დედა ეძახისო!

იმ ლამით მესიზმრა, ერთად ვსეირნობდით პლესხანოვზე.

თანაკლასელი ბიჭები მიყურებდნენ და გულზე სკდებოდნენ. დილით ლიკა აღარ მახსოვდა. გამოვიარე სკოლის ჯოჯოხეთი და „ხასანას ბაღის“ გავლით, ისევ რიყეზე ჩავედი. ბიჭები იქ იყვნენ, მაგრამ ბურთი გახეთქვოდათ და ცხვირჩამოშვებულები ისხდნენ. გასართობი ბოლოს რობომ მოიფიქრა: გადაძვრა სტადიონის გვერდით, საამქროს ეზოში და იქიდან ტელეფონის კაბელი გადმოიტანა. გავჭერით კაბელის გარსი, ამოვიღეთ იქიდან ფერადი მავთულები და სამაჯურების დაწვნა დავიწყეთ. ცოტა ხანში ლიკა მოვიდა. თვალი ავარიდე, შემრცხვა. რალა უნდა მეთქვა, ყველაფერზე გუშინ ვილაპარაკეთ. თვითონ მოვიდა:

– ზურიკო, „სემიჩკა“ გაქვსო?

გამონვდილ ხელში ერთი მუჭი ჩავუყარე.

– ვაჟა, წამოდი, დედა გეძახისო.

ვაჟა ზანტად აიზღაზნა. თვალი გავაყოლე – წინ ლიკა მიდიოდა, ვაჟა უკან მიჩანჩალებდა.

შემდეგ დღეს დედამ მთხოვა ბაზარში გაყოლა. იმის შემდეგ დღეს ლიკა არ გამოვიდა. მერე აღდგომა მოვიდა და ორი დღით სოფელში წავედით პაპა-ბებიას საფლავზე გასასვლელად. თბილისში რომ ჩამოვედი, უკვე ძალიან მინდოდა მისი ნახვა. სკოლის მერე ჩავედი რიყეზე. ბიჭები უკვე თამაშობდნენ. დაველოდე, რომ ვინმეს შევცვლიდი. ამასობაში ლიკაც გამოჩნდა.

– პრივეტ, ლიკაო! – მივესალმე.

– ვა, ზურიკოო?! – სტადიონის ბორდიურზე ჩემ გვერდით ჩამოჯდა.

– სად დაიკარგეო?

– არსად, სახლში ვიყავი. შენო?

– მე აღდგომას სოფელში წავედიო!

– კვერცხები გაქვსო?

– არ წამომიღიაო!

– მე მაქვსო! – ჩანთიდან ორი წითელი კვერცხი ამოიღო, ერთი მე გამომიწოდა. დავაჭიდეთ, ჩემი გატყდა.

– მიდი, ჭამე, გეშიებო!

ორი ლუკმით გადავსანსლე. იმ პერიოდში სიგარეტს ვეთამაშებოდი. ბიჭებისგან ვიცოდი, საჭმლის მერე კარგია, მონელე-ბას ხელს უწყობსო. ამოვიღე და გავაბოლე.

– სიგარეტს თუ მონევ, აღარ დაგელაპარაკებო! – გაბრაზებული წამოდგა და წავიდა. ამოვიღე სიგარეტის კოლოფი და გადავაგდე. იმის მერე ცხოვრებაში აღარ მომიწევია.

შემდეგი სამი დღე მამაჩემი ეზოში თავის „მოსკვიჩი 407-ს“ არემონტებდა და იმას ვეხმარებოდი.

– აბა, შვილო, 19-იანი კლუჩი მომანოდეო!

– „ატვიორტკა“ მომიტანეო!

– აბა, ერთი ეს „კრესტავინა“ დამიჭიროეო! – ვეხმარებოდი იმ იმედით, რომ გავარემონტებდით, მანქანაზე მეც დამსვამდა. არ დამსვა, დედაც მაგინა:

– შე შობელძალლო, ჯერ რა დროს შენი მანქანააო!

მეორე დღეს, სკოლის მერე, ისევ ვიყიდე მზესუმზირა და ჩავედი რიყეზე. ფეხბურთის თამაში არ მინდოდა. დავჯექი ბორდიურზე და მზესუმზირას ჭამა დავიწყე. ლიკაც მალე მოვიდა. ჩემ გვერდით ჩამოჯდა. რა თქმა უნდა, მუჭით მზესუმზირა გავუნოდე; რა თქმა უნდა, აიღო.

– რომელ სკოლაში სწავლობო?

– 31-ში, შენო?

– მე 23-შიო. სად ცხოვრობო?

– გორკის ქუჩაზეო!

– მერე, იქ სტადიონი არ არის? აქ რატომ დადიხარ სათამაშოდო?

მოფუყევი, რომ კლასში არავინ მელაპარაკებოდა, რომ მე ენები არ მიმიტანია, რომ სახლში ვერ ვამბობდი, მრცხვენოდა და თავის მოკვლა მინდოდა, თან ვტიროდი. ისიც ტიროდა. ლურჯი თვალებით შემომცქეროდა და ვგრძნობდი, თითოეულ სიტყვას გულში ატარებდა. ადგა, დაიხარა, ლოყაზე მაკოცა, შეტრიალ-

და და გაიქცა. თვალი გავაყოლე, თან ლოყაზე მოცხობილ მის ცრემლს ვეფერებოდი. შვებით ამოვისუნთქე - ჯანდაბას სკოლა, ჯანდაბას ყველა! უფრო ახლობელი არ მყავდა და არც მინდოდა!

იმ დღიდან კამოს ქუჩაზე, 23-ე სკოლის მიმდებარე ტერიტორია გახდა ჩემი ნაესაყუდელი. ზეპირად ვისწავლე ლიკას გაკვეთილების ცხრილი. ყოველდღე ერთად მოვდიოდით 23-ე სკოლიდან რიყემდე. უფრო მე ვლაპარაკობდი, ის მისმენდა.

ერთ დღეს, სკოლასთან, ლიკას რომ ველოდებოდი, ვილაც ბიჭი მოვიდა:

- ბიჭო, მაგ გოგოსთან აღარ დაგინახო!
- შენ ვინა გკითხავსო?
- სალამოს ქორწინების სახლთან გელოდებო!

გამოვიდა ლიკა, არაფერი მითქვამს, სახლამდე მივაცილე, მერე სტადიონზე გავედი და ბიჭებს ვუთხარი:

- ქორწინების სახლთან „სტრელკა“ მაქვსო.

მთელი რიყის ბიჭები წამოვიდნენ. ის ბიჭი არ მოვიდა - შეეშინდა. მერე შემომითვალა - რატომ არ თქვი, მამუკას მეგობარი თუ იყავიო.

ამასობაში მაისიც მიიღია. კლასში უკანა მერხზე ვიჯექი მარტო.

- გამოდი გარეთ, საქმე გვაქვს შენთანო! - ისევ ყველა ერთად შეკრებილიყო.

- ჩვენ გავიგეთ, ვინცა თქვაო!
- ?!
- რატომ არ თქვი, შენ რომ არ იყავიო?
- მაინც არ დამიჯერებდითო.
- კარგი, გვეყოფა; თუ გინდა, ვიძმაკაცოთო!
- კარგი, ვიძმაკაცოთო!

დამთავრდა სწავლა და დაიწყო გამოცდები. მასსოვს, 1972 წლის 7 ივნისი იყო. მეორე დღეს რუსულში მქონდა გამოცდა. დილით ავდექი და გამოცდის ბილეთების სწავლას ვაპირებდი,

მეზობელი მაცვალას ხმა რომ გავიგე:

– ზინა, გაიგე, მტკვარი რომ გადმოსულა და რიყე დაუტბორია? მგონი, ხალხი დამხრჩვალაო.

თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი რიყეზე, გული ამოვარდნაზე მქონდა. რიყე წყლითა და ტალახით იყო დაფარული. მის სახლთან მივტლაპუნდი.

– ლიკა, ლიკა! – ირგვლივ ვერავის ვხედავდი. მივვარდი, ჩავეხუტე, ვუკოცნიდი ტუჩებს, თვალებს, ლოყებს. ისიც ტიროდა...

მთელი ოჯახი ჩემი გამოცდების დამთავრებას ელოდებოდა. ბოლო გამოცდის დღეს, საღამოსვე ჩამაგდეს მამაჩემის „მოსკვირში“ და გამიყენეს სოფლის გზაზე. ლიკასთან გამომშვიდობებაც ვერ მოვასწარი. ჩემი გული რიყეზე დარჩა.

აღრე რომ გარბოდა, ახლა უაზროდ გაიჭიმა არდადეგები. ვერ ვისვენებდი, ყველას ვუღრენდი.

– შეეშვით, გარდამავალ ასაკშიაო, – უთხრა დედაჩემს მამიდაჩემმა. მშობლებმა მიდგომა შეცვალეს და მოფერება დამიწყეს. ამან სულ გამაგიჟა. ერთი დღით მინდოდა თბილისში ჩასვლა და დავწყნარდებოდი. კბილი ავიტკიე, რომ მშობლებს თბილისში ჩამოვეყვანე, მაგრამ დედაჩემმა ბორჯომში ამიყვანა სტომატოლოგთან. ერთი ღრჯოლებიანი კაცი იყო. კარგი კბილის ექიმი რომ ყოფილიყო, თავის ღრჯოლებს მიხედავდა. მკურნალობის სურვილიც არ გასჩენია, ისე დამადო მაშა და ამომაძრო.

– სალი კბილი ყოფილაო! – ხელში რომ დაიჭირა, მერე თქვა.

როგორც იქნა, დამთავრდა არდადეგები და ჩამოვედით თბილისში. იმავე დღეს გავიქეცი რიყეზე. ირგვლივ სიჩუმე გამეფებულებოდა, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მერე გავიგე, მოსახლეობა ქალაქის სხვადასხვა უბანში გაუსახლებიათ.

პირველ სექტემბერს 23-ე სკოლასთან დაველოდე, არ გამოვიდა. არც მეორე დღეს არ გამოვიდა, არც მესამე დღეს. ბიჭებს ვეძებდი, ვერც ისინი ვიპოვე.

ხშირად მივდიოდი სკოლის შემდეგ რიყეზე. ერთი ადგილი ავ-

იჩემე, დავჯდებოდი და ველოდებოდი, როდის გამოჩნდებოდა. მჯეროდა, აუცილებლად მოუნდებოდა თავის ნასახლარზე მოსვლა:

– ლიკა, მზესუმზირა არ გინდაო? – შევეკითხებოდი მე.

– ვა, ზურიკო, შენ აქ რა გინდაო?! – მკითხავდა ის.

ინსტიტუტის შემდეგაც მივდიოდი რიყეზე. მერე სახლები დაანგრის და მოედანი გააკეთეს. ზაფხულობით ჩხები ჩამოდიოდნენ და აწყობდნენ ლუნაპარკს. 15 კაპიკად კარუსელებზე გატრიალებდნენ, თან „პედრო“ კევსაც გჩუქნიდნენ.

– ლიკა, მზესუმზირა არ გინდაო? – შევეკითხებოდი მე.

– ვა, ზურიკო, შენ აქ რა გინდაო?! – მკითხავდა ის.

სამსახურის მერეც ხშირად ვასეირნებდი შვილებს რიყეზე.

– ლიკა, მზესუმზირა არ გინდაო?

– ვა, ზურიკო, შენ აქ რა გინდაო?!

ამას წინათ რაგბიზე ნავედი ლოკომოტივის სტადიონზე. თამაშის მერე, რომ გამოვდიოდი, კაცი წამომენია:

– შენ ზურა არა ხარო?

– კიო, – ვუპასუხე.

– ვერ მიცანიო?

– ვერაო.

– მე რეზო ვარო!

– რომელი რეზოო?

– რიყეზე რომ ვცხოვრობდიო!

– ვა, რეზო, როგორა ხარო? – გადავეხვიე.

– არა მიშავსო! შენ როგორა ხარო?

– აქეთურიო!

– იქითურიო!

– ბიჭო, რეზო, ლიკა რომ იყო, ვაჟას და, ხომ არ იცი, სად ცხოვრობსო?

– გლდანის მეორე მიკრორაიონის 26-ე კორპუსში, ჩემი მეზობელიაო!

* * *

კორპუსიდან მსუქანი ქალი გამოვიდა ბაზრის ჩანთით ხელში. თმა მუქად ჰქონდა შეღებილი, თმის ძირებში ჭალარაშერეული ოქროსფერი მოუჩანდა. სახეზე ეტყობოდა, რომ ცხოვრების ქარიშხალს მასზე გადაევლო. სადღა იყო ის სილამაზე, მხოლოდ თვალები შემორჩენოდა ძველებურად ლურჯი და მეტყველი.

კაცმა უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა – იქიდან, პატარა ბიჭის ნაცვლად, დანაოჭებული მოხუცი შემოჰყურებდა. ავტომობილი დაქოქა...

მეორე დღეს შვილიშვილი გაასეირნა რიყზე. ბავშვი ქვიშაში სათამაშოდ გაუშვა, თვითონ იქვე სკამზე ჩამოჯდა.

– ლიკა, მზესუმზირა არ გინდაო? – შეეკითხებოდა ეს.

– ვა, ზურიკო, შენ აქ რა გინდაო?! – უპასუხებდა ის...



ბორკილები

ჩუქ-ჩუქ, ჩუქ-ჩუქ, ჩუქ-ჩუქ!..

უკან მიჰქრიან დათოვლილი ხეები, ბუჩქები, მინდვრები...
თოვლი. თვალუნვდენელი სითეთრე ყველგან... დალიანდაგე-
ბული „ბუშლატები“, „უშანკებიდან“ გამოყოფილი სიცივის-
აგან ანითლებული ცხვირები... ვაგონის კართან – ტუალეტის
მსურველთა რიგი...

გისოსებიანი ფანჯრიდან მოსახვევეში გამოჩენილი ვაგონებ-
ჩაბმული ორთქლმავალი... ბოლო ვაგონი... აქედან გადაადგეს
ტიციან ტაბიძე ოცი წლის წინ...

- ქართველი ხარო?
- კი, ქართველი ვარო!
- რა გქვიაო?
- გიორგიო!
- გვარიო?
- მიქელაძეო!
- პირველი სროკიაო?
- კიო!
- რაზე ჩაგსვესო?
- პოლიტიკურზეო!
- რა დააშავეო?
- საბჭოთა კავშირი დავშალეო!

* * *

ვერაზე დავიბადე 1931 წლის 16 დეკემბერს. იმ დღეს თბილის-
ში ისეთი თოვლი მოსულა, დედაჩემი პირველ სამშობიარომდე
ციგით მიუყვანიათ.

ოცდაჩვიდმეტში, მამაჩემის დახვრეტის შემდეგ, პაპაჩემმა, რაჟდენ მიქელაძემ, მე, დედაჩემი და ჩემი პატარა და თავისთან გადაგვიყვანა სოლოლაკში. აქედან მახსოვს თბილისი ლენინის მოედნით, რუსთაველის გამზირით, ტრამვავით, მამადავითით, ფუნიკულიორით, ოპერის თეატრით, პიონერთა სასახლით, ნარიყალათი, სიონით, მეტეხით, აბანოთუბნით, ორსართულიანი სახლებით, გადმოკიდებული აივნებით...

„მშვენიერი ქალაქიო“ – ასე უწოდებდა თბილისს ცნობილი იტალიელი მოგზაური მარკო პოლო. ფრანგ მწერალ ალექსანდრე დიუმას თბილისში სეირნობისას ხშირად აღმობდებოდა ხოლმე მონონების შეძახილი.

„ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი, ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი კი, თავის „თბილისის აპოლოგიაში“ წერდა:

„თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა როგორც ევროპის ციხე-სიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისაგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე“.

* * *

– ტიუმენს ვუახლოვდებით, ვისაც რამდენი გაქვთ ჩამოდით, თორემ დავიხოცებით სიცვიითო! – თქვა მაღალმა და ფულის ასაკრეფად ჩამოიარა. ზოგმა დადო, ზოგმა – მერე დავდებო! – გასაგები იყო, ფული ხელზე არ ჰქონდათ, ტუალეტში გასვლა იყო საჭირო, რომ უკანალიდან გამოეძროთ.

– კარგი, დავიმახსოვრებო! – თქვა მაღალმა და ვაგონის კარს მიაშურა.

– უფროსო, ერთი აქეთ მოიწიო!

– რა გინდაო? – ჰკითხა ბადრაგმა გისოსებს იქიდან და იარალი მიუშვირა.

– ამის არაყი ამოიტანე და, ნახევარი შენ, ნახევარი ჩვენო!

– კარგიო! – უთხრა ბადრაგმა და ფული ქურთუკის შიდა გულსჯიბეში ჩაიდო.

გაჩერდა მატარებელი. გისოსებიანი ფანჯრიდან გამოჩნდა წაცუხცუხებული და ნახევარ საათში ორი ხუთლიტრიანი არყის ბოცით ხელში მოცუხცუხებული ბადრაგი.

– ნაილეთ თქვენი არაყიო! – პატიოსნად გაუწოდა პატიმრებს ერთი ხუთლიტრიანი ბოცა.

– მოდი, დავლიოთო! – დააძრეს ალუმინის „კრუმკები“ პატიმრებმა.

– Будем! თქვეს ერთხმად და გადაკრეს.

– თითოც! – ისევ გადაკრეს.

სითბო ჩაიღვარა ფეხებში, თითქოს სევდამ იკლო, ვაგონი ცოტა გამხიარულდა.

– ერთიც! – მხიარულება ყაყანში გადავიდა.

– ბიჭო, შენ რა გქვიაო?

– გიორგიო!

– მოდი, ვითამაშოთო! – და პურისგან გაკეთებული კამათლები ხელში აათამაშა.

– არ მინდაო!

– როგორ არ გინდა, ქურდი გელაპარაკებო!

– თავი გაანებე, პოლიტიკურზეო! – გამოესარჩლა ქართველი.

– რა პოლიტიკური, არიფიაო!

– აჩვენე საბრალდებო დასკვნაო!

გულისჯიბიდან ამოიღო, გაუწოდა.

– რაო, ოცდახუთწლიანიო?! საბჭოთა კავშირის დაშლის მცდელობაო?! კაციც შენა ყოფილხარო!

პირველ სკოლაში შემიყვანეს. პირველ სექტემბერს ჩამილაგეს ზურგზე მოსაკიდებელ ჩანთაში ორი წიგნი, ორი რვეული, კალამი, ფანქარი, საშლელი, სამელნე, თან გამაფრთხილეს – ჩანთა სწორად გედოს, თორემ მელანი დაიღვრებაო და გამიყენეს ცოდნის გზაზე. სკოლიდან რომ დავბრუნდი, დედაჩემს ელდა ეცა – გალურჯებულ ზურგს ვინლა სჩიოდა, სიმწრით ნაშოვნი წიგნები მელანში იყო ამოვლებული. მთელი წელი ვმარჩიელობდით მე და დედა, რა ენერა იმ ჩემს მელნით დასვრილ წიგნებში...

სალამობით პაპა გვასეირნებდა მე და ჩემს დას, ელიკოს, რუსთაველზე, ყოფილ გოლოვინის პროსპექტზე, მეფისნაცვალ ვორონცოვის ბრძანებით 1851 წელს აშენებულ, ერთხელ დამწვარ და მერე 1896 წელს აღდგენილ ოპერის თეატრამდე და უკან.

კვირას მთელი ოჯახი აბანოში მივდიოდით საბანაოდ. ჩავუყვებოდით ენგელსის ქუჩას მეიდანამდე და მარჯვნივ შევუხვევდით აბანოთუბანში ქრელი აბანოსკენ, სადაც საუკუნეების განმავლობაში ბანაობდნენ თბილისელები, სადედამთილოები საპატარძლოებს იწონებდნენ ან იწუნებდნენ და თან მკურნალობდნენ იმ ყოვლისშემძლე გოგირდიანი წყლით, ალა-მაჰმად-ხანს ცვედანობა რომ ვერ მოუზრჩინა და, გაბრაზებულ გულზე, აბანოზე აყრევინა ჯავრი.

შევდიოდით აბანოში, დედაჩემი და ელიკო – ქალებში, მე და პაპა – კაცებში და დაფუდგებოდით რიგში მექისე ილხამას.

- ილხამ, ქისას გაგვიკეთებ?
- მოდი, რაჟდენჯან, კარქა დაგზილო!
- რიგში ბევრი გყავს?
- ამას მოვრჩები და შენ მიგიღებ!
- ილხამ, ამის მერე ჩემი რიგია!
- არა, შენ ყასო დაგზილამს!
- უარი რატომ უთხარი?

– ამას წინათ ვზელამდი და ისეთი გააბრახუნა, ორი ჭია გააყ-
ოლა!..

მიყვარდა ჭრელი აბანო, ერთადერთი ადგილი, სადაც სრულ-
ფასოვან მამაკაცად მთვლიდნენ. ბანაობის შემდეგ, როგორც
წესი, აბანოს ფოიეში ნახევარი საათი მაინც ველოდებოდიტ დე-
დას და ელიკოს. მეგონა, ქალები უფრო მეტად ჭუჭყიანდებოდ-
ნენ და მეტი დაბანა სჭირდებოდათ, ვიდრე კაცებს. იქიდან გამო-
სულეები იქვე, კუთხეში მრგვალ თონის პურს ვყიდულობდით და
ნააბანოვებზე მოგვრილ შიმშილს სახლამდე ლუკმვა-ლუკმვით
ვიგერიებდით.

* * *

– აბა, ირკუტსკში შევდივართ, ავაგროვოთო! – თქვა ისევ იმ
მაღალმა და ფულის ასაკრებად წამოდგა. ახლა მეტი აგროვდა,
სამაგიეროდ, განავლის სუნმაც იმატა.

– უფროსო, ერთი აქეთ მოიწიო!

– რა გინდაო? – ჰკითხა ბადრაგმა გისოსებს იქიდან და იარაღი
არ მიუშვერია, რადგან იცოდა, რა საქმეზეც ეძახდნენ.

– ამის არაყი ამოიტანე და ნახევარი შენ, ნახევარი ჩვენო!

– კარგიო! უთხრა ბადრაგმა და განავლიანი ფული ქურთუკის
შიდა გულისჯიბეში ჩაიდო.

გაჩერდა მატარებელი. გისოსებიანი ფანჯრიდან გამოჩნდა
წაცუხცუხებული და ნახევარ საათში უკან მოცუხცუხებული
უკვე ორი ბადრაგი, თითო ორ-ორი ხუთლიტრიანი ბოცით ხელში.

– წაიღეთ თქვენი არაყიო! – პატიოსნად გაუწოდეს პატიმრებს
ორი ხუთლიტრიანი ბოცა.

დააძრეს ალუმინის „კრუშკები“.

– აბა, დავლიოთო!

– ერთიცო!

– კიდევო!

– დაასხი, ნუ გენანებაო!

- შენთვის მეტს რატომ ისხამო?
- შენ სულელი ხომ არა ხარო?
- გისოსებს იქით ბადრაგი სვამს...
- მანდ რა ხმაურია, თქვენი დედაო!
- ბადრაგო, შენი დედაცო!
- ერთი აქ გამოეთრეო!
- შემოდი და გამიყვანეო!
- შემოვიდნენ, გაიყვანეს... გაისროლეს...
- ასე გადააგდეს ტიცვიან ტაბიძეც ოცი წლის წინ...

* * *

ახლაც ყურში მიდგას ლევიტანის შემზარავი ხმა: „**Внимание, Внимание! Говорит Москва**“... – მეორე მსოფლიო ომის დან-ყება რომ ამცნო კაცობრიობას... ვიშვიში, ქოთქოთი, ტირილი, ნივილკივილი, შიმშილი ყოველი დღის თანამდევნი გახდა. პაპა ძველებურად მუშაობდა თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარიატში“ წარმოების უფროსად, დედა უცხო ენის მასწავლებლად მოენყო ჩემს სკოლაში და სულს მხდიდა ინგლისურის სწავლით. მისი ხათრით, სხვა საგნების მასწავლებლები ყოველდღე მიძახებდნენ ფორსირებული გამოკითხვით. მე და ელიკო შიმშილს ვერ ვგრძნობდით, სამაგიეროდ, პაპა და დედა დაემსგავსნენ ნაწუნ კანფეტებს.

მთელი ომის განმავლობაში ყველაზე მწარედ რადიომიმღების ჩამორთმევა დამამახსოვრდა. იმ საბედისწერო დღიდან ჩავენერე პიონერთა სასახლეში რადიომოყვარულთა წრეზე და ავირჩიე სპეციალობად რადიოელექტრონიკა.

დიოდური და მართვადი ტრიოდური მილაკები, კონდენსატორები, წინალობები, ტრანსფორმატორები, რხევითი კონტურები, ანტენები, ამპლიტუდური მოდულატორები, მიმღებები, გადამცემები იქცა ჩემი ცხოვრების მიზნად.

ამასობაში ომიც დამთავრდა და რადიომიმღები დაგვი-

ბრუნეს, მაგრამ მისი მონაცემები უკვე აღარ მომწონდა. სახურავზე დავაყენე ანტენა ვიბრატორით, შვიდი დირექტორით და ეკრანით, რადიომიმღებში ჩავაყენე ჩემი ანყობილი, ახალ ანტენაზე მორგებული რხევითი კონტური, შევუცვალე გეტეროდინი და გამაძლიერებელში ტრიოდის ნაცვლად დავაყენე ახლადგამოსული 1Ж18 Б პენტოდი, რამაც გაზარდა რადიოსიგნალის გაძლიერების კოეფიციენტი და შევძელი სუსტი სიგნალების დაჭერა. ჩემს სარდაფში, სადაც არავის არ ჰქონდა ჩამოსვლის უფლება, ვუსმენდი „Голос Америки“-ს და ორ მუსიკალურ არხს ინგლისურ ენაზე. მაგრამ, მთავარი მიზანი – რადიოგადამცემი, რომლითაც მთელ ქვეყანას გავაგებინებდი ჩემს ხმას, ჯერჯერობით მიუღწეველი დამრჩა, რადგან გადამცემში უბრალო გეტეროდინი, რომელსაც სიხშირე ქსელის ძაბვის მიხედვით ეცვლებოდა, მაღალი სიხშირის მისაღებად საკმარისი არ იყო და კვარცის კრისტალზე დამზადებულ გენერატორს ითხოვდა.

* * *

ვლადივოსტოკი – 1860 წელს დაარსებული სამხედრო დასახლება, საბჭოთა კავშირის უკიდურესი აღმოსავლეთ პორტი, ჩაკეტილი ქალაქი...

ხელბორკილები, ფეხბორკილები, ჯაჭვებით ერთმანეთზე გადაბმულები...

ავტომობილის ძარა... რაიონი მორგოროდკა – შუალედური პუნქტი პატიმრების შორეული აღმოსავლეთის გამოსასწორებელ ბანაკებში გასანაწილებლად...

ერთად შეყრილი 56 000 პატიმარი: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, მოლდოველები, ებრაელები, შუააზიელები, კავკასიელები, ბალტიისპირელები, ნაცნობები, უცნობები, ყომარი, საქმის გარჩევები, ცემა, დაჭრები, მკვლელობები, ავადმყოფობები, ეპიდემიები, გარდაცვალებები...

ორი თვის შემდეგ ისევ ხელბორკილები, ფეხბორკილები, ჯაჭვებით ერთმანეთზე გადაბმულები...

ავტომობილის ძარა...

გემი...

* * *

ამასობაში დავამთავრე სკოლა და პირველივე წელს ჩავიცხე უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე, რადიოელექტრონიკის განხრით.

ახალი მეგობრები, დაბადების დღეები, ვარაზისხევი, მელიქიშვილის გამზირი, ჩხუბები, შერიგებები, დაძმაკაცებები, გამოცდები, ღამის თენებები, შეყვარებები, გაბუტებები, დაშორებები, ისევ ჩხუბები, ისევ შერიგებები...

სადიპლომო თემად რადიოგადამცემი ავირჩიე. ისეთს ვაპროექტებდი, როგორც მე მინდოდა – კვარცისკრისტალიანი გენერატორით. დიპლომს კურსელთან ერთად ვაკეთებდით მის ბინაში. საღამოს სახლში დაბრუნებულს ეზოდან გამომავალი სასწრაფო დახმარების მანქანა შემეფეთა. „პაპაშენია შეუძლოდო!“ – მითხრა ერთმა მეზობელმა, „ვაი, შე უბედუროო!“ – მომძახა მეორემ. ვერ გავიგე, როგორ აღმოვჩნდი სახლში. დღე-ღამეში სავარძელში მჯდომ პაპაჩემის ცხედარს დასტიროდა...

* * *

1915 წელს მარტოხელა ოქროსმაძიებლის, ბორისკა შაფიგულის ნაპოვნმა ოქროს ზოდმა საფუძველი დაუდო ძვირფასი ლითონების მოპოვებას შორეულ აღმოსავლეთში, ოხოტის ზღვის სანაპიროზე და, შედეგად, „ნავიგის ბორცვზე“ ქალაქ მაგადანის აშენებას.

1932 წლის გვიან შემოდგომაზე, ჰენრიხ იაგოდას ბრძანებით, ტრესტ „მორმშენის“ გზის სამუშაოებზე მაგადანში გადაიყვანეს 12 000 ჯანმრთელი პატიმარი, რომელთაგან ყველა დაიხოცა გაუსაძლისი ყინვისა და ცუდი კვების გამო. შემდეგ წელს ახალი ნაკადიდან გადარჩა ყოველი ორმოცდამეათე, მხოლოდ მესა-

მე ნაკადი აღმოჩნდა „ბედნიერი“ – უმრავლესობა გადარჩა და მაგადანის მოსახლეობაც 500 კაციდან 2 000 კაცამდე გაიზარდა. აშენდა საცხოვრებელი სახლები, სკოლა, საავადმყოფო...

* * *

ფიზიკისა და ორგანული ქიმიის კვლევით ინსტიტუტში გამანაწილეს უმცროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. ხელფასი ცოტა მქონდა – ხელზე ოთხმოცდაათ თუმანს ვიღებდი, მაგრამ, რას ვჩიოდი, მაგის ნახევარიც რომ მოეცათ, მაინც არ წავიდოდი სხვაგან, რადგან იმ საქმეს ვაკეთებდი, რაც მიყვარდა.

ორ ქიმიკოსთან ერთად ვიკლევდით ზემდომე ლითონების იზოტოპებიდან გამოსხივებული ნაწილაკების ნაკადზე ელექტრომაგნიტური ველის მოქმედებას.

ერთხელ, ერთმა მოხუცმა თანამშრომელმა ქალმა მთხოვა, უცხოური რადიომიმღები მაქვს გაფუჭებული და თუ გამიკეთებო. მომიტანე-მეთქი. მომიტანა. სახლში წავიღე და ჩავუჯექი. რას ვხედავ – კვარცული გენერატორი! უცბად ავანწყვე გეტეროდინი შესაბამის სიხშირეზე, ჩავაყენე კვარცის გენერატორის ნაცვლად, გამოვუცვალე გადამწვარი დიოდური მილაკი და მეორე დღესვე წავუღე გარემონტებული რადიომიმღები პატრონს. რაც იმან მლოცა, საწინააღმდეგოდ ამიხდა...

უკვე ყველაფერი მქონდა მიზნის მისაღწევად. სამ დღეში ავანწყვე გადამცემი და დავინყე დარეგულირება: ერთი!.. ერთი!.. ერთი, ორი, სამი!.. რადიომიმღები მქონდა ჩართული და „Голос Америки“-ს ვუსმენდი, თან ტესტერით გადამცემის მონაცემებს ვამონებდი. სიგნალი არ გადაიცემოდა...

ვერ განვსაზღვრე კვარცის კრისტალის შესაძლებლობა, მე მეტრულ ტალღის სიგრძეზე ვარეგულირებდი, გადამცემს კი რადიომიმღებში „მოსმენილი“ „Голос Америки“ დეციმეტრულ ტალღაზე გადაუცია ასკილომეტრიანი რადიუსით...

მომადგნენ...

* * *

წინასაპატიმრო საკანი. დაკითხვა დილით, შუადღისას, საღამოს, ღამე. დაკითხვა... დაკითხვა... დაკითხვა...

- როგორ მოხდაო?
- რომელ ქვეყანასთან თანამშრომლობო?
- ვინ დაგაფინანსაო?
- თანამზრახველები ვინ არიანო?

ცემა, ტყეპა, კბილების ჩამტვრევა, სისხლი, გონების დაკარგვა, წყლის მისხმა, ისევე ცემა, ისევე ტყეპა, ფრჩხილების დაძრობა... სასამართლო...

- ჯაშუშო!
- ხალხის მტერო!
- სამშობლოს გამყიდველო!
- დახვრეტაო!
- შეიცოდეთ, ახალგაზრდაა, მეტს აღარ იზამსო!
- რომ ქნასო?!
- მოდი, ერთი შანსიც მივცეთო!
- კარგი, მაშინ, ოცდახუთწლიანი გადასახლებაო!

* * *

მაგადანის პორტში შევიდა გემი 1958 წლის თებერვალში... ისევე ხელბორკილები, ფეხბორკილები, ჯაჭვებით ერთმანეთზე გადაბმულები...

- ავტომობილის ძარა...
- ახალი ეტაპი მოვიდაო!
- ახალი ამბები რა იცითო?
- მოსკოველი არის ვინმეო?
- ხარკოველიო?
- ტაშკენტელიო?...
- მეტრო თუ აშენდაო?
- ამას თუ იცნობო?

- არაო!
- იმასო?...
- ქართველი რომელი ხარო?
- მეო!
- რა გქვიაო?
- გიორგიო!
- გვარიო?
- მიქელაძეო!
- დიმიტრი მიქელაძე ვინ არის შენო?
- მამაჩემი იყო, 37-ში დახვრიტესო!
- სანყალი, ერთად ვისხედით წინასაპატიმროში, უდანაშაულო იყოო!
- აქ რა ხდებაო?
- უმონყალოდ გვამუშავებენო!
- როგორ ძლებთო?
- შვილო, თუ გინდა, გაძლო, უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ აქ მოკვდები და შენს საფლავზე სახელის და გვარის ნაცვლად პატიმრის ნომერი ეწერებაო!

* * *

მაგადანის საპატიმრო გამოსასწორებელი ბანაკი წარმოადგენდა ხუთ კვადრატულ კილომეტრიან ფართობს პატიმრებისთვის აშენებული ყაზარმებითა და ტყის მასივით, სადაც ხეები უნდა გაჩეხილიყო და საავტომობილო გზა გასულიყო. ბანაკი არც გალავნით იყო შემოსაზღვრული და არც ეკლიანი მავთულით, მხოლოდ პერიმეტრზე ხის ბოძები იყო ჩასობილი, რომელსაც სამი პირი „კატანკა“ მავთული გასდევდა.

პატიმრების ერთ ნაწილს დილით ბირდაბირებს დაურიგებდნენ და ხეების ქრაზე ამუშავებდნენ, მეორე ნაწილი მოჭრილ ხეებს ცულებით ტოტებისგან ასუფთავებდა და მანქანაზე აწყობდა, მესამე ნაწილს წერაქვებით გზა გაჰყავდა, მეოთხე

ნაწილი კი მანქანებზე დატვირთულ მორებს პორტში ხვდებოდა და, ან გემზე ეზიდებოდა, ან პორტის ტერიტორიაზე ასაწყობებდა. მე მეოთხე ნაწილში გამამწყესეს.

მაგადანის ოლქში ხორბალი არ მოდიოდა და გემით შემოდიოდა პურის ფქვილი. ასეთ დროს ხის მორების ზიდვას თავს გვანებებინებდნენ და პურისფქვილიან ტომრებს გვაზიდვინებდნენ. ხმელეთზე გადმოტვირთვის დროს, რამდენიმე ტომარა ფქვილი „შემთხვევით“ ზღვაში გვივარდებოდა. საღამოს შევდიოდით ზღვაში და ნაპირზე გამოგვქონდა დასველებული ტომრები. წყალში სველდებოდა მხოლოდ ფქვილის გარეთა შრე, რომელიც წყალს არ ატარებდა და შიგნით ფქვილი მშრალი რჩებოდა. ეს ბადრაგმაც იცოდა. შევეყრიდით მანქანის ძარაზე ფქვილიან ტომრებს, ნახევარი ჩვენი იყო, ნახევარი იმათი.

„ლაგერში“ სამი ქართველი ვიყავით: მე, ქუთაისელი თემურ ვასაძე, 42 წლის კაცი, რომელიც ვაგონში გავიცანი და შუა ხანს გადაცილებული ბესარიონ მენაბდე, მამაჩემთან ერთად მჯდარა წინასაპატიმრო კამერაში.

ბესარიონმა, რომელსაც მე და თემური ბატონ ბესარიონს ვეძახდით, 20 წელი მაგადანში გაატარა, ორი წელი ჰქონდა დარჩენილი და ძალიან ფრთხილობდა, რომ რაიმე შარს არ გადაჰყროდა და „სროკი“ არ აეკიდა. ნარსულზე არაფერს ლაპარაკობდა, „ღირსი ვიყავი“ – ამბობდა. ისიც მიკვირდა, ჩემი გაცნობისას მამაჩემი რომ გაიხსენა და, „ძველი ცხოვრება დაივიწყე, თუ გინდა, გაძლოო!“ – დამარიგა.

თემურს 15 წელი ჰქონდა მისჯილი. ცოლისთვის შეუსწრია საყვარელთან და ორივე სანადირო თოფით დაუხოცავს. ორი კაცის მკვლელობისთვის დახვრეტა არ ასცდებოდა, მაგრამ, ასეთი პატარა „სროკი“ იმიტომ მიუციათ, რომ თავის დროზე მოსამართლესაც იგივე შემთხვევია და სულ ნანობდა, ორივე რომ არ დახოცა.

თავიდან გაქცევაზე ვფიქრობდი, მაგრამ ქალაქში ვერ დავიმალებოდი, არავინ შემეფარებდა. მოსახლეობას ევალეობოდა დანახვისთანავე ეცნობებინათ მილიციისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ციხე ემუქრებოდათ, ამაზე ხელი ჰქონდათ მონერილი. დიდი ფული რომ მქონოდა, გემის კაპიტანს მოვისყიდდი და გემში სადმე დამმაღავდა, ან ნავს ვიშოვნიდი, მაგრამ ფული არ მქონდა. პატიმრებში მოგროვება რომ დამენყო, იმავე დღეს გაიგებდნენ. გაქცევის ერთადერთი გზა ტაიგაზე გადიოდა, მაგრამ უახლოესი დასახლებული პუნქტი ათასი კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა.

ჩემი იქ ყოფნის პერიოდში ხუთი კაციდან, ვინც ტაიგით სცადა თავის დაღწევა, ოც კილომეტრზე შორს წასვლა ვერავინ შეძლო. ერთი ხეზე ნახეს გაყინული, სამის მარტო ტანსაცმელი, ქამარი და მიმოზნეული ძვლები იპოვეს, ერთმა ადევნებულ მგლებს ძლივს შემოასწრო „ლაგერში“. სიკვდილს გადაურჩა, სამაგიეროდ, „სროკზე“ ათი წელი დაუმატეს.

იცოდა დაცვამ, რომ ვერსად წავიდოდით და დიდად არ იკლავდნენ თავს ჩვენი დევნით. „პერეკლიჩკაზე“ თუ არ გაეპასუხებოდი, ხუთ წუთში მეორედ ამოიკითხავდნენ შენს ნომერს, თუ მეორედაც არ უპასუხებდი, იქაც რომ მდგარიყავი, გაქცევის მცდელობის მუხლით გაგასამართლებდნენ და ათ წელს დაგიმატებდნენ.

ბოლოს ჩავხვდი ბატონი ბესარიონის სიტყვების ჭეშმარიტებას: დავივინყე ვინ ვიყავი, საიდან ვიყავი; შევეგუე იმ აზრს, რომ აქედან ვერსად წავიდოდი; შევეშვი გაქცევაზე ფიქრს და მუშაობაში ვექებდი შვებას, მაგრამ ერთმა ამბავმა მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება.

ივლისის თვე იყო, თეთრი ღამეების პერიოდი, წლის ერთადერთი დრო, როცა ღამის 2 საათამდე მზე ანათებს, ტემპერატურამ შეიძლება +12 გრადუსს მიაღწიოს და „ბუმლატი“ გაგახდევინოს.

სამუშაოდან დაბრუნებულს ყაზარმის შესასვლელთან ბადრაგი დამხვდა – შენზე მითხრეს, ელექტრობაში გარკვეული ყოფილხარო. კი-მეთქი. გამომყევი, სერგეი ვასილიჩი გეძახისო! გავყევი. ჩავუარეთ ყაზარმებს და დაცულ ტერიტორიაზე შევედით სამეთაურო პუნქტში. მეორე სართულზე ავედით. გავიარეთ კორიდორი, რომლის ბოლოშიც ლენინის ბიუსტი იდგა და მარჯვენა ოთახში შევედით. მაგიდასთან სამოც წლამდე ასაკის, პოლკოვნიკისამხრეებიანი კაცი იჯდა, პირში პაპიროსი ჰქონდა გაჩრილი და რალაცას წერდა. სერგეი ვასილიჩ, მოვიყვანეო! – სამხედრო სალმით გაეჯგვიმა ბადრაგი. კაცმა თავი ასწია, შემომხედა, დიდხანს მაკვირდებოდა. მაღალი შუბლი ჰქონდა, უკან გადავარცხნილი ჭალარა თმა, სახე მკაცრი, კუთხოვანი, ულვაშები სქელი, დაშვებული. თავისუფალი ხარო! – უთხრა ჯერ კიდევ გაჯგვიმულ ბადრაგს. ზურგს უკან მომესმა ბადრაგის კარის დახურვის ხმა. თვალები წვრილი ჰქონდა, ღია თაფლისფერი... ადგა, შებრუნდა, ფანჯარასთან მივიდა, ასე იდგა რამდენიმე წუთს, შემდეგ შემოტრიალდა, ისევ დამაკვირდა... ქართველი ხარო? – მკითხა. „კი, ქართველი ვარო!“ – ვუპასუხე.

– ძია სერგეი დამიძახეო! – გამიკვირდა... რა თბილი იყო ეს ხმა, როგორ არ ჰგავდა, წელან რომ უთხრა ბადრაგს – თავისუფალი ხარო! – იმ ხმას.

– შენ გეშიებო! – კიდევ უფრო გამიკვირდა... მეორე ოთახში გავიდა, მეც გავყევი. პატარა მაგიდაზე ორი თეფში იდო ხელსახოცგადაფარებული. ხელსახოცი გადახადა... დაჭრილი ძეხვი და პური. კინალამ ცუდად გავხდი – ხუთი წელია, ძეხვი არ მეჭამა.

– ჭამე, შვილოო! – მხარზე ხელი დამადო და მაგიდასთან სკამზე დამსვა. როგორი ტკბილი იყო ეს „შვილო“, პაპაჩემი გამახსენდა, ავტირდი...

რადიომიმღები ჰქონდა გაფუჭებული, განმამხოლოებელ ტრანსფორმატორში ხვია იყო განწყვეტილი. რადიომიმღები მის გარეშეც იმუშავებდა. მოვხსენი ტრანსფორმატორი და პირდა-

პირზე გადავართე წვერები. ამუშავდა...

– მე შენთან ვალში ვარო! – მითხრა ძია სერგეიმ.

– თუ ვალში ხართ, ის გაფუჭებული ტრანსფორმატორი მომეცით და ვალი აღარ გექნებათო, – ვუთხარი მე.

– არა, მე უფრო დიდი ვალი მაქვს, ვიდრე ეგააო! და ტრანსფორმატორი გამომატანა.

მთელი ღამე ვფიქრობდი, რა ვალი შეიძლებოდა ჰქონოდა ძია სერგეის.

მეორე საღამოს ტრანსფორმატორი დავშალე, გულანას ფირფიტები ერთმანეთს დავაშორე, რომ ზრიალი შესძლებოდათ, განყვეტილი მეორადი ხვია მოვხსენი, ათი მეტრი სიგრძის მავთული მოვჭერი და ანტენად გავჭიმე. ანტენის ერთი ბოლო ტრანსფორმატორის პირველად ხვიას შევუერთე, მისი მეორე ბოლო მივუერთე შუაში ქალაქის ფურცლებზე აღებული ორი ლითონის ფირფიტადან ერთს, რომლის მეორე ფირფიტაც დავამინე. ქალაქის რადიოანტენიდან მოსულ ტალღებს ჩემი ანტენა იჭერდა, გადასცემდა ტრანსფორმატორს, რომელშიც აღიძვრებოდა ელექტრომომოძრავებელი ძალა და შედეგად ფირფიტები იწყებდა ბგერის სიხშირით ზრიალს. ლითონის ორი ფირფიტა კი კონდენსატორის როლს ასრულებდა და ფირფიტებს შორის ქალაქის ფურცლების გამოკლებით ან დამატებით შემეძლო სხვადასხვა სიხშირის ტალღების დაჭერა.

რადიომიმღების უმარტივესი მოდელი მქონდა. მოსკოვის პირველ არხს იჭერდა.

იმავე საღამოს მთელი ბანაკი ჩემთან შეიკრიბა, ერთი კაცი იყო, სულ ლაპარაკობდა, ენას არ აჩერებდა. იმან მიიღო ყურზე რადიომიმღები და მოსმენილს ახმოვანებდა.

მეორე დღეს იმავე ბადრაგმა დამიძახა – სამეთაურო პუნქტში გეძახიანო. ისევ იმ ოთახში შევედი, ლენინის ბიუსტის გვერდით. სათათბირო მაგიდასთან ძია სერგეი იჯდა, ძალიან გაბრაზებული და დაძაბული სახე ჰქონდა. კიდევ სამი კაცი შე-

მოსხდომოდა მაგიდას, იგივენაირი სახეებით. მეორედ დამღუპა რადიომ-მეთქი, – გავიფიქრე.

– საიდან გაქვს რადიომიმღებო?! – დაიგრუხუნა ძია სერგეიმ.

– მე ავანყვე ტრანსფორმატორიდანო! – ვუპასუხე.

– ტრანსფორმატორი სად იშოვეო?

– აი, იქ ვიპოვეო! – ფანჯრისკენ გავიშვირე ხელი.

– მართალია, მე გადავაგდეო! – თქვა ძია სერგეიმ და, ვიგრძენი, გულზე მოეშვა.

– რა არხს უსმენდიო? – იკითხა იმ სამიდან ერთ-ერთმა.

– პირველ არხსო!

– ისეთი არაფერი დაუშავებია, ვაპატიოთო! – თქვა ძია სერგეიმ და წამოდგა, რაც თათბირის დამთავრებას ნიშნავდა. ყველა გავიდა.

– შენ გარეთ დამელოდეო! – უთხრა ბადრაგს.

დავრჩით მე და ძია სერგეი.

– ეს რამ გაგაკეთებინაო?!

– მეტს აღარ ვიზამო, – ვუპასუხე.

– კარგი, წამოდი, გაჭამოო! – ისევ იმ ოთახში გამიყვანა და იმავე სკამზე დამსვა, იმავე თეფშებს გადახადა იგივე ხელსახოცი. შემწვარი ქათმის ბარკალი და პური.

– ჭამე, შვილოო!

ისევ ავტირდი...

– ძია სერგეი, რა ვალი გაქვთ ასეთიო? – ვკითხე მე.

– ომში დამჭრესო. ერთმა ქართველმა ამიკიდა ზურგზე და მატარაო. სამშვიდობოს გამიყვანა, დამანვინა და, რომ წამოდგა, მაშინ მოხვდა ტყვიანო. მკვდარი ზედ დამემხო, ვერაფერი ვუშველეო. სახელიც არ ვიცი მისიო. ის მოკვდა, რომ მე მეცოცხლაო. ახლა ვალის დაბრუნების დროაო. ის ბიჭი შენა გგავდაო!...

შემოდგომაზე გემი „ვოსტოკი“ შემოვიდა მაგადანის პორტში. ამბობდნენ, შორსმცურავი გემიაო.

დილით ჩვეულებრივად წაგვიყვანეს პორტში და მორები გვაცლევინეს. შუადღით ის ბადრაგი მოვიდა ჩემთან, ძია სერგეისთან რომ მიმიყვანა და – გემზეა სამუშაო, წამოდიო! გავყევი... გემზე რომ ავედით, ბადრაგმა კაპიტნის კაიუტაში შემეყვანა. კაპიტანმა მექანიკოსის ტანსაცმელი გადმომიგდო და – გამოიცვალეო! – მიბრძანა. გონებაში ყველაფერი აირია, მაგრამ, ვხვდებოდი, რალაც დიდი ხდებოდა ჩემს თავს. გამოვიცვალე. ბადრაგმა მოხვეტა ჩემი ტანსაცმელი და გაშპა. გონებაში მაშინ დალაგდა ყველაფერი, სერგეი ვასილიჩის ფრონტელი მეგობრის შვილი რომ არ იყო, შენთვის თითსაც არ გავანძრევდიო – კაპიტანმა რომ მითხრა და სამანქანო განყოფილებაში ჩამიშვა – სამი დღე აქედან ცხვირი არ ამოყოო!

სამი დღის მერე თავისთან დამიძახა – უკვე ყველაფერი დამთავრებულია, შენ აღარავის აინტერესებ, ტაიგაში იპოვეს შენი ნარჩენები და ამოგიცნეს, მაგრამ, გემის გასვლამდე მაინც სამანქანოში იჯექიო!

წყნარ ოკეანეში ვართ, რა ტკბილი ხარ თავისუფლებაზე!...

კალიფორნია, ლოს-ანჟელესი, პოლივუდი, ლონგბიჩი, სანტა-მონიკას ყურე – მარად გაბრწყინებული, მარად ხმაურიანი, მარად საინტერესო, მარად სასურველი...

ამ ქალაქში შევედით 1962 წლის 8 ოქტომბერს. +28 გრადუსი სიცხე დაგვხვდა, გამიჭირდა შეჩვევა, განსაკუთრებით – „უბუშლატოდ“ ძილი. მაგადანში ამ დროს -12 გრადუსი ყინვაა.

კაპიტანმა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის პასპორტი მომცა, ცოტა დოლარები და თან დამარიგა – ამ პასპორტით მაინცდამაინც ნუ გათამამდებიო! გამოვემშვიდობე კაპიტანს და გადმოვედი ნაპირზე.

გავაცნობიერე, რომ ვარ ჯორჯ მიკელსონი, უსახლკარო და

მაქვს 200 დოლარი, რომელიც ერთ კვირას მეყოფა. სასწრაფოდ უნდა ვიშოვო სამსახური, თორემ, მაგადანში რალაცას მაინც მაჭმევდნენ, აქ კი მშვიერი მოვკვდები.

პირდაპირ მივაჭერი პორტის ადმინისტრაციასთან და ჩემი სამსახური შევთავაზე. უარი არ უთქვამთ, რა შეგიძლიაო, მკითხეს. ვუპასუხე, უმაღლესი კლასის ელექტრიკოსი ვარ-მეთქი. კარგი, ხვალ მოდი და გამოგცდით, რა ელექტრიკოსიც ხარო! გულში ვლოცავდი დედაჩემს, ინგლისურის სწავლა რომ დამაძალა. ნეტავ, როგორ არიან ის და ელიკო? აქამდე ასე არ განვიცდიდი, თავის გადარჩენის ინსტინქტი უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე მონატრება. ძალიან მომიწინა მათთან ერთად ყოფნა.

ის ღამე პორტში გავათენე. დილით პორტის ადმინისტრაციაში მივედი და ისევ იმ ოთახში შევედი, წინა დღით რომ ვიყავი. გასაშლელი კიბე მომცეს – აბა, ის ნათურა არ ირთვება და თუ ჩართავო. ავედი კიბეზე, ვნახე, ნათურა მოსაჭერია. მოვუჭირე – აინთო.

– ყოჩალო, ელექტრიკოსი ყოფილხარო, მიღებული ხარო, 600 დოლარზე თუ ხარ თანახმაო!

– ხალხნო, ნათურის მოჭერას რა ელექტრიკოსობა უნდა, თუ გინდათ, ლაზერს აგინყობთო!

– კარგი, კარგიო! – გაიცინეს და პირველ სართულზე, სათავსოში მომიჩინეს ადგილი.

ერთ თვეში აღიარეს, რომ ნათურის მოჭერაზე მეტი შემძლებია; ორ თვეში მეორე სართულზე გადამიყვანეს და 1 000 დოლარი მომცეს ხელფასი; ექვს თვეში უკვე მესამე სართულზე ვიჯექი, ათკაციანი ჯგუფის უფროსი ვიყავი და 1 400 დოლარს ვიღებდი, მაგრამ, წელიწადნახევარში პორტის ავტომატიზაცია რომ გავაკეთე და ტვირთები თავისით ნაწილდებოდა, მეოთხე სართულზე გადამიყვანეს, დირექტორის მოადგილედ დამაწინაურეს, 3 000 დოლარი დამინიშნეს ხელფასი და პორტის დასახლებაშიც გამომიყვეს ბინა.

დირექტორს ერთი ებრაელი გოგო ჰყავდა მდივნად, რებეკა ციმერმანი. ომის დროს გერმანიიდან იყვნენ გამოქცეულები. ლამაზი გოგო იყო, ქერა თმითა და დიდი ცისფერი თვალებით. მე და დირექტორს ერთი მისაღები გვექონდა, სადაც რებეკა იჯდა, მაგრამ მდივნის ყოლის უფლება მარტო დირექტორს ჰქონდა. თუმცა, მეც მიდუღებდა ყავას, უფრო სიხარულითაც შემო-ჰქონდა ჩემთან კაბინეტში და უფრო დიდხანსაც რჩებოდა, ვიდრე დირექტორთან. მეც მომწონდა მის გვერდით ყოფნა. ცოტა ხანში დავახლოვდით; კიდევ ცოტა ხანში უერთმანეთოდ ვეღარ ვძლებდით; კიდევ ცოტა ხანში დავინიშნეთ და კიდევ ცოტა ხანში ქორწილიც გადავიხადეთ. მართალია, მამამისი, ბატონი იცხაკი, მაინცდამაინც აღტაცებული არ იყო უთვისტომო სიძით, მაგრამ, მას მერე, რაც ძველი პასპორტი გადავაგდე, ცოლის გვარზე დავ-ენერე, ებრაული ქუდი დავიდე კინკრიხოზე და გერმანულ-ებრაულ ენაზე – იდიშზე დავინყე ლაპარაკი, თავის სამ სიძეს შორის საუკეთესოდ დამასახელა. შაბათობით სინაგოგაში დავდიოდი, მაგრამ სარწმუნოება არ გამომიცვლია, ჯვარს ვატარებდი. რებეკამ იცოდა, მაგრამ მამამისს არ ეუბნებოდა.

ერთ წელიწადში მოშე შეგვეძინა, კიდევ ერთ წელიწადში – სარა. რებეკა კარგი ცოლი გამოდგა: ქმრის მორჩილი, ჭკვიანი, კარგი დედა. რა კარგი იყო ოჯახი, თბილი კერა. ნელ-ნელა დავი-წყებას ეძლეოდა გამოვლილი ჯოჯოხეთი.

ჩემი წარსულის შესახებ არავის ვუყვებოდი, რებეკამაც კი არ იცოდა, ვინ ვიყავი და სადაური. არც მეკითხებოდა – ჭკვიანი გოგო იყო რებეკა...

გადიოდა წლები. მე ვმუშაობდი, ბავშვები იზრდებოდნენ. მოშე მეორე კლასში სწავლობდა, სარა – პირველში. რებეკას მუშაობის აუცილებლობა აღარ იყო, ოჯახს უვლიდა.

ერთ დღეს, სამსახურიდან სახლში მომავალს ქართული ლაპარაკი შემომესმა. ყურებს არ დავუჯერე. როგორ მომნატრებია მშობლიური ენა. გულმა ვეღარ მომიტმინა, დავუძახე:

– ბიჭებო, ქართველები ხართო?!

– კიო. შენ ქართველი ებრაელი ხარო? – მიპასუხეს მეზღვაურის ფორმაში გამონწყობილმა ბიჭებმა.

– არა, ებრაელი არ ვარ, ქართველი ვარ, მაგრამ ებრაულად მაცვიაო! – და ქუდი მოვიხადე.

უცბად ეს ბიჭები ძალიან ახლობლები მეჩვენენ, მომინდა მათთან ერთად დაჯდომა და ჭიქის აწევა.

– წამოდით, სადმე დავსხდეთ და დავილაპარაკოთ, მე გპატიუებთო, – ვუთხარი. სიხარულით დამთანხმდნენ. იქვე, პორტის ბარში შევედით და ღვინო და ბუტერბროდები შევუკვეთე.

დავლიეთ ერთი...

დავლიეთ მეორე...

მესამე...

მეოთხე...

– აქ როგორ მოხვდიო?

ეს ბიჭები ტყუილს არ იმსახურებდნენ, ყველაფერი მოვუყევი, არაფერი დამიმალავს. თითქოს გულიდან ლოდი მომეხსნაო. რა ძნელი ყოფილა საიდუმლოს შენახვა, როცა გამნდობი არავინ გყავს...

კიდევ დავლიეთ...

– წამოდი, ახლა ჩვენთან გავაგრძელოთო!

წავყევი, გემზე ავედით, იქაც დავლიეთ. მახსოვს, ქართველები დაგვემატნენ. კიდევ ერთხელ მომაყოლეს ჩემი ამბავი. უკვე ვლულლულეებდი...

* * *

გემის კაიუტაში გაელვიდა სანოლზე ხელბორკილით მიბმულს. ჰორიზონტზე ნაპირი აღარ ჩანდა, მხოლოდ ოკეანის ტალღები ალივლივებდნენ შუადღის მზის სხივებს...



ნადარბაზივის ტბა

დღე პირველი

– ეს აქ საიდან მოვიდაო? – იკითხა ბიჭმა ანკესის ტივტივასთან მოცურავე განავალზე.

– ხო, მაგაზე კარგ ამბავს მოგიყვებითო! – თქვა მამამ და დაიწყო:

„უხსოვარ დროში, ამ ტბის აღმოსავლეთით, ორი მეომარი სახელმწიფო მდებარეობდა – ქვემო რენე და ზემო რენე.

ქვემო რენეში ქვემორენელების ტომი ბინადრობდა მეფედედოფლით, პატარა მეფისნულით, შუბებით შეიარაღებული ჯარით, გალავნის გარშემო ჩაყენებული ცეცხლსასროლებითა და გალავნის ქონგურებზე განლაგებული კუპრის ქვაბებით.

ვაჟკაცი ხალხი იყო ქვემორენელები, მომხვედურს კომბლებით ხვდებოდნენ, მოყვარეს ღვინით.

ზემო რენეში კი ზემორენელების ტომი ბინადრობდა მეფედედოფლით, პატარა მეფის ასულით, მშვილდ-ისრებით შეიარაღებული ჯარით, გალავნის გარშემო ჩაყენებული ქვებსასროლებით და გალავნის ქონგურებზე განლაგებული კუპრის ქვაბებით.

ვაჟკაცი ხალხი იყო ზემორენელებიც, მომხვედურს კეტებით ხვდებოდნენ, მოყვარეს – ლუდით, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, ქვემორენელები რომ ამოვიდნენ ზემო რენეში, მოყვრულად სუფრა რომ გაუშალეს ზემორენელებმა და რომ დალიეს და დათვრნენ, მაინც ჩხუბით დაამთავრეს მოყვრობა, კეტებით გაირეკეს წინ ქვემორენელები და უკნიდან ქვებიც მიაცოლეს.

ერთი წლით ადრე ზუსტად იგივე შემთხვევა მოსვლიათ ზემორენელებს სტუმრად ამოსულ იგოეთელებთან. მართალია,

იგოეთის სახელმწიფოს მეფე ბოლმისგან ცოფებს ყრიდა და ნერვიულობისგან ცალი თვალის პაჭუნი დასჩემდა, მაგრამ ომს მაინც ვერ ბედავდა, რადგან იგოეთში ახლაც კარტოფილის მეტი არაფერი მოდის და, მაშინ, როცა ჯერ კიდევ ამერიკა არ იყო აღმორჩენილი და კარტოფილი შემოტანილი, ჯარისთვის რა უნდა ეჭმია. ამიტომ იყო გაჩუმებული – ვითომ ზემორენელებს აპატია, გამალეხულ შეიარაღებაზე გადავიდა და თავის დროს ელოდებოდა.

ქვემორენელმა კი, რადგან მათთან ხილიც მოდიოდა, ბოსტნეულიც და ცხვარიც ბევრი ჰყავდათ, სასწრაოდ აფრინეს შიკრიკი იგოეთში და დახმარება სთხოვეს, გამარჯვების შემთხვევაში კი ზემორენეს თანაბრად გაყოფას ჰპირდებოდნენ, რაზეც იგოეთელები სიხარულით დათანხმდნენ და, ვინაიდან ქვემორენელების ჯარი შუბებით იყო შეიარაღებული და შორს ბრძოლაში უპირატესობა მშვილდ-ისრებით შეიარაღებულ ზემორენელებს ჰქონდათ, მთელი ჯარის სამყოფი მშვილდ-ისრები გადასცეს და სროლის სპეციალისტი ორი ინსტრუქტორიც გაუგზავნეს.

შვიდ დღეს გაგრძელდა ომი, შვიდი დღე იღვრებოდა სისხლი. მართალია, ქვემორენელები და იგოეთელები რიცხოვნობაში მტერი იყვნენ, სამაგიეროდ, ზემორენელები ზევით იყვნენ განლაგებულები და თან კარგად ამუშავებდნენ ქვებსასროლებსა და კუპრის ქვაბებს, რითაც ისრის სასროლ მანძილზე არ უშვებდნენ მტერს.

სულზე მოუსწრო ქვემორენელებსა და იგოეთელებს გალანვიდან ზავის სათხოვნელად თეთრი დროშით გამოსულმა ზემორენეს დესპანმა, თორემ, ალყის მოხსნასა და უკან გაბრუნებას აპირებდნენ. დაიდო ზავი. ზავის პირობებით, ქეიფში მოჩხუბარი ზემორენელები გააშიშვლეს და სახალხოდ გაროზგეს, ხოლო ცემის საკომპენსაციოდ, ორას-ორასი კვადრატული არშინი სათიბი მიწა გადაეცათ ქვემორენესა და იგოეთს. სამართალმა პური ქამა, დროებით მტრობა დაივიწყეს და ურთიერთობები

აღადგინეს.

გავიდა ხანი. ქვემო რენეს მეფისწული ბადრი თექვსმეტი წლის გახდა, გაიზარდა, დავაჟკაცდა, წვერ-ულვაში დაიყენა. ხშირად გამოდიოდა ორ სახელმწიფოს შორის მინდორზე და თანატოლებს ეჯიბრებოდა ისრის სროლასა თუ შუბის ტყორცნაში.

ზემო რენეს მეფის ასული მზიაც თექვსმეტი წლის გახდა, გაიზარდა, დაქალდა, მკერდი დაიყენა. ისიც ხშირად გამოდიოდა საზიარო მინდორზე და თანატოლებთან ერთად ხან ქსოვდა, ხან ბიჭების შეჯიბრებას ადევნებდა თვალს.

რატომღაც, თუ მზია უყურებდა, ბადრი უფრო მონდომებით ისროდა ისარს ან ტყორცნიდა შუბს. მზია კი, თუ ბადრი ვარჯიშობდა, აუცილებლად თავს ანებებდა ქსოვას და მას შესცქეროდა. ვერ გაეგოთ, ერთმანეთის დანახვაზე რატომ უჩქარდებოდათ სუნთქვა და გული ამოვარდნას რად ცდილობდა.

ბოლოს ორივე მიხვდა, რომ ეს სიყვარულის გრძნობა უნდა ყოფილიყო. შეხედეს ერთმანეთს, გაუღიმეს, ხელი ჩაჰკიდეს და, იმ დღის მერე, გაეცლებოდნენ ხოლმე ყველას და ყველაფერს და ხელჩაკიდებულები დადიოდნენ. სალაპარაკოს რა გამოუღევედათ, ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, უზომოდ ბედნიერები.

თივის ზვინში შეერწყნენ და შეჰფიცეს ერთმანეთს ერთგულება სიცოცხლის ბოლომდე. იქვე დაეძინათ.

– სად არის ჩემი გოგო?! – ჩამოეჭრა ზემო რენეს მეფე ამალით, ქვემო რენეს მეფეს.

– სად არის ჩემი ბიჭი?! – უპასუხა ქვემო რენეს მეფემ.

– შენ გადამალე ჩემი გოგო! – შეუტია ზემო რენეს მეფემ.

– შენ გადამალე ჩემი ბიჭი! – არ დაუთმო ქვემო რენეს მეფემ.

– აბა, კომბლებიო!

– მე დავბრუნდები და გაგანადგურებო!

– შუა მინდორზე შევხვდეთო!

– კარგი, ეგრე იყოსო!

რომ გაელვძიათ, ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო. მინ-

დორი, სადაც გაიცნეს ერთმანეთი და სადაც ხელჩაკიდებული დადიოდნენ, გვამებით იყო მოფენილი. ერთმანეთს თვალებში ჩახედეს – სამშობლოსთან დადებული ფიცი ერთმანეთის მტრობას აიძულებდა, თივის ზვინში დადებული ფიცი კი – სამუდამო სიყვარულს. ფიცის გატეხა? არა, ფიცის გატეხა არ შეიძლებოდა!...

იმ მთაზე ავიდნენ. დაღამდა, მთის იქიდან ბადრი მთვარე ამოვიდა და არემარე მზესავით გაანათა. ასე იდგნენ ერთხანს ხელჩაკიდებულები, მერე თითქოს ნიშანი მისცესო – ფრთებგაშლილი ანგელოზებისვით გადმოფრინდნენ მთვარის შუქით განათებულები, სანამ უფსკრულში არ ჩაიძირნენ...“

* * *

– ეხლა მე მომისმინეთო! – და მოყვა ბიძა ამბავს:

„უხსოვარ დროში, რენესანსის პერიოდში, როცა ორივე რენე ბადრისა და მზიას სიყვარულის ძალით გაერთიანდა, ცხოვრობდა ერთი ბრძენი, სახელად სამსონი. ექვს ენაზე ლაპარაკობდა სამსონი, ათ მეცნიერებას იყო დაუფლებული, არავინ იცოდა სადაური იყო: ერთნი ამბობდნენ – სპარსიაო, მეორენი – ბერძენიაო, მესამენი – ჰურიანიაო, მეოთხენი – ეგვიპტელიაო. ქართველს არავინ ამბობდა, არადა, ნამდვილი ქართველი იყო – გორის იმპერიიდან.“

მარტო რენეელები კი არა, იგოეთელები, სამთავისელები, ოკამელები და თვით კასპიდანაც კი მოდიოდნენ მასთან ჭკუის საკითხავად. ისიც უანგაროდ, ანაზღაურების გარეშე არიგებდა ჭკუას, ასწავლიდა სწავლის მსურველთ და კურნავდა ავადმყოფებს.

ერთი ქალი მივიდა სამსონთან სამკურნალოდ:

- ამა და ამ კაცისგან ორსულად ვარ და მუცელი მომიშალეო!
- ბუნების წინააღმდეგ ვერ ნახვალ, უნდა გააჩინოო!
- მერე, როგორც კი მუცელი შემეტყობა, რენეს უზენაესი სა-

სამართლო ჩემი ნაბილწვისთვის ჩემს კაცს რომ სიკვდილს მიუფხისო?

– რას იზამ, ეგეთი ხვედრი ჰქონიაო!

შეეცყო მუცელი...

– ბავშვის მამა ვინ არისო?

– ბრძენი სამსონიო!

მოინვიეს უზენაესი სასამართლო...

– შე გათახსირებულოო!

– შე გაფუჭებულოო!

– ბრძენი არა, მთხლეო!

არ უთქვამს სამსონს, რომ იცოდა, ვინ იყო მამა. არც ის უთქვამს, რომ ქალის დაორსულება არ შეეძლო, რადგან ბავშვობაში დაასაჭურისეს.

– სიკვდილით დასჯაო!

– კარგიო! – თქვა სამსონმა.

– არა, ბევრი კარგი აქვს გაკეთებული, სახელმწიფოდან გასახლებაო!

– კარგიო! – თქვა სამსონმა.

მტკვრის პირას გაასახლეს ქალაში.

– შენთან არავინ მოვაო!

– კარგიო! – თქვა სამსონმა.

პატარა ქოხი ჩადგა, ისლით დახურული. ქოხის გვერდით ბოსტანი გააკეთა, მტკვარში თევზს იჭერდა და როგორღაც გაჰქონდა თავი.

რამდენიმე თვეში მოადგნენ:

– შენი ნაბიჭვარი შენა გყავდესო!

– კარგიო! – თქვა სამსონმა.

– ავადმყოფია, მაინც ვერ იცოცხლებსო!

– რომ მოკვდება, მტკვარში არ გადააგდო, თორემ დაგსჯითო!

– კარგიო! – თქვა სამსონმა.

მოუარა, გადაარჩინა, სიკვდილს ხელიდან გამოსტაცა, გა-

მოაჯანმრთელა, ლელა დაარქვა...

იზრდებოდა ლელა, მამა-შვილი ლუკმას იყოფდა, ერთმანეთის მზეს იფიცებდა, ბედნიერებისათვის ღმერთს მადლობას სწირავდა.

ასწავლიდა უცხო ენებს, საბუნებისმეტყველო საგნებს, იურისპრუდენციას...

ისევ მოადგნენ:

– ის კაცი ქვეყნიდან წავიდაო!

– ქალმა რომ დაინახა, კაცს ხელს ველარ ვახლებდით, ყველაფერი აღიარაო!

– მამა ის კაცი ყოფილაო!

– შენ თვისუფალი ხარ, შეგიძლია, სახელმწიფოში დაბრუნდო!

– კარგიო! – თქვა სამსონმა.

არ დაბრუნდა, იქვე დარჩა თავის შვილთან ერთად, იმ ბედნიერ ქოხში.

გაიზარდა ლელა, თოთხმეტი წლის გახდა. უკვე ფიქრობდა სამსონი – რომ გათხოვდება, რა მეშველება, დარდით მოვკვდებიო! ავდგები და ბიჭს ზედსიძედ მოვიყვანო!...

ისევ მოადგნენ:

– ის კაცი ჩამოვიდა, ქალი ცოლად მოიყვანა და ბავშვს ითხოვენო!

– არაო! – თქვა სამსონმა და ჩასისხლიანებული თვალები გადმოეკარკლა.

– როგორ არა, შენ გაამზადე, ამ საღამოს მოვალთ და წავიყვანთო!...

ქოხში რომ შევიდნენ, სამსონი იქ არ დახვდათ. საწოლზე ჯერ კიდევ ხრიალებდა ყელგამოღადრული ლელა...

ხარხარის ხმა გაიგონეს და გარეთ გამოცვივდნენ. მთის იქიდან ბადრი მთვარე ამოსულიყო და არემარეს მზესავით ანათებდა, რომელსაც გაბმულად შეჰყმუოდა მგელი...

ამბობდნენ, ხან ადამიანია და ხარხარებს, სავსე მთვარეზე კი მგლად გადაიქცევა და ყმუისო...”

- ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, ეს განავალი საიდანო?
- რა ვიცი, შვილო, ალბათ ქნა ვილაცამო!...

* * *

ამასობაში დაბნელდა და მანათობლიანი ტივტივებით გააგრძელეს თევზაობა. ანკესის ზარმა დაინკარუნა.

– ბიჭო, მიდი, მოჩხრიკეო! – თავი ასწია და დაინახა, ზუსტად იმ მთის იქიდან ამოგორებულები დიდი, სავსე მთვარე. გაისმა ქორქალას კისკისი და აჰყვა მგელი გაბმული ყმუილით, მთვარით განათებულ მთის წვერზე კი გადმოსაფრენად გამზადებული, ხელჩაკიდებული ბიჭისა და გოგოს სილუეტები გამოისახა.

დღე მეორე

– ეს აქ საიდან მოვიდაო? – იკითხა ბიჭმა, ანკესის ტივტივასთან მოცურავე ქრელ ბუმბულზე.

– ხო, მაგაზე კარგ ამბავს მოგიყვებითო! – თქვა მამამ და დაინყო:

– უხსოვარ დროში, ელადის ქალაქ ათენში, ერთი არქიტექტორი და მოქანდაკე ცხოვრობდა – სახელად დედალოსი.

– ხო, ვიცი, რომ გაფრინდაო?!

– არაფერიც არ გაფრენილა, შენისთანა არიფებს ეგონათ, რომ გაფრინდა, თორემ ყველაფერი სხვანაირად იყოო! – უპასუხა მამამ.

– ჰოდა, ამ დედალოსმა, გამოიგონა შვეული და ასწავლა ბერძნებს კედლების სწორად აგება. მარმარილოსგან ისეთი მფრინავი კაცი გამოაქანდაკა, ხალხს ნამდვილი ეგონა და სანახავად მიდიოდა. დედალოსს ერთი ბიჭი ჰყავდა შეგირდად, დისშვილი

– ტალოსი, რომელიც, ბიძამისივით, გამომგონებლის ნიჭით იყო დაჯილდოებული. თევზის ფარფლებმა მას ხერხის შექმნა შთააგონა, წრის დასახაზად ფარგალი გამოიგონა. ფარგლით ხეზე წრე დახაზა, ხერხით გამოჭრა, სატრიალო გაუკეთა და თიხის ქურჭლის დასამზადებელი დაზგა მზად იყო.

ათენში ცხოვრობდა კიდევ ერთი გამომგონებელი და პოეტი – ედიოსი, რომელსაც შურდა დედალოსისა და ტალოსის წარმატებები და გადაწყვიტა მათი გამომგონებების და სახელოსნოს ხელში ჩაგდება. ორივეს ვერ მოერეოდა, ამიტომ, ედიოსმა ტალოსი გაიტყუა აკროპოლისის კლდის ქიმზე, უკნიდან ხელი ჰკრა და გადმოაგდო. დარჩა დედალოსი მარტო, ერთგული შეგირდის გარეშე. მისი შვილი – იკაროსი, ჯერ პატარა იყო და ვერ ეხმარებოდა.

კუნძულ კრეტას განაგებდა მეფე მინოსი, რომელმაც შესთავაზა დედალოსს მინოტავრისთვის – ნახევრად ხარისა და ნახევრად ადამიანისთვის, სასახლის – ლაბირინთის აგება. დედალოსი გადავიდა კუნძულ კრეტაზე და მრავალი წლის განმავლობაში აგებდა სასახლეს.

ამ დროს, ათენში, ედიოსმა დაწერა პოემა „დედალოსის გაფრენა“, სადაც აღწერდა: როგორ გაშალა ფრთები დედალოსმა, როგორ აიჭრა ცაში, კამარა შეჰკრა და ზღვის ტალღებს ზემოთ, ლაჟვარდში გაუჩინარდა. ხალხმა დაიჯერა პოემის სიმართლე, რადგან ნანახი ჰქონდათ დედალოსის გამოქანდაკებული მფრინავი კაცი. სულმოუთქმელად ელოდებოდნენ დედალოსის დაბრუნებას, რომ მათთვისაც ესწავლებინა ფრენა.

გავიდა წლები, დაამთავრა დედალოსმა ლაბირინთის აშენება და დაბრუნდა ათენში. სახლში მივიდა. იქ ედიოსი დახვდა, მისი ცოლი მოეყვანა ცოლად. სახელოსნოში მივიდა, იქაც, ყველაფერს ედიოსი განაგებდა. აგორაში დაიბარეს, ფრენის სწავლება მოსთხოვეს. რა უნდა ესწავლებინა, რაც არ იცოდა?! ადგნენ, და ელადადან გასახლება მიუსაჯეს.

– მაგაზე რენეს ამბები გამახსენდაო! – ჩაერთო ლაპარაკში ბიძა:

– უხსოვარ დროში, ამ ტბის აღმოსავლეთით ქვემო და ზემო რენეს სახელმწიფოები რომ იყო და მერე რენეს სამეფოდ გაერთიანდა, ალბათ, გახსოვთო! – ჰოდა, მძიმე დღეები დაუდგა რენეს სამეფოს – გორის იმპერიამ დაიპყრო და შეიერთა. იპოვეს რენეში რენეგატები (მოღალატეები) და დასვეს სათავეში. სათათბირო დარბაზშიც სულ თავისიანები ჰყავდათ. რასაც უნდოდათ, იმას აკეთებინებდნენ. ძველისძველი რენეული კულტურა ნადგურდებოდა, მდიდარი რენეული ენა გორული „მარავიულით“ ჩაენაცვლა. რენეს ველზე გორული გარნიზონი იდგა.

– ჯარო, მზად ხართ ბრძოლისთვისო?

– მააო! – უპასუხებდა ჯარი.

– მზად ხართ თავდაცვისთვისო?

– რავი, აბაო! – ისმოდა მთელ რენეში.

რენეს ხელმწიფედ, რენეელი რენეგატი – შადიმანი დასვეს. 15 წელი იმეფა შადიმანმა, ბევრი სამშობლოს ერთგული ვაჟყავცი შორეულ ახალციხეში გადაასახლა, მათ შორის, ცნობილი მამულიშვილები – ძმები: ბაქარი და ელიზბარი. შადიმანმა ისე გამოიჩინა თავი, რომ გორში გადაიყვანეს მაღალ თანამდებობაზე და რენეს ზედამხედველობაც დაავალეს. მან, თავის ერთგულ ხალხს – ნოშრევანს და ყარამანს გადააბარა რენეს მართვა.

როგორც ყველა იმპერიას მოსდის, გორის იმპერიამაც რღვევა დაიწყო. დაპყრობილი სახელმწიფოები ველარ ამარაგებდნენ იმპერიას: პურით, ხორციით, რძით, ცხიმით, კვერცხით... დაიწყო შიმშილობა. პატიმრები სახლში გამოუშვეს. ბაქარი და ელიზბარი სამშობლოში დაბრუნდნენ, სათავეში ჩაუდგნენ გამათავისუფლებელ მოძრაობას და თითქმის ყოველდღე მართავდნენ საპროტესტო აქციებს.

– ყოველდღე მიტინგებია, რა ვქნათო? – კაცი აფრინეს ნოშ-

რევანმა და ყარამანმა შადიმანთან.

– მოთავეები რამდენნი არიანო? – იკითხა შადიმანმა.

– ორნი არიანო! – მოახსენეს.

– ერთი მოიცილეთო!

– მერე მეორეო? – ჰკითხეს ნოშრევანმა და ყარამანმა.

– ჩვენს ხალხს გადააცვით, შეგზავნეთ გამათავისუფლებელ მოძრაობაში, მხარი დაუჭირონო! – შემოუთვალა შადიმანმა.

ელიზბარი რენედან კავთისხევში რომ მიდიოდა, ვილაცებმა ეტლს მორი შეუგდეს და კლდიდან გადაჩეხეს. დარჩა ბაქარი მარტო.

– ბაქარი მეფე რომ გახდება, მაშინ გვეშველება, მეორე დღესვე კარგი ცხოვრება დაიწყებაო! – გაჰყვიროდნენ ხალხში შადიმანის გადაცმული კაცები.

– ცხოვრება, ვერ შეიცვლება ერთ დღეში, მაგას დრო სჭირდებაო! – ამბობდა ბაქარი, მაგრამ ვინ მოუსმინა, ხალხს უცებ უნდოდა ცხოვრების გაუმჯობესება.

დასვა ხალხმა მეფედ ბაქარი, დაიწყო აღმშენებლობისთვის მზადება. რენე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

– რა ვქნათო? – კაცი გაუგზავნეს შადიმანს, ნოშრევანმა და ყარამანმა.

– მიტინგები ჩაატარეთ და დანაპირების შესრულება მოსთხოვეთ, თანაც შეიარაღდითო! – შემოუთვალა შადიმანმა.

– ახლავე რატომ არ უმჯობესდება ცხოვრებაო? – დაინყეს მიტინგები შადიმანის კაცებმა. გამოიყვანეს მსროლელები და დაუშინეს ისრები ბაქარის ხალხს. ძმათა სისხლი რომ არ დაღვრილიყო, ბაქარი იძულებული გახდა, სხვა სახელმწიფოში გადასულიყო.

შადიმანი გორიდან რენეში გადმოვიდა. მართალია, რენე გორის იმპერიას გამოეყო, მაგრამ სამეფოს ისევ ძველი რენეგატები – შადიმანი, ნოშრევანი და ყარამანი მართავდნენ.

* * *

მხოლოდ დედალოსის შვილმა – იკაროსმა დაიჯერა, რომ ადამიანს ფრენა შეეძლო! – გააგრძელა მამამ თხრობა.

– შეაგროვა ფრინველის ფრთები, გადააბა ერთმანეთს სელის ძაფით, ბოლოები სიმყარისთვის ცვილით გაამაგრა, ფრთები მხრებზე მოირგო, დაიქნია და ცაში აიჭრა. გაფრინდა ზღვის მიმართულებით, ცდილობდა, ზღვის ზედაპირთან ახლოს არ ეფრინა, რომ ფრთები არ დასველებოდა. ავიდა მაღლა, უფრო მაღლა, მაგრამ მზემ ცვილი დაადნო, ბუმბული დასცვივდა და ზღვაში ჩავარდა. დამხრჩვალ იკაროსი ზღვამ კუნძულზე გარიყა. იქვე დამარხეს.

- ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ეს ბუმბული საიდანო?
- ვერ მიხვდი? იკაროსს გასცვივდაო!

* * *

ამასობაში დაბნელდა და მანათობლიანი ტივტივებით გააგრძელეს თევზაობა. ანკესის ზარმა დაინკარუნა.

– ბიჭო, მიდი, მოჩხრიკეო! – თავი ასწია და დაინახა: მთის იქიდან ამოგორებულიყო დიდი, სავსე მთვარე. ტბის ზემოთ კი, მთვარის შუქით განათებული, ფრთებგაშლილი ადამიანი მილივლივებდა. არც ტალღები უსველებდა ბუმბულს და არც მთვარე ადნობდა ფრთებზე ცვილს.



პიგმალიონი

დაბალი ტანის ბიჭს – განიერი მხრებით, შავგვრემანი ფართო სახით, გადაბმული წარბებით, მრგვალი შავი თვალებით, სქელი ტუჩებით, განზე გასული ყურებით, შუბლზე ჩამოყრილი გრუზა თმითა და ჯინსის შარვალში ჩატანებული, წელში გამოყვანილი კოპლებიანი პერანგით, ყოველდღე დაინახავდით უცხო ენების ინსტიტუტის წინ, თეთრი ვარდით ხელში.

– აი, შენი „პიგმალიონი“ მოსულაო! – სიცილით ეუბნებოდნენ დაქალები სიბრაზისგან აჭარხლებულ გოგოს.

ბიჭი მივიდოდა, ვარდს ხელში მიაჩეჩებდა, არაფერს ეტყოდა, შებრუნდებოდა და წავიდოდა.

– გამიჭირა საქმე, ერთი უნდა გავლანძლოო! – იმუქრებოდა ყოველდღე, მაგრამ მაინც ართმევდა ვარდს.

– რას გიშავებს, ყვავილს გჩუქნისო!

– მოიცა ერთი, რას ჰგავს, მრცხვენიაო!

* * *

„გეპეიში“ გაქანებული სესიების პერიოდი იყო, მაგრამ სტუდენტები მაინც შეიკრიბნენ 23 იანვარს, ჯგუფელის დაბადების დღეზე. პირველად იქ ნახა. იუბილარის მეზობლად უცხოვრია. გარეგნობამ, დახვეწილმა მანერებმა, მოსწრებულმა სიტყვა-პასუხმა, აჟღერებულმა გიტარამ, უცხო ენაზე ნამღერმა მოხიბლა ბიჭი... და, შეუყვარდა, შეუყვარდა უნუგეშოდ, ისე, როგორც კვაზიმოდოს უყვარდა ესმერალდა. არა, უფრო უნუგეშოდ – კვაზიმოდო ელაპარაკებოდა მაინც, ამას ხმაც არ გაუცია.

საქართველოში თავისუფლების სიომ დაბერა. აპრილის იმ მზიან დღეებში მთელი საქართველო რუსთაველზე დაეცა. ხვევნა, კოცნა, სიყვარული, სიხარული... ერთიანი და ძლიერი საქართველოს სული ბობოქრობდა. მთავრობის სასახლის კიბეებზე, მარჯვნივ და მარცხნივ, მოშიმშილეთა კარვები იყო განლაგებული. შუაში რუპორიანი ორატორები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. რუსთაველის პროსპექტი ხალხს ვერ იტევდა. კიბეების ძირში კოცონი ბურბურებდა – ხალხი პარტიზლებს ნვაავდა. შიში დაძლეული იყო. მომიტინგეებს რაიონებიდან ემატებოდა ახალ-ახალი ნაკადები.

– ზესტაფონი ჩვენთანააო!

– აბაშა ჩვენთანააო!

– თელავი ჩვენთანააო!

– მთელი აჭარა ჩვენთანააო! – მქუხარე ტაში. გამოდიან რაიონების წარმომადგენლები, ხალხს ესალმებიან. ისევ ორატორები:

– საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერიააო! საქართველო უნდა გამოეყოსო! ჩვენ ამერიკა დაგვიცავსო! – ეს რა ესმის ყურებს! დროდადრო რუსლან მიქაბერიძე გამოდის მოსწრებული ლექსით, ხალხს ამხიარულებს. მერე ისევ ორატორები გამოდიან:

– რუსეთის მოდერნიზებული იმპერია უნდა დავანგრიოთ, მატარებლები არ უნდა შემოვუშვათ, რუსეთს ბლოკადა გამოვუცხადოთ. ღვინოს, ციტრუსებს, ჩაის და „ბორჯომს“ ევროპაში გავყიდით, იმ ფულით ნავთობს აზერბაიჯანიდან შემოვიტანთ, პურს კანადიდან შემოვიტანთ!

– შენი დედაო! – დაუყვირა ორატორს ხალხში მდგარმა, შეზარხოშებულმა შუა ხნის მამაკაცმა.

– რატომ ავინებ? კრემლის აგენტი ხარო! – შეუძახეს აქეთ-იქიდან.

– თქვენ მე მასწავლით? ჩემი შვილია, სახლის ქვეშ გვაქვს პურის მაღაზია, იქიდან ვერ ამოუტანია, ეგ კანადიდან არის პურის შემომტანო?!

ისევე ორატორთა გამოსვლები:

– ხალხის ნაწილი ღამით უნდა დარჩეს, რომ მილიციამ მოედანი არ დაიკავოსო!

შუა რუსთაველის პროსპექტზე კოცონი დაანთეს.

– აპრილია, ღამით მაინც სუსხიაო! – კოცონის გარშემო გოგო-ბიჭები ცეკვავენ.

* * *

– ვარდი მიყვარსო. წითელი ვარდი სიყვარულის მანიშნებელია, თეთრი – მეგობრობისო!

და ვარდები... ყოველდღე თეთრი ვარდი, წითელს ვერ შეჰბედავს... კოლმეურნეობის მოედანზე იყიდის, ვაკეში გავა, დაელოდება, მივა, ხელში მიაჩეჩებს, შემობრუნდება და წამოვა. უკან არ მიიხედავს, რომ არ დაინახოს, როგორ მოისვრის გოგო ვარდს სანაგვე ურნაში.

* * *

შემდეგ დღეებშიც იგივე მეორდება: იგივე ორატორები, იგივე მონოდებები, იგივე შემართება. მხოლოდ მოშიმშილეთა ზემოთ გაკრულ პლაკატზე იცვლება წარწერა: „შიმშილობის მეორე დღე, შიმშილობის მესამე დღე, შიმშილობის მეოთხე დღე“...

8 აპრილის საღამოს, რუსთაველის პროსპექტზე, ლენინის მოედნის მხრიდან, დადგა ტანკებისა და ბრონირებული მანქანების კოლონა, რომლის წინაც განლაგდნენ ჩაფხუტიანი და ლითონისფარიანი სამხედროები. ცაში ტრიალი დაიწყეს სამხედრო ვერტიფერენებმა.

პატრიარქი გამოჩნდა ტრიბუნაზე:

– მე შემატყობინეს, რომ ცოტა ხანში შეტევაზე გადმოვლენ,

საფრთხე რეალურია, გთხოვთ, წავიდეთ ეკლესიაში და იქ ვილოცოთო!

– არაო! – თქვა ერთ-ერთმა ორატორმა.

– არაო! – გაიმეორა ხალხმა.

– მამაო ჩვენო! – დაიწყო ორატორმა.

– მამაო ჩვენო! – გაიმეორა ორატორის ნათქვამი პატრიარქის თხოვნის უგულვებელმყოფელმა ხალხმა...

9 აპრილს, დილის 4 საათზე გადმოვიდნენ შეტევაზე. წინ ჯარი მოუძლოდა ფარებზე ხელკეტების ბრახუნით, უკან ტანკების კოლონა მიჰყვებოდა.

– „დაუჯარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს!..“ – ზარივით წკრიალებდა ჰაერში ბრმა ქალის სიმღერა. მომწამვლელი გაზის ბალონები გადმოყარეს, არემარე მწარე ბოლში გაეხვია. ალესილი ნიჩბებით დაიწყეს მომიტინგეების ჩეხა. გოგონა ხალხის ნაკადმა ქაშუეთის ეკლესიის წინ მიაგდო. გრუზა თმებითა და კოპლებიანი პერანგით იცნო. თავზე ჭრილობიდან სისხლი ასხამდა, სახე წითლად ჰქონდა შეღებილი, ზურგზე ქალი ჰყავდა მოკიდებული და ქაშუეთის ეკლესიისკენ მიათრევდა. შეიყვანა, გამოვიდა, პროსპექტი გადაკვეთა, სხვა წამოიკიდა ზურგზე და წაათრია. ეკლესიამდე ვერ მიაღწია, ჩასასვლელთან ჩაიკეცა.

– ვაიმე, პიგმალიონოო! – დაიკივლა გოგომ და ბიჭისკენ გაინია. არ აცალეს, ხალხის ნაკადმა გაიტაცა...

* * *

ბიჭს საავადმყოფოში გაელვია. არ ახსოვდა, აქ როგორ მოხვდა. დაბინტული თავი უფეთქავდა, გულისრევის შეგრძნება ჰქონდა. პალატა მოათვალა. მარცხენა მხარეს, ტუმბოზე, ლარნაკიდან წითელი ვარდი უღიმოდა.



დაბადება

- შეხედე, რა ლამაზი ცააო!
- ხო, ივლისში ეგრე იცისო!
- დიდი დათვის თანავარსკვლავედი რომელიაო?
- აი, ხედავ, ციცხვს რომ ჰგავსო!
- ნეტავ, სამყარო რამხელააო?
- სამყარო დიდია, გაფუებულიაო!
- როგორ, თუ გაფუებულიაო?

* * *

დასაწყისში ღმერთმა შეჰქმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური. ბნელი იდო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვროდა ნყლებს ზემოთ.

და თქვა ღმერთმა: „იყოს ნათელი!“ და იქმნა ნათელი. და იხილა ღმერთმა ნათელი, რომ კარგი იყო და განყო ნათელი ბნელისაგან. და უწოდა ნათელს დღე, ხოლო ბნელს - ღამე. და გავიდა საღამო, და დადგა დილა.

* * *

- ალბათ, ფიზიკიდან გემახსოვრება, რომ ყველაფერი შედგება ატომებისგან. ატომები კი შედგება ბირთვისგან და მის გარშემო მბრუნავი ელექტრონებისგან. ეს ელექტრონები ისეთი სიჩქარით ბრუნავენ ბირთვის გარშემო, რომ უძლიერეს მიკროსკოპში, რომელიც მილიონჯერ ადიდება, ატომი, პატარა ბურთივით მოსჩანსო!

- ახლა, ნუ დამიწყე ფიზიკაო!
- ხო, კარგი, უფრო გასაგებად ავიხსნიო!

* * *

და თქვა ღმერთმა „იყოს კამარა წყლებს შორის მათ გამყოფად“. და შეჰქმნა ღმერთმა კამარა და გაჰყარა ერთმანეთისაგან კამარის ქვემო წყალი და ზემო წყალი. და იქმნა ასე. და უწოდა ღმერთმა კამარას ცა. და გავიდა საღამო, და დადგა დილა.

მესამე დღეს ღმერთმა გაჰყო წყალი და მიწა და ხმელეთზე აღმოაცენა მცენარეები.

* * *

– წარმოიდგინე, ელექტრონი რომ გავზარდოთ სიმინდის მარცვლისხელა, ატომის ბირთვი გახდება ხელისგულის ტოლი, რომლის გარშემოც, ეს სიმინდის მარცვალი იბრუნებს ისეთი სიჩქარით, რომ 100-კილომეტრიანი დიამეტრის ბურთს მიიღებო.

– იმიტომ, რომ ბრუნავსო?

– ხო, მასეა. ახლა წარმოიდგინე, სამყაროში ყველაფერი რომ გაჩერდესო!

– რა მოხდებაო?

– რა, და, 100-კილომეტრიანი ბურთის მაგივრად, ხელისგულის ტოლი ატომის ბირთვი და სიმინდის მარცვლის ტოლი ელექტრონი შეგრჩებაო!

* * *

მეოთხე დღეს ღმერთმა გააჩინა მანათობლები: მზე, მთვარე და ვარსკვლავები. რათა განეყოს დღე და ღამე და განეყარათ ნათელი და ბნელი.

მეხუთე დღეს უფალმა შეჰქმნა ზღვაში თევზები და დედამიწაზე ფრინველები და ცხოველები.

* * *

– მართლაც, მოძრაობისგან, სამყარო გაფუეებული ყოფილაო!

– ხო, ყველაფერი რომ გაჩერდეს, მთელი სამყარო მუჭში

ჩაეტევაო!

– საოცრებააო!

– მეტსაც გეტყვი, ატომის ბირთვის შემადგენელი ნაწილაკები და თვითონ ელექტრონიც ენერგიის ტალღებია. თუ ყველაფერი გაჩერდება, ეგ ტალღებიც არ იქნება და რომ გეგონა, სამყარო მუჭში ჩაგეტია, ფაქტობრივად, მუჭა ცარიელი გაქვსო!

* * *

მეექვსე დღეს ღმერთმა შეჰქმნა ადამიანი თავის ხატად და შეჰქმნა იგი მამაკაცად და დედაკაცად, და აკურთხა ისინი.

დაინახა რა ყოველივე, რაც ექვს დღეში შეჰქმნა, კარგი იყო და მეშვიდე დღეს დაისვენა.

* * *

– კი, მაგრამ სამყარო მოძრაობაში რას მოჰყავსო?

– ენერგიის რხევასო!

– ენერგია საიდან გაჩნდაო?

– სიტყვიდანო!

– როგორ სიტყვიდანო?

– ბგერა - ენერგიის რხევააო!

* * *

თავდაპირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი (იოანე 1,1).



ანომალია

დაბადების დღეზე გაიცნეს ერთმანეთი:

- გოგონი, თქვენ ცეკვავეთ?
 - არა, ვზივარო!
 - მაშინ ადექი და ვიცეკვოთო!
 - ვიცეკვოთო!
- მერე ყველაფერი თავისით მოხდა:
- მოდი, დავლიოთო!
 - დავლიოთ, რაც არის, არისო!
 - ეს ჩვენს გაცნობას გაუმარჯოსო!
 - ეს კიდევ შენ გაგიმარჯოსო!
 - ძალიან ლამაზი ხარო!
 - შენც არა გიშავსო!
 - წამოდი, ბალში გავისეირნოთო!
 - გავისეირნოთო!
 - ხომ არ გცივაო?
 - მცივაო!
 - კიდევ გცივაო?
 - მცივაო!
 - გინდა, გაკოცოო?
 - მაკოცეო!
 - გესმის, „ქვინიაო“?
 - „ქვინიაო“!
 - ხომ არ გეშინიაო?
 - მეშინიაო!
 - რატომ გეშინიაო?
 - მეშინიაო!
 - ნუ გეშინიაო!...

* * *

- მამიდა, მიშველე, მამაჩემი მომკლავსო!
- რა ხნის ხარო?
- ოთხი თვე მისრულდებაო!
- ის ოხერი სად არისო?
- დაიკარგაო!
- უკვე გვიანია, უნდა გააჩინოო!
- მამაჩემს რა ვუთხრაო?
- სახლში რამეზე იჩხუბე და მშობიარობამდე ჩემთან გადმო-
დი საცხოვრებლადო!

* * *

- ზოგი დედა დედაა? რამ დაატოვებინა ესეთი ბავშვიო? –
უთხრა ლოყაზე ხალიანმა ძიძამ „ჩოლკიანს“, სიგარეტის სუნი
რომ ასდიოდა და საწოვარა მოუმარჯვა აჩხავლებულ პატარას.

- ალბათ, უშვილოები აიყვანენ, ასეთ ბავშვს უპატრონოდ არ
დატოვებენო, – უპასუხა „ჩოლკიანმა“, სიგარეტის სუნი რომ ას-
დიოდა, ლოყაზე ხალიანს.

- ასეთ ბავშვებში უცხოელი გეინყვილები დიდ ფულს იხდია-
ნო, – ლაპარაკში ჩაერთო მედდა, წონწონა თავზე წონწონა ქუდი
რომ ეხურა.

- ამ ბავშვს უკვე ჰყავს პატრონი, მაგდა კუკულაძეს მიჰყავ-
სო! – უპასუხა ლოყაზე ხალიანმა და საწოვარა ააქანავა, რადგან
პატარა წოვისგან დაღლილიყო და ჩასძინებოდა...

* * *

თავისი დაბადება არ ახსოვს...

პირველად გონზე მაშინ მოვიდა, ექიმს ფეხებით პირქვე რომ
ექირა და ტაკუნებზე უტყაპუნებდა, თითქოს რაღაც დააშავა
და სჯიდნენ. ეწყინა, კი არ ეტკინა და გაბმული ტირილი მორთო.
უფრო მეტად იმან დაწყვიტა გული და ააღრიალა, – შეხედე, რა

კარგი ბიჭიაო! – სასთუმალზე მისვენებულ ქალს რომ დაანახვეს და, იმან კიდევ, გვერდზე მიაბრუნა თავი. ატირებული გაიყვანეს მეორე ოთახში დასაბანად და იმ დღის მერე ის ქალი აღარ უნახავს...

* * *

– ალბათ, ქართველი უშვილოები აიყვანენო!

– არაო, ეგ უცხოელებზე მუშაობსო!

– მერე, როგორ გაიყვანსო?

– პირველი კი არ არისო!

– გაიყვანს და იქ ჩააბარებს ორგანოების გადასანერგად, მაგრამ, რა ჩვენი საქმეაო! – ბოლოს შეთანხმდნენ ქორიკანა ძიძები.

ნასაყვანად კი ერთი ზორბა კაცი მივიდა, აქაჩული წარბები და მელაკუდას თვალები რომ ჰქონდა. ამოიჩარა იღლიაში, ჩაანვინა მანქანაში და ძველი თბილისის ერთი ძველი სახლის მეორე სართულზე ერთ ბინძურ ქალს ჩააბარა მოსავლელად.

– დღე-დღეზე მოვა შენი პატრონი და ნაგიყვანსო! – უთხრა ბინძურმა ქალმა, ძველ უბანში, ძველი სახლის მეორე სართულზე რომ ცხოვრობდა და ცხვირიდან გამოღებული თითი კაბაზე შეინმინდა.

– ნეტავ, ვინ მოვა, რა ხალხია? ძნელია ორგანოების გადანერგვა? ხომ არ მეტკინებაო? – გაახსენდა ძიძების ქორაობა. ცუდ ხასიათზე დადგა, ველარ დაიძინა, ბევრი იჩხავლა.

– ჭირი შენ და სიკვდილიო, რა გატირებსო, თუ არ გაჩუმდები, გადაგადებო! – შეეშინდა, გაჩუმდა.

* * *

დილა-საღამოს ის აქაჩულწარბებიანი და მელაკუდასთვალებიანი ზორბა კაცი მოდიოდა და ბავშვის ამბავს კითხულობდა:

– როგორ არისო, ხომ არ ჭირვეულობსო, კარგად მოუარე,

დიდ ფულს იხდინაო!

მეორე დღეს ვილაც დაბალი და მსუქანი ქალი მოვიდა. აქაჩულ-წარბებიანმა და მელაკუდასთვალეებიანმა ზორბა კაცმა ბავშვი შესახვევებიდან გამოსხსნა და დაბალ და მსუქან ქალს აჩვენა:

– ჯანმრთელი ბავშვია, ორგანოები მე თვითონ შევუმონმეო!

– ეს თუ კარგი ქალია, ორგანოები რატომ დააინტერესაო? – მთელი ღამე ვერ დაიძინა, ნერვიულობდა, ჩხაოდა.

– რა გატირებს, შე სასიკვდილე, მეზობლები გაიგებენ, პოლიციას გამოიძახებენ და დაგვიჭერენო! – ბრაზობდა ბინძური ქალი, ცხვირიდან გამოღებულ თითს კაბაზე რომ იწმენდდა.

* * *

მესამე დღეს ისევ ის დაბალი და მსუქანი ქალი მოვიდა. ერთ ხელში „ზიზიები“ ეჭირა და მეორე ხელში ბავშვის საწოლი-კალათა. ჩააცვა „ზიზიები“, ჩააწვინა კალათაში და საწოლვარათი რაღაც მწარე სითხე ჩაასხა პირში. ტირილი უნდოდა, მაგრამ, ველარ მოასწრო, ისე დაეძინა.

რომ გაიღვიძა, ფერადი ლენტებით მორთულ საწოლში იწვა, თავთან მუსიკის თანხლებით სათამაშოები ტრიალებდა და ორი გაღიმებული, უზომოდ ბედნიერი მამაკაცის სახე დაჰყურებდა.

გული თავისით აივსო სითბოთი. აივსო და ხერხემლის გავლით ფეხებში ჩაიღვარა.

– ესენი არ გადამაგდებენ, არც არავის დაანებებენ ჩემი ორგანოების გადანერგვასო! – გულში გაიფიქრა და ძალიან, ძალიან სევდიანი შავი თვალებით შეაცქერდა.

* * *

რა უნდა ეთხოვა, რომ იმ ორ კაცს არ აესრულებინა: სათამაშოებიო, ველოსიპედიო, საბავშვო მანქანაო, აიფონიო, აიპადიო, კომპიუტერიო – ერთმანეთს ასწრებდნენ ყიდვას. სკოლაში მიჰყავდათ, სკოლიდან მოჰყავდათ, გაკვეთილებს ერთად ამზა-

დებდნენ, თამაშობდნენ, მულტფილმებს უყურებდნენ. ერთი არ-
სება, სამად განსხეულებული, ერთმანეთს ავსებდა, ერთმანეთს
აბედნიერებდა...

პირველი კითხვის ნიშანი მაშინ გაჩნდა, მესამე კლასში ინგ-
ლისურის ცალტვინა მასწავლებელმა რომ ჰკითხა – დედა რო-
მელიაო? – და რომ ვერ უპასუხა, ამას მოჰყვა დაბალ კლასებში
ბავშვების გულუბცვილო ცნობისმოყვარეობა:

- დედას გავხარ, თუ მამასო?
- ხომ არ გცემენო?
- რომელს უფრო უყვარხარო?

შემდეგ კლასებში დაუნდობელი დაცინვა:

- საიდან დაიბადეო?
- დედაშენს ძუძუები რომ არ აქვს, რას განოვებდაო?
- დედაშენს მუცელი შებერვია, მეორეზე ხომ არ არის ორსუ-
ლადო?...

* * *

თავის თავში ჩაიკეტა. აღარავისთან აღარ მეგობრობდა. ბედ-
ნიერება სადღაც გაფრენილიყო...

თავისი ოთახიდან რომ არ გამოვიდა, სახელური ჩამოსწიეს –
კარი არ გაიღო. დაუძახეს – პასუხი არავინ გასცა. ერთ-ერთმა
კარის ქვეშ ჭუჭრუტანაში შეიხედა: – იატაკიდან რამდენიმე სან-
ტიმეტრში 12 წლის იუბილეზე ნაყიდი თეთრი ბოტასები ქანაო-
ბდა...



სიმდიდრე

გასულ წელსა, რომელიღაც ჟურნალში, თვალი მოვჰკარი მსგავს გამონათქვამებსა, რომელზეც დავნერე ეს მოთხრობა.

* * *

ქალაქ ტიფლისის აღმოსავლეთით, 120 ვერსის მანძილზედ, საგვარეულო სასახლეში, ცხოვრობდა დიდი თავადი, ძე დავით თათქარიძისა - ანდუყაფარ. მის მამულს სამხრეთით მდინარე ალაზანი ჩამოუდიოდა, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი გადმოჰყურებდა, აღმოსავლეთით ვახვახიშვილების საგვარეულო მამული ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთით - ძმის ქაიხოსრო თათქარიძის მამული, რომელიც ბიძის - ლუარსაბის უშვილძიროდ გადაშენების შემდეგ დარჩა.

მდიდარი იყო ანდუყაფარ, მის მამულში 120 კომლი გლეხობა მუშაობდა. 400 დღიურ მიწაზე პური მოჰყავდათ, 200 დღიურზე ზვრები იყო გაშენებული, 100 დღიური მიწა – ხეხილის ბაღს ჰქონდა დათმობილი და კიდევ მცირე ნაკვეთი ბოსტანს ეკავა. ანდუყაფარის ბელელსა და მარანზე ლეგენდები დადიოდა. პური, ღვინო და ხილი იმდენი მოსდიოდა, რომ მთელს ტიფლისს ამარაგებდა. სოლოლაკში, პურის მოედანზე, დახლები მისი იყო; ჰავლაბარში, ღვინის აღმართზე კი ყველა სირაჯი ღვინოს მისგან ყიდულობდა.

ანდუყაფარის მამულში ცხვარ-ძროხას ვერ ნახავდი, რადგან დედამისს - დიდ კნენია ელისაბედს, საქონლის სუნი აღიზიანებდა. სასახლე, ხორცითა და რძით, ნამჯის საფასურად, ქაიხოსროს მამულიდან მარაგდებოდა, ხოლო თევზს ალაზანში იჭერდნენ. გაზაფხულზე წინასწარ ყიდულობდნენ მოსავალს ვაჭრები. წლი-

ური შემოსავალი 60 000 თუმანს შეადგენდა. ოქროს თუმნიანებს დიდ სკივრში ჰქონდა მიჩენილი ადგილი, რომელზეც თვით ანდუყაფრს ეძინა.

* * *

სიმდიდრეს მოაქვს ქედმაღლობა.

* * *

ჩყპგ წლის მკათათვის ცხრასა, დიდმა თავადმა ანდუყაფარმა კაცი გაუგზავნა თავის ძმას, ქაიხოსროსა:

- ბიჯო, გადმო ჩემთანაო!
- რა გინდა, ვეჟო! - სალამოს მოაკითხა ქაიხოსრომ.
- რო დაგიძახე, რატომ მაშინვე არ გადმოხველო?
- არ მეცალაო!
- რას მიკეთებდი, შე უსაქმუროო!
- რატომ ვარ უსაქმურიო? - ჰკითხა ქაიხოსრომ.
- მე რო ნამჯას არ გაძლევდე, საქონელი შიმშილით დაგეხოცე-ბა და, საერთოდა, ეგ მინა ბიძაჩემმა ლუარსაბმა მე დამიტოვაო!
- რაეხსა ბოდავო?!
- 300 დღიური მინა გადმომეცი და შეხვედრისას ხელზე მეამბორე ხოლმეო!
- რომ არ მოგცეო?
- ძალით ნავიღებო!
- მაგასაც ვნახავო! - კარი გაიჯახუნა ქაიხოსრომ.

* * *

ქედმაღლობას მოაქვს ომი.

* * *

- მე შენ გასწავლი ჭკუასო! - დარაზმა ანდუყაფარმა გლეხები, ერთ ლამეში ლოზე გადაანეწინა და ძმის მამულის ნახევარი მიიერთა.

- ეგრე არ უნდაო! - ხორბლითა და ღვინით დატვირთული ურმები თავის მამულზე არ გაატარებინა ქაიხოსრომ. ვახვახიშვილმაც უარი შემოუთვალა გზის მიცემაზე - შენმა ძმამ გაგატაროსო!

გაბრაზდა ანდუყაფარი, ხორბალი სალაფავად მოახარშვინა, შიგ თავის წამალი გაარევიდა და ლობიდან ძმის ეზოში გადააყრევინა. ჭამა საქონელმა სალაფავი, დაიხოცა ერთმანეთის მიყოლებით. არც ქაიხოსრო ჩამორჩა ძმას, ზედ მკის წინ, ცეცხლი წაუკიდა ანდუყაფარის ყანას, ერთ საათში გადაიწვა მწიფე თავთავი, ორი კოდი ხორბალი ძლივს გადაარჩინეს. მერე, სეტყვა მოვიდა და შემოუსვლელი ყურძენი და ხილი მინაზე მოფინა.

* * *

ომს მოაქვს სიღარიბე.

* * *

ალაზანზედ გააჭიმვინა ანდუყაფარმა ბორანი, იქიდან ეზიდებოდა ოჯახში პურს, ხორცს, რძეს, ხილსა და ღვინოს. კარგ ცხოვრებას მიჩვეულმა, ვერ შეამცირა ოჯახის ხარჯები. ცოტა ხანში სკივრში თუმნიანები შეთხელდა, კიდევ ცოტა ხანში - სულ გამოილია. დაიწყო შიმშილობა. გლეხებმა დაიწყეს ანდუყაფარის მამულის მიტოვება და ვახვახიშვილთან გადასვლა. დაიქცა ოჯახი, გაღარიბდა. მოადგნენ ვაჭრები, ვისაც წინასწარ ჰქონდა ფული გადახდილი, აუფრიალეს ცხვირწინ თამასუქები. სახლკარს გაყიდვა დაემუქრა.

* * *

სიღარიბეს მოაქვს თავმდაბლობა.

* * *

უკან გადმოსწია ლობე ანდუყაფარმა, კაცი გაუგზავნა ქაიხოსროს:

- შენი ნახვა მინდა და მიმიღებო?

- ხელზე თუ მემბორები, მიგიღებო!
- გადავიდა ანდუყაფარი ძმასთან, ეამბორა ხელზე:
- მოდი, დავივინყოთ წყენა და ძველებურად ვიცხოვროთო!
- კარგიო! - დათანხმდა ქაიხოსრო.

* * *

თავმდაბლობას მოაქვს მშვიდობა.

* * *

დამყარდა მშვიდობა ძმებს შორის. გახსნა გზა ქაიხოსრომ. აღარ უწამლავდა ძმას საქონელს ანდუყაფარი, აღარ უწვავდა ანდუყაფარს ყანას ქაიხოსრო. აღარც სეტყვა მოსულა იმ წელსა.

* * *

მშვიდობას მოაქვს სიმდიდრე.

* * *

კარგი მოსავალი მოუვიდა ანდუყაფარს, ყვითლად ბიბინებდა თავთავი, მომკელს ელოდა. შემოდგომაზე ვაზი, ოქროსფერი მტევნების სიმძმით, წელში იგრიხებოდა, ხეხილს მოსავლისგან ტოტები მიწამდე ჰქონდა დახრილი. ისევ მოვიდნენ ვაჭრები, რიგში ჩადგნენ. სოლოლაკში, პურის მოედანზე, დახლები გაიშალა. ჰავლაბარში, ღვინის აღმართზე, სირაჯებმა ცნობილი, ანდუყაფარის ღვინო შემოიტანეს. ისევ გაივსო სკივრი ოქროს თუმნიანებით, ისევ გამდიდრდა ანდუყაფარი, ისევ გაიშალა ლოგინი სკივრზე.

* * *

სიმდიდრეს მოაქვს ქედმაღლობა...



ძიძა

ხუთი დღის იყო, პირველად ხელში რომ აიყვანა. იმის მერე ხელიდან არ გაუშვია: ღამის თენებებით, მთელი ღამე წინ და უკან სირბილიო, ხან მაღალი ტემპერატურაო, ხან გაზებიო, ჩაბჟირებებით, პირველი „აღუო,“ მერე კბილების ამოსვლაო, პირველი სიტყვაო, პირველი ნაბიჯიო... დაარიგეს:

– არ შეგიყვარდეს, მერე გაგიჭირდებაო! – ვერ გაუძლო, შეუყვარდა – თავს ერჩინა; არა, უფრო მეტად – შვილივით შეუყვარდა.

* * *

ფიქრია ხვედელიძე ხაშურში დაიბადა, შეძლებულ ოჯახში. მამას კულინარიული საწარმო ჰქონდა გახსნილი – ნამცხვრებს აცხობდა და მაღაზიებს აბარებდა. საქმე კარგად აენყო, თბილისიდანაც კი ჩადიოდნენ შეკვეთის მისაცემად. ოჯახი უზრუნველად ცხოვრობდა.

საქართველოში ბანკების ბუმი დაიწყო – ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებოდით ახალგახსნილ ბანკებს. ანაბარზე 30%-იან სარგებელს ჰპირდებოდნენ მოსახლეობას. მამამისს დიდი დანაზოგი ჰქონდა და ის შეიტანა თბილისში, ბანკ „აჩიში“. პირველ თვეს მიიღო სარგებელი.

ნამცხვრებიდან ამხელა მოგება არ ჰქონდა, ამიტომ, გაყიდა საწარმო და ის თანხაც იმავე ბანკში, დეპოზიტზე დადო. ერთ თვეში სარგებელის ასაღებად რომ მივიდა, იმ ადგილას საპარიკმახერო დახვდა – ბანკი „აჩი“ აორთქლებულიყო. გალურჯებული ჩავიდა სახლში, დაიძინა და ველარ გაიღვიძა. მალე დედაც გარდაიცვალა. ძმამ სახლი და კარმიდამო მეზობელს მიჰყიდა და სა-

ბერძნეთში წავიდა სამუშაოდ. ფიქრია მ უნივერსიტეტში ჩააბარა და თბილისში გადმოვიდა ნაქირავებში. მამის ხელობა გამოადგა: დღისით ლექციებზე დადიოდა, ღამით ნამცხვრებს აცხობდა და დილით პეროვსკაიაზე აბარებდა.

* * *

დედა ეჭვიანობდა:

– ბავშვი მე აღარ მეკარებაო!

ბებია ითხოვდა:

– გვერდზე დაანვინე, თორემ, თავი გაუბრტყელდებო!

პაპა ბუზღუნებდა:

– გააჩუმეთ, ხელი მეშლებაო!

ნათესავი ჩიოდა:

– ბავშვმა ჩემს შვილს ჩაარტყაო!

ვისაც არ ეზარებოდა, ზოგად მითითებებს აძლევდნენ

– ნუ ანებავრებო!

– ბავშვი არ გააფუჭო!

– ჭირვეულობსო!

ყველაფერი რომ მისთვის ემეტებოდა?! მის ტირილზე რომ ეტირებოდა?! მის სიცილზე რომ ცა იხსნებოდა?! უნდოდა, ეყვირა:

– რა თქვენი საქმეა, მე ვიცი, ჩემს შვილს როგორც გავზრდიო!

– მაგრამ, არ შეიძლება, დედობრივი გრძნობები უნდა მოეთოკა, არ უნდა გაემჟღავნებინა.

– ფიქია მინდაო! – ფიქრია იქ გაჩნდებოდა.

– ფიქია, ამიკანეო! – ფიქრიას ხელში აჰყავდა.

– ფიქია, ტააში მინდაო! – ფიქრიას სასაირონოდ მიჰყავდა.

კვირაში ერთი დღე ჰქონდა დასვენება. ვაი ამ დასვენებას, თვალცრემლიანი დადიოდა – ბავშვი ენატრებოდა. შვებულებაში არ გადიოდა – პატარა არ დამეჩაგროსო!..

ბოლო კურსი რომ დახურა, გათხოვდა – რუსთაველ ბიჭს გაჰყვა, თანაკურსელს. ქმრის სახლში გადავიდა, რუსთაველში, საძმომო, ორსართულიან და ეზოიან სახლში. ქმარი თბილისში მუშაობდა ერთ-ერთ ორგანიზაციაში, ბუღალტრად. სტაბილური, მაღალი ხელფასი ჰქონდა. ფიქრია სახლის საქმეს აკეთებდა. ცოტა ხანში მაზლმა ძმას უთხრა:

– სახლი გავყიდოთ, ჩემი წილი მინდაო!

– კარგიო! – გაყიდეს სახლი, მაზლმა თავისი წილი აიღო და რუსეთში წავიდა. ამათ რუსთაველივე იყიდეს კორპუსის 4-ოთახიანი ბინა.

ერთ წელიწადში მაზლი თავის ძმას მოადგა:

– რუსეთში სესხს არ მაძლევენ, შენ გამოიტანე და ყოველთვიურად მე გადავიხდიო! – ბანკში ბინა ჩადეს და 40 000 დოლარი სესხი გამოიტანეს. მოჰკიდა მაზლმა ფულს ხელი და ისევ რუსეთში გაიქცა. რა თქმა უნდა, არ გადაიხდა, დაიკარგა. ამასობაში, ის ორგანიზაცია დაიხურა და ქმარი უმუშევარი დარჩა. რა უნდა ექნათ? გააქირავეს თავისი 4-ოთახიანი და იმავე კორპუსში იქირავეს ერთოთახიანი ბინა. ცოტა ხანში ბანკიც მოადგა. იდავეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ბანკმა ბინა აუქციონზე გაყიდა. აღებული ფული ძლივს ეყო ძირისა და პროცენტის დაფარვას, თავისი საურავით. დარჩნენ უბინაოდ, ერთოთახიან ნაქირავეებში.

გაზეთში გადააწყდა განცხადებას – ვეძებთ ძიძას ახალშობილისთვისო! – ასე მოხვდა წყნეთში, ერთ შეძლებულ ოჯახში – ძიძად. ბავშვის დედა დიდ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა და ყოველდღე, ღამის 12 საათამდე სამსახურში იყო, მამა იმავე ორგანიზაციაში მუშაობდა – გაყიდვების მენეჯერად.

ნორმალური ხელფასი ჰქონდა, პირობებსაც არა უშავდა, კვება არ აკლდა. დიდი სახლის აბაზანიან, ვერანდიან, იზოლირებულ ოთახში ცხოვრობდა ბავშვთან ერთად. ასე გაიარა სამმა წელმა.

– ისრაელში გიშოვე ძიძის ადგილი, 1 700 დოლარს იხდიანო! –

შემოუთვალა ახლობელმა.

- უნდა ნახვიდეო! – განაჩენი გამოუტანა ქმარმა.
- მერე, თაკოო?!
- დაგავიწყდებაო!

* * *

- ფიქია მინდაო! – ასე იწყება ყოველი დღე.
- ფიქიამ მაჭამოსო, ფიქიამ მათამაშოსო, ფიქიამ დამაძინოსო!
- ნავიდა შენი ფიქრიაო!
- მინდაო! – ტირის, სადღაა მოლიმარი თაკო. ძიძის ნაჩუქარ ნაჭრის დათუნის ხელიდან არ უშვებს, ღამით მხოლოდ ფიქრის ბალიშზე იძინებს, ზედ გული რომ არის ამოქარგული. გახდა, თვალები ჩაუცვივდა. ხშირად ავადმყოფობს. ექიმმა – სისხლის ანალიზში ცვლილებებიო! – ახლაც მაღალი სიცხე აქვს.
- ფიქია, მიშველეო! – ბოდავს პატარა...

* * *

ახლა ისრაელშია, იქაურ ოჯახში ბავშვს ზრდის. თაკოსნაირად რომ აღარავინ შეუყვარდება, ეს ნამდვილად იცის. საწოლთან მისი სურათი უდევს, დილა-საღამოს კოცნის და თან ტირის, სურათს ცრემლის ლაქები ეტყობა.

- ფიქია, მიშველეო! – ჩაესმა ძილში. ლოგინიდან წამოვარდა...

* * *

სიცხისაგან გათანგულ ბავშვს დილით, ადრე გაეღვიძა. საწოლზე, მის ფეხებთან, ქალი იჯდა

- სიხარულოო! – ჩურჩულებდა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.
- ფიქიაო! – დაიკვილა პატარამ და ძიძას ჩაეკრა. ერთ საათში სიცხე გაუზომეს – თერმომეტრი 36,2 გრადუსს უჩვენებდა.

ღალატი

რასიომონის ეფექტი – აღქმის სუბიექტურობის ეფექტი, როცა თვითმხილველები განსხვავებულად აღწერენ ერთსა და იმავე მოვლენას.

* * *

ლევანი: – მე და მაკომ უნივერსიტეტში გავიცანით ერთმანეთი, ერთ კურსზე ვსწავლობდით. მაკო თბილისელი იყო, დედისერთა, ნუცუბიძეზე ცხოვრობდა მშობლებთან ერთად. მე რაიონიდან ვარ და გოგებაშვილზე მქონდა ბინა ნაქირავები. უნივერსიტეტთან ყველაზე ახლოს მე ვცხოვრობდი, ამიტომ საგამოცდოდ ყოველთვის ჩემთან იყო რიარია. ერთხელ, სხვებთან ერთად, მაკოც მოვიდა, მეორე დღეს ფილოსოფიაში გვქონდა გამოცდა. გვიანობამდე შემოვრჩით. მაკო ნერვიულობდა, მამამისმა ერთი ათჯერ მაინც დაურეკა. ბოლოს მე დაველაპარაკე:

– ნუ გეშინიათ, მე მოვაცილებო! - დანყნარდა, აღარ დაურეკავს. გვიან მივაცილე სახლში.

– ამოდი, ყავა დავლიოთო! – ტაქსი გავუშვი და ავყევი. მშობლები გამაცნო. მამამისმა ძლიერად ჩამომართვა ხელი და მადლობა გადამიხადა. დედამისი დატრიალდა, ყავა და ნამცხვარი შემომთავაზა. მე უარი ვუთხარი, გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ მაკომ მთხოვა:

– დარჩი, თორემ, მენყინებო! – დავრჩი. ყავა დავლიეთ, აივანზე გავედით და სიგარეტი გავაბოლეთ. ცოტა ხანს ვილაპარაკეთ და წამოვედი. ამის შემდეგ, ხშირად მოდიოდა მაკო ჩემთან სამეცადინოდ. მამამისი აღარ ნერვიულობდა. სახლში მივაცილებდი, ავიდოდი, ყავას დავლევდით, აივანზე სიგარეტს მოვწევდი,

ცოტას ვილაპარაკებდით და წამოვიდოდი.

შემოდგომის თბილი ამინდები დაიჭირა. კურსელებმა კახეთში მოვიხლომეთ ექსკურსიაზე წასვლა – გრემი, იყალთო, შუამთა და ალავერდი უნდა მოგვევლო. ღამით თელავში დარჩენა გვეკონდა გადანყვეტილი. მაკოს მამამისი არ უშვებდა. მე მთხოვა:

– ამომყევით! – ავყევი. მამამისს ვთხოვე მაკოს გამოშვება.

– კარგი, შენ გაბარებო!

ექსკურსიის პირველი დღის ბოლოს დაღლილები დავბინავდით სასტუმროში. ნომერში თანაკურსელ ბიჭთან ერთად მოვხვდი, მაგრამ გვერდით ნომერში ბიჭები სვამდნენ და ის იქ გადავიდა. მე დალევა არ მინდოდა და ნომერში დავრჩი. ცოტა ხანში კარზე დააკაკუნეს – მაკო იყო.

– არ მეძინებაო! – ნომერში შემოვიდა.

– თუ გინდა, რომ დაგეძინოს, ეს გადაჰკარიო! – სოფლიდან დედაჩემის გამოგზავნილი ტკბილი ალუბლის ნაყენი მქონდა წალეხული და ის დავუსხი.

– ვერ დავლევ, დამათრობსო!

– ნუ გეშინია, მამაშენს არ ვეტყვიო! – ვუთხარი. გამომართვა ჭიქა და მოწრუპა. ესიამოვნა. კიდევ დავუსხი. ჩემთვისაც დავისხი.

– ჩვენ გაგვიმარჯოსო! – დავლიეთ. სიგარეტის მოსანევად გავედი აივანზე, ისიც გამომყვა. ხელი გადავხვიე, მომეკრო. სახე ჩემკენ მოვანევიე და ვაკოცე. კოცნითვე მიპასუხა. უცბად ხელი მკრა და ნომრიდან გავარდა. მეორე დღეს თვალეებში არ მიყურებდა, ავტობუსშიც სხვის გვერდით დაჯდა. ასე გაბუტულები ჩამოვედით თბილისში. კიდევ სამი დღე არ მელაპარაკებოდა. სამი დღის მერე მოვიდა და მითხრა:

– ეს რა ჰქენიო!

– რა ვქენიო?

– მიყვარხარო!

– მეც მიყვარხარო! – ვუთხარი. მაშინ მესამე კურსზე ვიყავით.

მეოთხე კურსი რომ დავხურეთ, ხელი მოვანერეთ, ჯვარი დავინერეთ და საცხოვრებლად ქავთარაძეზე გადავედით. სწავლა რომ დავამთავრეთ, მე ბიზნესში ჩავები. სერვის-ცენტრი გავაკეთე. მანქანები ჩამომყავდა და ვყიდდი. მაკომაც დაიწყო მუშაობა ბუნების დაცვის სამინისტროში. ყოველდღე ჩემი მანქანით მიმყავდა სამსახურში და მომყავდა სახლში. კარგად ვუგებდით ერთმანეთს. მაკოს რაღაც ქალური პრობლემები ჰქონდა და ამიტომ ბავშვი არ გვიჩნდებოდა. ასე ვიცხოვრეთ ერთად ხუთი წელი. საქმე მომემატა და მაკოს სამსახურში ველარ ვაცილებდი. ბოლო დროს დაგვიანება დაიწყო – ხან სამსახურში ტოვებდნენ, ხან დაქალს გაუვლიდა. არ მიეჭვიანია, ამიტომ არ ვამონწმეობდი.

გუშინწინ სამსახურიდან რომ მოვედი, სახლში დამხვდა. საქმელი გადმომიღო. სახეზე აღენილი იყო, ნერვიულობდა.

– მე სხვა მიყვარსო! – პირდაპირ მომახალა. ჯერ ვერ მივხვდი, ხუმრობა მეგონა

– ნუ სულელობ, მშია, ვჭამოთო! – საკოცნელად მივუახლოვდი. სახე მომარიდა:

– არ გეხუმრებო!

– რაო, მღალატობ, შენი დედაო? – ცხოვრებაში პირველად შევაგინე და სახეში გავარტყი. ცხვირიდან სისხლი წასკდა.

– ღირსი ვარო, ღალატი რომ არ მინდა, იმიტომ გეუბნები – დავმორდეთო!

– მერე, ამდენი ხნის ურთიერთობას რას უშვრები? მოდი, დავივინჯოთ ყველაფერი და ოჯახი შევინარჩუნოთო! – ვუთხარი.

– არ შემიძლია, მიყვარსო!

– იქნებ დაფიქრდეთო! – შევთავაზე.

– უკვე ნაფიქრიაო!

– რას მიკეთებ, მღალატობ? სხვას ამჯობინებ ჩემს თავს? წარსულს აფურთხებ? ამას არ ველოდი, შენგან არ ველოდი, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი, უშენოდ ძალიან გამიჭირდებაო! – მუხლებში ჩავუვარდი.

– ყველაფერი გადაწყვეტილიაო! – ცივად მომიშორა.

რას გავხდებოდი. დავესხედით, ცივილიზებურად დავილაპარაკეთ და შევთანხმდით. გუშინ იუსტიციის სახლში მივედით, ქონება გადავაფორმ-გადმოვაფორმეთ და გაყრაზე განცხადება შევეტანეთ.

* * *

მაკო: – მე და ლევანი თანაკურსელები ვართ. მესამე კურსზე რომ ვიყავით, მაშინ ამიხსნა სიყვარული. მეც მომწონდა. უარი არ მითქვამს. ვხვდებოდი, რომ მამაჩემი წინააღმდეგი იყო, მაგრამ არ იმჩნევდა.

– შენ იცი, შვილოო! – მითხრა. მეხუთე კურსზე რომ გადავედით, დავქორწინდით. ოჯახმა, ქავთარაძეზე რომ „დრიმ თაუნია“, სამოთახიანი ბინა და მანქანა მიყიდა და მე და ლევანი იქ გადავედით საცხოვრებლად. მამაჩემს კარგი ურიერთობები ჰქონდა ევროპული ავტომობილების ქარხნებთან. ლიცენზია აიღო, სერვის-ცენტრი გააკეთა და ჩემზე გააფორმა. უნივერსიტეტი რომ დავამთავრეთ, ლევანი დავნიშნეთ დირექტორად. საქმეს კარგად გაუძღვა, არ გვიჭირდა. ბავშვი არ გვეყოლა. ლევანი მეუბნებოდა:

– შენი ბრალიაო!

ექიმთან მივედი, გავესინჯე.

– ჯანმრთელი ხარ, ქმარი მოიყვანეო! - ლევანი არ გამომყვია:

– მე არაფერი მჭირსო!

კარგი ცოლქმრობა გვქონდა. ყველგან ერთად დავდიოდით. ამ გაზაფხულზე მეგობრის დაბადების დღე იყო, მე და ლევანიც იქ ვიყავით.

– დამირეკეს, სასწრაფოდ უნდა წავიდე, შენ იყავი და მერე ტაქსით წამოდიო! – მითხრა ლევანმა. მე დავრჩი, ლევანი წავიდა. მუსიკა ჩართეს. მაღალი, სიმპათიური ბიჭი მოვიდა და საცეკვაოდ გამიწვია. ვიცეკვეთ.

– მე გუგა ვარ, შენ რა გქვიაო? – პირდაპირ „შენობითზე“ გადმოვიდა. იმდენად უშულო იყო, რომ უხერხულობა არ მიგრძნია.

– მაკოო! – ვუპასუხე. კიდევ ორჯერ გამინვია საცეკვაოდ. რალაც ამბებს მიყვებოდა, მაცინებდა. წასვლისას გაცილება შემომთავაზა. სახლამდე მიმაცილა და წავიდა. მეორე დღეს, დილით დამხვდა და სამსახურამდე მიმაცილა. ასე მხვდებოდა ყოველდღე, დილით სახლთან და საღამოს – სამსახურთან, მთელი სამი თვის განმავლობაში. თავიდან რამდენჯერმე ვუთხარი:

– რატომ დამდეგო!

– რას გიშავებ, აქვე ვცხოვრობ და თან შენს სამსახურთან ახლოს ვმუშაობო!

ბოლოს შევეჩვიე, უკვე თვალებით ვეძებდი. მერე უცბად დაიკარგა, აღარ მხვდებოდა. დავინყე მასზე ფიქრი, სად უნდა წასულიყო. ერთი კვირის თავზე გამოჩნდა:

– მიყვარხარ, თუ უარს მეტყვი, წავალ და ცხოვრებაში ველარ მნახავო!

– მე ქმარი მყავსო!

– ესე იგი, უარო?

– აღარ დამხვდეო! – ვუთხარი. შეტრიალდა და წავიდა. ამოუვსებელი სიცარიელე ვიგრძენი გულში. მაშინ მივხვდი, რომ ვგიჟდებოდი, ისე მიყვარდა. ის დღეები გული გახეთქვაზე მქონდა, სულ მასზე ვფიქრობდი, სიცოცხლე ჯოჯოხეთად მექცა, ველარ ვუძლებდი. ერთ კვირაში გამოჩნდა, იგივე გამიმეორა:

– მიყვარხარ, თუ უარს მეტყვი, წავალ და ცხოვრებაში ველარ მნახავო! – მის წასვლას ველარ გადავიტანდი.

– მეც მიყვარხარო! – ვუთხარი.

რამდენჯერმე მინდოდა ლევანთან დალაპარაკება, მაგრამ ვერ ვბედავდი. ლევანი მეცოდებოდა, მისთვის დიდი დარტყმა იქნებოდა. მეშინოდა, თავისთვის რამე შარი არ აეტეხა. როგორც იქნა, გუშინწინ გავბედე. გადაირია. მე ვუთხარი:

– დამნაშავე მე ვარ, მთელ ქონებას შენზე ვაფორმებ და მი-

ვდივარო! – გუშინ გადავუფორმე ბინა, ფირმის მთლიანი წილი, მანქანა და გაყრაზე შევიტანეთ განცხადება. მიხარია, რომ ასე უცბად მოგვარდა ყველაფერი, თუმცა ლევანთან დამნაშავე ვარ!

* * *

გუგა: – მაკო, დაბადების დღეზე გავიცანი. ვიცეკვეთ, მერე გავაცილეთ. მომეწონა და დავუნყე შებმა. მე შებმის ჩემი მეთოდი მაქვს – ქალს კი არა, ეშმაკსაც შევაცდენ. ყოველდღე ვხვდები. რომ შევატყობ, შემეჩვია და თვალებით მიწყებს ძებნას, ერთი კვირა აღარ გამოვჩნდები. ერთი კვირის თავზე უკვე მზადაა. მივდივარ და ვეუბნები:

– ან ჰო, ან არაო! – როგორც წესი, მთანხმდებიან. ზოგს ერთი თვე სჭირდება დევნა, ზოგს ცოტა მეტი. მაგდენი არავისთვის მიდევნია – სამი თვე მანვალა. ბოლოს დამთანხმდა. ბინა ვიქირავეთ და იქ ვხვდებოდით. გუშინწინ უნდა ეთქვა ქმრისთვის. არც კი ვიცო, როგორ დამთავრდა.

* * *

– გამარჯობა, ლევან, შეიძლებაო? – სამსახურში მიაკითხა გუგამ.

– შემოდი, გუგაო!

– ჰა, როგორაა საქმეო? – ჰკითხა გუგამ.

– გუშინ გაყრაზე შევიტანეთ განცხადებაო!

– ქონებაო?

– ყველაფერი გადმომიფორმა. აჰა, შენ მაღარიჩიო – ლევანმა ასდოლარიანების შეკვრა გაუნოდა. გუგამ შეკვრა ფიბეში ჩაიდო.

– ახლა რას იზამო? – ჰკითხა ლევანმა.

– რა უნდა ვქნა, აღარ შევხვდებიო! – უპასუხა გუგამ.



მგელი

იყო, და არა იყო რა, იყო ერთი მგელი. ტოტია ერქვა იმ მგელს, ვაჟა-ფშაველას „ამოდის, ნათდებაში“ ტოტია მგელი რომ იყო და თავისივე მოძმეებმა რომ შეჭამეს, აი, იმისი შვილთაშვილი. დიდი პაპის პატივსაცემად დაარქვეს ეს სახელი. ხოდა, ტოტია დღისით დაძუნძულებდა და საჭმელს ეძებდა, თუ ვერ იშოვიდა, სალამოს ჩაიყუნცებოდა მთის წვერზე და მთელი ღამე გულამოსკვნით ყმუოდა, განსაკუთრებით – მთვარიან ღამეს და, უფრო განსაკუთრებით – სავსე მთვარის დროს, რადგან სავსე მთვარეზე ჩაქაფული ახსენდებოდა. რატომ ჩაქაფული?! – ძალიან უყვარდა და იმიტომ! ისე, ჩაქაფული ბატკნის დანახვაზეც ახსენდებოდა.

* * *

ამერიკელმა ფსიქოლოგმა, აბრაჰამ მასლოუმ შექმნა ეგრეთ წოდებული „ადამიანის მოთხოვნილებების პირამიდა,“ რომელიც ხუთი დონისაგან შედგება. ამ „პირამიდაში“ მან დონეების მიხედვით დაალაგა ადამიანის მოთხოვნილებები: ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებიდან – პიროვნულ, სულიერ და შემეცნებით მოთხოვნილებებამდე.

დონე პირველი: ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები – თანდაყოლილი და ნიშანდობლივია ყველა ადამიანისთვის, ასეთ მოთხოვნილებებში შედის: საკვები, წყალი, ბინა, სექსი.

* * *

ხოდა, ერთ დღეს, მართლაც დაინახა, რომ ქვევით, მინდორზე, ბატკანი ძოვდა. თავისით აენტო თვალები, აულრჭიალდა კბილები, მგლის მუხლი ჩაუდგა და დაღმართში ჩაძუნძულდა. რადგან

იქ მდინარე არ იყო, არ უთქვამს ბატკნისთვის – „აქ რატომა სვამ წყალსაო!“, – პირდაპირ მოიგდო მხარზე და თავის ბუნაგში მიაძუნძულა. იმ ღამით არ უყმუვლია. არც მეორე ღამით უყმუვლია. მესამე დღეს ისევ იმ მინდორს გადახედა. ისევ ბატკანი დაინახა და ისევ ჩაქაფული გაახსენდა. ისევ ჩაძუნძულდა, ისევ უბოდიშოდ მოიგდო ზურგზე და ნამოიყვანა. ბატკანმა უთხრა:

– წესი არ იცი? ჩემთვის შარი მაინც მოგედოო!

მაგრამ მგელმა უპასუხა:

– ახლა სხვა დროაო! – ასე გაგრძელდა რამდენიმე ხანს.

ბუნაგში ცხოვრობდა. საჭმელი ჰქონდა. წყარო ბუნაგის უკან მორაკრაკებდა. სხვა რაღა უნდოდა? – ცოლი უნდოდა! ხოდა, მოიყვანა – მის წინაპარ ტოტიას თავში ტორი რომ ჩაჰკრა, აი, იმისი შვილთაშვილი – კლარა. დაფიქრდა ტოტია:

– აღარ მშიაო, აღარც მწყურიაო, აღარც მცივაო, აღარც საროსკიპოებში დავეხეტებო, მაგრამ ეს ფარა როდემდე იქნება მინდორზეო? – და შიმშილის გახსენებაზე ტანში გასცრა.

* * *

ღონე მეორე: უსაფრთხოების დაცვისა და წესრიგის მოთხოვნილებები – ჩნდება მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილებულია ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები.

* * *

– ცხვრის ფარა უნდა მოვაშენოო! – გადაწყვიტა.

– ამას რა დასჭირდებაო?

– დედალი და მამალი ცხვარიო! – ჩავიდა მინდორზე და ამოიყვანა დედალი და მამალი ცხვარი.

– აბა, თუ გინდათ, რომ არ შეგჭამოთ, გამრავლდითო!

– მაგას სიყვარულობა სჭირდებაო! – უპასუხეს ცხვრებმა.

– მერე, ვინ გიშლით, ისიყვარულეთო!

– შენ რომ გიყურებ, ვერ ვსიყვარულობო! – უპასუხა მამალმა

ცხვარმა.

– ოხ, შე ასეთო და ისეთოო! – ადგა და შეჭამა. სხვა მამალი ცხვარი ამოიყვანა. ვერც იმან ივარგა. დაღონდა ტოტია, დანა პირს არ უხსნიდა.

– კაცო, ბატკნები ამოიყვანე, გავზარდოთ, შეგვეჩვევიან და ჩვენი აღარ შეეშინდებათო! – თავისი აზრი გამოთქვა კლარამ.

– ყოჩაღ, დედაკაცოო! – ჩავიდა და ამოიყვანა დედალ-მამალი ბატკანი. შვილივით ზრდიდნენ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ. ბატკნებიც, ტოტიას და კლარას „დედას“ და „მამას“ ეძახდნენ. გაიზარდნენ, დუმები დაიკიდეს. მართალია, ტოტიას მათ დანახვაზე ჩაქაფული ახსენდებოდა, ნერწყვი მოსდიოდა, სიმწრისგან ბალანს იგლეჯდა და ცოტა ხანში ბალანი მარტო თავზე, სახეზე, ილღიებში და სარცხვენელის ზემოთ შემორჩა, მაგრამ ცხვრის ფარის გაშენების სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ითმენდა.

ცხვრები მალე განევრცნენ და სიყვარული გაამეფეს: ორი – ოთხად გადაიქცა, ოთხი – რვად, რვა – ფარად. დარბოდა მათ შორის ტოტია, მაგრამ ფარის თავში რომ მივიდოდა, ბოლოს ველარა ხედავდა. ადგა და ფეხზე წამოდგა – ასე უკვე მთლიანად აკონტროლებდა ფარას. დაიწყო ორ ფეხზე სიარული.

– ფარას გარშემო უნდა შემოვუღობოო! – გაიფიქრა. წავიდა ღობისთვის ტოტების მოსატანად. დაამტვრია ტოტები, მიიტანა ბუნაგთან და დაიწყო შემოღობვა. დაიხედა და – წინა თათების მაგივრად თითები ჰქონდა გამოსული. ახლა ცხვარს წყალი სჭირდებოდა. ბუნაგის უკან წყარო რომ იყო, არხი გაუჭრა, ეზოზე გამოატარა და დააგუბა. გუბეში ჩახედა თავის თავს – ცხვირი და ყურები დაჰპატარავებოდა, მხოლოდ თვალები ელავდნენ ძველებურად, მგლურად.

ამასობაში შემოდგომა მოვიდა. ბუნაგში ქარი შემოიჭრა. აიღო ტოტიამ ტოტები, ზედ ცხვრის ტყავები გადააკრა და ბუნაგის შესასვლელში კარად ჩამოკიდა. გააღებდა კარს, გამოვიდოდა ბუნაგიდან და კარს კუდით მიკეტავდა. ერთხელაც, მოუქ-

ნია კუდი, მაგრამ კარი არ დაიკეტა; დაიხედა და – კუდი აღარა ჰქონდა.

ზამთარიც დადგა. ეზოში ველარ გამოდიოდა, სციოდა. აილო ცხვრის ტყავები და ტანსაცმელი შეიკერა. გუბეში რომ ჩაიხედა, იქიდან ადამიანი შემოჰყურებდა.

* * *

დონე მესამე: სოციალური მოთხოვნილებები – მეგობრობის, სამსახურის, სიყვარულის, – ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაკმაყოფილებულია უსაფრთხოების მოთხოვნილებები.

* * *

– კლარა, მეყოფა მგლური ცხოვრება, ქალაქში უნდა ჩავიდეთ!
– უთხრა ტოტიამ ცოლს, გაიგდო წინ ერთი ცხვარი და გაუდგა ქალაქის გზას. ქალაქში ბევრი ნახა თავისნაირი. ბაზარს მიაგნო. ცხვარი გაყიდა. იმ ფულით ორი საბანი და ბალიში იყიდა და ბუნაგში აიტანა. ღამით თბილად ეძინათ. ყოველ კვირას ჩადიოდა ტოტია ქალაქს, ივაჭრებდა და ამოდიოდა. ტანსაცმელი იყიდა, მეცხვარეთა გაერთიანებაში მიიღეს. ოტია მგელაძედ ჩაენერა. გაერთიანების წევრები „ლეგა ოტიას“ ეძახდნენ, რადგან ტანსაცმელი მუქი რუხი ფერის ეცვა. მიდგა-მოდგა ოტია, მეგობრები გაიჩინა, ქალებში დაიწყო სიარული. კლარასთან ჯერ მოვალეობის გამო წვებოდა, მერე სულ აღარ დაწვა, ბოლოს, ოჯახში კვირაში ერთხელ ადიოდა, ცხვრების ქალაქში გამოსარეკად. ერთი ქალი შეუყვარდა – რესტორნის მზარეული ანჟელა. ღამით იმასთან რჩებოდა. ყოველდღე ძმაკაცებში ქეიფობდა, სუფრიდან სუფრაზე გადადიოდა. რაც მთავარია, ჩაქაფულს არ იკლებდა.

* * *

დონე მეოთხე: თავმოყვარეობა – იმისათვის, რომ ადამიანს გაუჩნდეს პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება, რო-

მელიც თავის თავში გულისხმობს განსაზღვრულ სათანადო სოციალურ სტატუსამდე და დამოუკიდებელ ქმედებებამდე მიღწევას, სოციალური მოთხოვნილებები უნდა ჰქონდეს დაკმაყოფილებული.

* * *

ჩამორეკა და ჩამორეკა ცხვრები, ყიდა და ყიდა, იქეიფა და სხვებიც აქეიფა. „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია“ – დევიზად გაიხადა. პატივისცემა გასცა და პატივისცემა მიიღო. ბატონ ოტიას ეძახნენ, მოქალაქეები ფეხზე უდგებოდნენ. ზოგი ჰბაძავდა, ზოგს შურდა, ზოგიც მტრობდა. მფარველები გაიჩინა ზედა ეშელონებში. ანჟელა მაგის ტოლი და სწორი აღარ იყო და მიატოვა. მეორე ცოლი მოიყვანა – მანეკენი თამუნა. მასთან გადავიდა. მანეკენ თამუნას მეტი ფული სჭირდებოდა, ვიდრე მზარეულ ანჟელას, ამიტომ, უფრო მეტი ჩამორეკა ცხვრები, უფრო მეტი გაყიდა. მეტი ფული აიღო, მეტიც დახარჯა: ცოლის კაბებიო, პოდუშებიო, პარიკმახერიო, მაკიაჟიო, მანიკიურიო, პედიკიურიო, საღამოებიო, საჩუქრებიო, ქეიფებიო. ბატონი ოტია მეცხვარეთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. თვალები მიენაბა, აღარ აკვესებდა. მგლური მარტო ის დარჩა, რომ სიგარის მოსაკიდებლად სანთებელას ანთებისას კრთებოდა და ცეცხლს თვალს არიდებდა. ხო, დამავინყდა, სიგარის მოწევა დაიწყო. ჩაქაფულს აღარ მიირთმევდა – ყელში ამოუვიდა და, თან, ნაღვლის ბუშტსაც უღიზიანებდა. ფუაგრა შეუყვარდა ტრიუფელით და, კიდევ – ვაშლის შტრუდელი.

* * *

დონე მეხუთე: თვითრეალიზაცია – თავმოყვარეობის დაკმაყოფილებისას ადამიანში ჩნდება თვითაქტუალიზაციის, თვითგამოხატვის, საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის მოთხოვნილება.

* * *

დაინყო ქალაქის მერის არჩევნები.

– მერი შენ თუ არ იქნები, აბა, სხვა ვინ უნდა იყოსო?! – ურჩიეს კეთილისმყოფელებმა. დაინყო არჩევნებისთვის მზადება. ბუნაგში თვითონ აღარ წავიდა – სად ეცალა? კაცი გაგზავნა:

– ტყეში ადი, მგლის ბუნაგში და მგელი ნახე, კლარა ჰქვია. ჩემი ვალი აქვს, გამოართვი ცხვრები და ჩამორეკეო! – ჩამორეკინა ცხვრები, ჩააბარებინა, ფული აიღო, პარტია შექმნა, ხალხს შეხვდა, სახურავები გადაუხურა, გზები დააგო, ტელევიზიით გამოვიდა, პრესამ გააშუქა, ზოგი მოისყიდა, ზოგს დაემუქრა და გაიმარჯვა.

სულის ცხონებაზე დაინყო ფიქრი: ეკლესია ააშენა, საქველმოქმედო ფონდი შექმნა, უმწეოებს ეხმარებოდა. ასე გაიარა ოთხმა წელმა.

* * *

ელოდა, ელოდა კლარა ტოტიას, დიდხანს ელოდა თუ ცოტა ხანს ელოდა, ადგა და ქალაქში წამოვიდა ქმრის საძებნელად. ქალაქის შესასვლელში იმსხვერპლა მცველის ტყვიამ. სანაგვეზე მოისროლეს, ხევში.

მოვიდა ახალი არჩევნები. გაგზავნა ბატონმა ოტიამ კაცი ცხვრების ჩამოსარეკად.

– ის ბუნაგი ვნახე, მაგრამ, იქ არც კლარა იყო და არც ცხვრებიო!

– როგორო! – გაიქცა თვითონ, მაგრამ ყველაფერი გაპარტახებული დახვდა. ველარ დააგო გზები, ველარ გადახურა სახურავები, ველარ მოისყიდა ხალხი და არჩევნები წააგო.

სახლში მივიდა.

– ღარიბი და მათხოვარი რაში მჭირდებიო! – სახლიდან გამოაგდო თამუნამ. ანჟელასთან აღარ მისულა – იცოდა, რომ არ მიიღებდა. მეგობრებს ჩამოუარა – ყველამ ცხვირი აუბზუა. სხვა რა

გზა ჰქონდა, თავის ბუნაგში მიძუნძულდა. სამი დღე გარეთ ვერ გამოდიოდა, სანამ ბალანი ამოუვიდოდა. მეოთხე დღეს მშვიერი გამოლასლასდა, მთის წვერზე ჩაიყუნცა და სავსე მთვარეს გულამოსკვნილმა შეჰყმევლა.



მკვლელი

– რად მოკალი პეტოს დედა?

– მე არ მომიკლავს!

– მაშ, ვინ მოკლა?

არ მოუკლავს, არ ახსოვს, არ უნდოდა...

ყველაფერი იმით დაწყებულა, რომ მეზობლის დედაკაცი გადმოსულა საჭორაოდ... ფეხზე მდგომელას ულაპარაკია იმ ცხოვრებულს, ულაპარაკია და რა ულაპარაკია: ამ მთისა, იმ ბარისა. უსმენდა პატარაბავშვებელშიატატიებული, ზედმეტი ინფორმაციისგან თვალეზიარებული დედა მოსაუბრეს და ვერც კი შეუმჩნევია ბავშვის ხელში სიკვდილის იარაღი – ბასრი დანა.

ერთი ჩხვლეტა, მცირე ნაკანრი, გადახვევა, სისხლდენა, დაბეტური კომა, სასწრაფო დახმარება, საავადმყოფო...

– შენ მოკალი პეტოს დედა! – დასჩხავიან ძმები და სიცილით იგუდებიან ბევრად უმცროსი დის სასონარკვეთილ ამოგმინვაზე:

– მე არ მომიკლავს!

– მაშ, ვინ მოკლა?

– მამა, უთხარი, რომ მე არ მომიკლავს!

– რა შენი ბრალია, შვილო, არ გინდოდა! – ცალთვალმოჭუტული პასუხობს მამა და ულვაშის მარჯვენა კუთხის ფხანით, ღიმილით დაჰყურებს სიცილისაგან გალურჯებულ, ძირს მგორავ, ჩოჩრობიდან ვირობის ასაკში გადასულ ვაჟებს, ამ ბოლო დროს რომ ზომაზე მეტად იპრანჭებიან და ტუალეტში ყოფნაც საეჭვოდ რომ გაუხანგრძლივდათ.

ვერ მიმხვდარა, რატომ იჭაჭებიან ძმები სიცილით, ან რატომ ჭუტავს მამა თვალს.

– რად მოკალი პეტოს დედა?

– მინდოდა და მოვკალი! – უკვე გაიზარდა...

მინელდა პეტოს დედის ხსენება, ხანდახან გაბრაზებულზე თუ წამოაძახებენ ძმები...

დღისით – თამაში, მერე სკოლა, მერე ინსტიტუტი, მერე გათხოვება, მერე შვილები...

და, მიტკალივით თეთრი ღამეების ჯარი:

– რად მომკალი, შვილო, რას მერჩოდი?

– მე არ მინდოდა!

– ღმერთმა შეგინდოს!

ასე დაუსრულებლად...

მერე ავარია, ადრე დაქვრივება, დაობლებული ბავშვები, მოხუცების თავშესაფრად გადაქცეული ოჯახი – ასეა, უნდა ზღოს, მკვლელობა დიდი ცოდვაა, ჯობია იტანჯოს, ვიდრე შვილებზე გადავიდეს კაენის ცოდვა...

თეთრი ღამეები...

მოხუცის დამამუნათებელი თვალეები, რომლებიც არასდროს უნახავს, არ ახსოვს...

– რად მომკალი, შვილო, რას მერჩოდი?

მუდმივად თავის მართლება:

– მე არ მინდოდა!

კიდევ ათი წელი...

– სანყალი პეტო მომკვდარა!

– ...?

– დედამისივით, გულით!

იმ ღამეს პირველად დაიძინა მშვიდი, უშფოთველი ძლით...



კოლექტიური გონი

- დაანებე, ბიჭო, მაგ ტელეფონს თავი და მელაპარაკეო! - უთხრა მამამ ტელეფონში თავჩარგულ შვილს.
- მოიცა, რა, ინტერნეტში მაგარი რაღაც გავაძრეო! - ტელეფონიდან თავაუღებლად უპასუხა შვილმა.
- ეგ ინტერნეტი იქნება, რომ დაგვამარცხებსო!
- ინტერნეტმა როგორ უნდა დაგვამარცხოსო? - ჰკითხა შვილმა და ტელეფონი მაგიდაზე დადო.
- სტადიონზე ყოფილხარო?
- კიო.
- გიღრიალიაო?
- მიღრიალიაო!
- გისტვენიაო?
- მისტვენიაო.
- მსაჯისთვის გიგინებიაო?
- მიგინებიაო.
- იმავეს ქუჩაში გააკეთებო? - ჰკითხა მამამ.
- ალბათ, არაო! - მიუგო შვილმა.
- კარგი, მიტინგზე თუ ყოფილხარო?!
- კიო.
- ორატორების სიტყვით გამოსვლები მოგწონდაო?
- კი, მომწონდაო!
- ახლაც მოგწონსო?
- არა, ახლა არაო!
- აი, მაგაშია საქმე: ორივე შემთხვევაში შენ კოლექტიურ გონს დაემორჩილეო!
- ეგ როგორო?

- როცა ხალხის დიდი რაოდენობა ერთი მოვლენის ან იდეის გარშემო იკრიბება, ჩაირთვება კოლექტიური აზროვნება, რომელსაც ყველა მონაწილე ემორჩილებაო.

- მერე, ეგ ინტერნეტთან რა კავშირშიაო? - ჰკითხა შვილმა.

- ახლავე აგისხნო! - თქვა მამამ და სკამზე მოხერხებულად მოკალათდა.

- ცალკე, ერთი ჭიანჭველა რომ ავიღოთ, მას ძალიან პრიმიტიული აზროვნების უნარი აქვს, რომელიც მხოლოდ ინსტინქტებით შემოიფარგლება, რაც იმას ნიშნავს, რომ არ აქვს ლოგიკური აზროვნება, მაგრამ, საკმარისია, ჭიანჭველების დიდი რაოდენობა შეიკრიბოს, რომ უჩნდებათ ლოგიკური აზროვნების უნარიო!

- მერე, ეგ ლოგიკური აზროვნება რაში გამოიხატებაო?

- სხვა ჭიანჭველებთან საომრად მიდიან და წინასწარ არ იციან, გაიმარჯვებენ თუ დამარცხდებიან. ირჩევენ ბელადს, შეიმუშავენ ომის სტრატეგიასა და ტაქტიკას, ფლანგებად დაიყოფიან და სხვადასხვა მხრიდან უტევენ მტერს. ახლა, ვისაც თავს ესხმიან, ის ჭიანჭველები ვნახოთ: თუ დაინახავენ, რომ რაოდენობით მტერს არ ჩამოუვარდებიან, ბუდისგან მოშორებით გადიან და იქ, გაშლილ ველზე ხვდებიან მონინალმდეგეს. იმ შემთხვევაში, თუ მტერზე ნაკლებნი არიან, ბუდიდან არ გადიან, რომ არ გაიშალონ და ძალები არ დაექსაქსოთ. ომს იგებენ ან აგებენ, მოგებულს ალაფი მიაქვს და ტყვეები მიჰყავს. ამას ინსტინქტით ვერ გააკეთებენ, ლოგიკური აზროვნება სჭირდებაო!

- მერეო? - ხუმრობის კილოთი ჰკითხა შვილმა.

- მერე ის, რომ ელემენტარულ აზროვნებებს, გარდა უნარისა, მიდრეკილებაც აქვთ, რომ კოლექტიურ აზროვნებად გაერთიანდნენ და მას დაემორჩილონო!

- სალოლ, ჭიანჭველები, მაგრამ ინტერნეტთან მაინც ვერ დავაკავშირეო!

- კომპიუტერები და მობილურები, ყველა, ინტერნეტითაა დაკავშირებული, როგორც ჭიანჭველებს უჩნდებათ კოლექტიური

გონი და მას ემორჩილებიან, არ არის გამორიცხული, რომ ინტერ-
ნეტსაც გაუჩნდეს კოლექტიური გონი და ყველა კომპიუტერი
თუ მობილური დაიქვემდებაროს. მთელ საბანკო სისტემას,
კავშირგაბმულობას, მრეწველობას, მანქანა-დანადგარებს,
ენერგეტიკას და მსოფლიო უსაფრთხოების სისტემას კომპიუ-
ტერები მართავენ. შენ წარმოიდგინე, რა მოხდება, ინტერნეტმა
დამოუკიდებელი აზროვნება რომ დაიწყოსო!

- რა მოხდებაო?

- ომს გამოგვიცხადებენ და აუცილებლად დავმარცხდებითო!

- ეგ როდის მოხდებაო? - სამზარეულოდან იკითხა დედამ.

- კომპიუტერს ჭიანჭველას აზროვნებამდე აღარაფერი უკლია,
მთავარია, ჩვენ არ ვიყოთ ინტერნეტზე მთლიანად დამოკიდებუ-
ლიო! - უპასუხა მამამ.

ბოლო სიტყვები შვილს არ გაუგონია, რადგან ტელეფონი ეჭი-
რა ხელში და ინტერნეტში იქექებოდა...



ჟიზელი

ტრიალებს, ტრიალებს, ტრიალებს დაუსრულებლად. ფეხის წვერებზე ანეულა, ხელები თავს ზემოთ მოურკალავს, თავი უკან გადაუნევიან და ხელის მტევნებს შეჰყურებს. ერთი, ერთი, ერთი, ორი, სამი - ყურში უთვლის ვილაც. ცეკვავს თავისთვის, არა სხვისთვის, მთელი შეგრძნებით. დღეს ჟიზელია...

- მარიშა, გეყოფა, აიღე სიგარეტიო! - ეძახის ჯიხურიდან გამყიდველი სუსანა.

* * *

რკინიგზის სამმართველოში, ავტომატიზაციის განყოფილებაში ვმუშაობდი უფროს სპეციალისტად. ხელფასი კარგი მქონდა - ხელზე 450 მანეთს ვიღებდი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გამოგვიცხადეს:

- ამ თვეში ხელფასები არ იქნება, რუსეთი ფულს არ გვიგზავნისო! - შემდეგ თვეშიც იგივე განმეორდა, იმის შემდეგ თვეშიც. მერე მოგვცეს ერთი თვის ხელფასი, მაგრამ ის ფული 20 ლიტრ ბენზინზეც არ მეყო, რომ საკუთარ ავტომობილში ჩამესხა და მეტაქსავა. ოჯახი შიმშილობდა. ამას მოჰყვა: უშუქობა, უგაზობა, უპურობა, უშაქრობა, უკარაქობა, უბენზინობა...

* * *

მარია ანდრონიკოვა ლენინგრადში დაიბადა, ქორეოგრაფ ლევან ანდრონიკოვისა და მსახიობ სოფია ჟემბროვსკაიას ოჯახში. ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში მიიღეს კორდებალეტში წინა ხაზის მოცეკვავედ.

ლენინგრადში ჩასული ვახტანგ ჭაბუკიანი დასწრებია „გედების ტბას“ და მოსწონებია მარიას ცეკვა. თვითონ, ლენინგრადში სწავლის დროს, მეგობრობდა მამამისთან და არ გასჭირვებია, მარიას თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, პრიმა ბალერინად გადმოიბრება.

საქართველოში გადმოსვლისთანავე ანდრონიკაშვილად დაენერა, ქართული ენის მასწავლებელთან დაიწყო სიარული და ერთ წელიწადში გამართულად ალაპარაკდა ქართულად.

დიეტა, რეპეტიცია, სცენა, დიდების მწვერვალი.

ყოველდღე, ტრიალებს, ტრიალებს დაუსრულებლად. ფეხის წვერებზე ანეულა, ხელები თავს ზემოთ მოურკალავს, თავი უკან გადაუნევია და ხელის მტევნებს შეჰყურებს. დარბაზი ხალხითაა გაჭედული. ისმის უკვდავი მუსიკის ჰანგები. ერთი, ერთი, ერთი, ორი, სამი - ყურში უთვლის ვილაც. ცეკვავს თავისთვის, არა სხვისთვის, მთელი შეგრძნებით. დღეს ჟიზელია, ხვალ გედი იქნება, ზეგ - ესმერალდა. ინგრევა დარბაზი ოვაციებით...

* * *

თბილისს ჯიხურების სენი მოედო. ნანვიმარზე სოკოებივით ამოიზარდა - ასი, ათასი, ათი ათასი...

განყოფილების ხუთმა ბიჭმაც გადავწყვიტეთ საზიარო ჯიხურის ჩადგმა. უშუქობის მიუხედავად, რკინიგზის სამმართველოს დენი მუდმივად ჰქონდა. ვიშოვეთ მასალა, ელექტროშედულების აპარატით ავანყეთ ჯიხური და დავდგით სამმართველოს შენობის უკან, სურამის ქუჩაზე. მეზობლის ქალი, სუსანა დავსვით გამყიდველად, მაგრამ მორიგეობით ჩვენც ჩავდიოდით დასახმარებლად. გვერდით თამბაქოს ფაბრიკა იყო. იქ ვყიდულობდით 3 მანეთად „პრიმას“ და „ასტრას“ და 4 მანეთად ვყიდდით. სიგარეტი „მაგნა“, ძეხვი „სალიამი“, შოკოლადები: „ლუნა“, „მარსი“ და „ტვიქსი“, „პოსლეზე“ მოგვექონდა „მუხიანის ბაზრობიდან“. არაყს ნინოშვილის ქუჩაზე ასხამდნენ. რასაც შეუკვეთავდი,

იმ ეტიკეტს მიგირტყამდნენ. ჩვენ „სტალიჩნაიას“ და „ბშენიჩნაიას“ ვიღებდით. იმ პერიოდში არაყს ეთილის სპირტიდანაც აკეთებდნენ და ხალხი იხოცებოდა. ამიტომ, ყოველ ახალ პარტიას ჩამომსხმელის მტვირთავი მუშა – სამველა ამონმებდა პრიმიტიული მეთოდით - პარტიიდან ერთ ბოთლს გახსნიდა და 100 გრამს გადაჰკრავდა. მეორე დღეს, თუ ცოცხალი გამოჩნდებოდა, ვინცებდით არყის გაყიდვას. იმ უბანში არაყს ყველა ჩვენთან ყიდულობდა, იცოდნენ, რომ შემონმებული იყო.

* * *

ბალეტზე გადაყოლილმა ოჯახი ვერ შექმნა. ერთი პერიოდი გათხოვილი იყო, მაგრამ მალევე გასცილდა. ცხოვრობდა მარტო.

ამასობაში საქართველოში ეროვნულმა მოძრაობამ გაიმარჯვა. ხალხი ჯერ კიდევ გამარჯვების ეიფორიაში იყო, რომ ეროვნული მოძრაობა გაიხლიჩა. რუსთაველზე დაიწყო შეტაკებები, ძველი მთავრობა წავიდა, სამეული მოვიდა.

მაშინდელმა კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ უცხოური დადგმები აკრძალა

- მარტო ქართული უნდა იცეკვოთო! ატრიალეს „გორდა“ ორი თვე და დასი დაიშალა. მარიამი თეატრიდან დაითხოვეს. შიმშილმა ქუჩაში გაიყვანა. ასე გახდა პრიმა ბალერინა - ქალბატონი მარიამ ანდრონიკაშვილი - მარიშა.

* * *

ერთხელ ქალი მოვიდა ჩვენს ჯიხურთან - საშუალო სიმაღლის, გამხდარი, წელში გამართული, ჰარმონიული, მსუბუქი მოძრაობით, უკან გადავარცხნილი თმებით, ლამაზი სახის ნაკვთებით. იქნებოდა, ასე, 50 წლამდე. თვალების ქვეშ და ყელზე ნაოჭები რომ არა, 30 წელზე მეტს არ მისცემდი.

- მე მარიშა ვარო! - გამეცნო.

- ორი კოლოფი „ასტრა“ მინდა, მაგრამ ფული არ მაქვსო!

- ისე აიღეო! - ვუთხარი. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო.
- ეგრე არ მინდა, მათხოვარი კი არ ვარ, გიცეკვებო!
- რას მიცეკვებო?

- ჟიზელსო! - ფეხის წვერებზე აინია, ხელები თავს ზემოთ მორკალა, თავი უკან გადასწია. დაიწყო ტრიალი ნელა, მერე უფრო სწრაფად, კიდევ უფრო სწრაფად. სახეზე ეტყობოდა, რომ გონებით სხვაგან დაფრინავდა, დანავარდობდა. გაჩერდა.

- აჰა, „მაგნა“ აიღეო! - ვუთხარი.

- არ მინდა, მიჩვევა იცოსო! - გამომართვა ორი კოლოფი „ას-ტრა“ და წავიდა.

იმ დღის შემდეგ ყოველდღე მოდიოდა მარიშა, იცეკვებდა, სიგარეტს აიღებდა და მიდიოდა.

ბიჭები ჯიხურში აღვნიშნავდით პირველი ფულის „გატეხვას“, მარიშა რომ მოვიდა. შევიპატიყეთ. ძეხვი და პური გავუწოდე, არ აიღო

- დიეტაზე ვარო! თქვენ გაგიმარჯოთო! - ერთი ჭიქა არაყი გადაკრა, ადგა და წავიდა.

ქალაქში იარაღიანი ხალხი გამოჩნდა: მხედრიონიო, გვარდიაო, საძმოებო, შავებო. ერთი ბიჭი მოვიდა.

- მე ამ უბანს ვუყურებ, ფულს ყოველთვიურად გადამიხდით, თუ წილში ჩამსვამთო?!

- წილში ჩაგსვამთო!

- წილში რამდენი ხართო?

- ხუთნი ვართ, მეექვსე შენ იყავიო!

- თქვენ თქვენი გაგჭირვებიათ, არაფერი არ მინდა, თუ დაგჭირდებით, ისე დაგეხმარებითო. მერე გავიგე, ის ბიჭი ტელევიზიის შტურმის დროს მოუკლავთ.

ჯიხურს ველარ ვტოვებდით, ღამითაც დავიწყეთ მორიგეობა. ერთხელ, ჩემი მორიგეობის დროს, ჯიხურის სარკმლიდან ვიყურებოდი. შუქი ჩამქრალი მქონდა, გარედან არ ვჩანდი. ვხედავ, მარიშა მოიპარება. ფეხის წვერებზე მოდის, აქეთ-იქით იყურება.

ჩვენი ჯიხურის გვერდით ნაგვის ბუნკერი იდგა. ჩაეყუდა ბუნკერში, რალაცები ამოკრიფა და ისევე ფეხის ნვერებზე გაიპარა.

შემდეგ დღეს შევიპატიჟე, ძეხვი დავუჭერი, არაყი დავუსხი. საჭმელს პირი არ დააკარა, არაყი დალია. ამბები გამოვკითხე: მომიყვა თავის შესახებ, ბალეტზე, დასზე, ჭაბუკიანზე. ლაპარაკობდა ლამაზი, დახვეწილი ქართულით, ოდნავ შესამჩნევი რუსული აქცენტით. ერთ „ქუჩურს“ არ გამოურევდა. ეტყობოდა, რომ მთელი ცხოვრება ისეთ წრეში ჰქონდა გატარებული, ვისგანაც ქუჩა შორს იყო. ნასვლისას ჩუმად პატარა „სალიამი“ ჩავუცურე ჯიბეში. მეორე დღეს დააბრუნა:

- მეც არ ვიცი, როგორ გამყვაო!

ყოველდღე მიდიოდა, ყოველდღე ცეკვავდა. უკვე მივეჩვიეთ მარიშას ცეკვას. ბოლო დროს, ცეკვის შემდეგ, მკერდზე ხელს მიიჭერდა, ცოტა ხნით შეყოვნდებოდა, ქოშინს დაიოკებდა, აიღებდა სიგარეტს და მიდიოდა.

* * *

ერთ დილას, სამსახურში სურამის ქუჩიდან მივედი. ჯიხურის წინ, ნაგვის ბუნკერთან ხალხი შეკრებილიყო. ასფალტზე მარიშა ეგდო. ხელები თავს ზემოთ მოერკალა, თავი უკან გადაენია და ღია თვალებით მიშტერებოდა ხელის მტევნებს. ალბათ, უკანასკნელად ცეკვავდა „ჟიზელს“.



იბერიის გაბრწყინება

მთლად იბერია, მცხეთა-ქალაქს ღრუბლად მომწყდარი, გადედინება პომპეუსის ქვით ნაგებ ხიდზე. ნაპირზე ისევ დაგუბებულნი, გზად შეუყვება ძეგვისკენ ქალას. მერე კი მარცხნივ, არმაზის ხევთან, ზევით აინევს ვინრო ნაკადად. ტაფობზე მთისა კვლავ გაიშლება და დაგუბდება ისევე ღრუბლად.

ღრუბელს ხალხისას ზევიდან ანევს შავი ღრუბელი, ცად ჩამოღვრილი. მის სხეულში კი დაიკლაკნება გველებად ელვა. ნიაღვრის ღრიალს ბანს მოსძახებს ქუხილი ცისა.

შოთის პურები – სახედ ხმლისა და ქათამნი – ხარკად არმაზისა. მამრნი ჩვილნი, მარჯვნივ დაყრილნი, ხარკად გაცისა და ქალნი ჩვილნი, მარცხნივ, ხარკადა გაიმ.

ერთ მხარეს დგანან: ეგვიპტურ კაბით გოლიათი არმაზ შემართული ხმლით, ზურმუხტის თვალებს აბრიალებს ელინური ჩაჩქანის მიღმა.

მრისხანება ზევსისა, შეუპოვრობა ოსირისისა, დაუნდობლობა ჰოროსისა, სახედ მეფე ფარნავაზისა.

და მის პირისპირ გაც – ტანად ოქროსი, სახედ აზონისა, კუნთად ქცეულ, ვერ გამაძლარი მამრთა სისხლითა. და გაიმ – ცოლი გაცისა, ვერცხლად მნათობ, მკერდზე მიმხმარი დიაცთა სისხლით.

ხალხი დამფრთხალნი, მთის ფერდობს შეფენილნი, მოლოდინში ღმერთთა ბრძოლისა, გალობდნენ არმაზს სადიდებელსა: ღმერთი ღმერთთა არმაზ... ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქუეყნისა ნაშობთა გამომზრდელნი...

არიან-ქართლის მეფის, იარედოსის ძის, აზონის იბერიაში გამეფებას ხელი შეუწყო საბერძეთის, ეგვიპტისა და აზიის მბრძანებელმა ალექსანდრე მაკედონელმა. აზონმა ბრძოლაში მოკლა მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა - ფარნავაზის მამა. ფარნავაზის დედამ სამი წლის ფარნავაზი სპარსეთში გადაიყვანა და იქ ზრდიდა. აზონმა არიან-ქართლიდან მცხეთაში ჩამოასახლა 18 ოჯახი. შექმნა თავისი სახის ღმერთი, მთლად ოქროთი შემოსილი – გაც და ცოლი მისი, თავისი ცოლის სახისა, ვერცხლით შემოსილი – გაიმ. გაუყო თავისი ძალაუფლება და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მთის ტაფობზე დაასახლა.

გაცმა და გაიმმა ხელში აიღეს ძალაუფლება და იწყეს ხალხზე ძალადობა – შესაწირად საკლავისა და ღვინის გარდა, ითხოვდნენ ჩვილ ბავშვთა შეწირვასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, იბერიას მიწიდან და ციდან ცეცხლის მოგვრით ემუქრებოდნენ. თავიდან აზონთან შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ, მაგრამ მერე აღარ მოეწონათ მასთან გაყოფილი ძალაუფლება. ერთ დღესაც მივიდნენ და მოსთხოვეს ძალაუ-ფლების გადმოცემა. შეშინდა აზონი და შეჰპირდა უფრო მეტი საკლავისა და ბავშვის შეწირვას. ადრე თუ წელიწადში ერთხელ, დღესასწაულზე მიჰყავდათ ბავშვები შესაწირად, ახლა წელიწადში ორჯერ მოინდომეს.

ცოტა ხანში მივიდნენ და მოსთხოვეს აზონს ძალაუფლების დათმობა, ან სეფენულის შეწირვა. გაბრაზდა მეფე და ხელცარიელი გამოისტუმრა ღმერთები. მაშინ ჩავიდა გაიმ სპარსეთს, ნახა ფარნავაზი, რომელსაც უკვე 20 წელი შესრულებოდა და შესთავაზა იბერიის მეფობა. დასთანხმდა ფარნავაზი. წამოიყვანა დედა, ორი და და აზონის მალულად, მცხეთაში გადმოვიდა საცხოვრებლად. ერთ ღამეს საოცარი სიზმარი ნახა ფარნავაზმა. სიზმარში ზუსტად იყო მითითებული ადგილი, სადაც ინახებოდა დიდი განძი. მივიდა ფარნავაზი დილომში იმ ადგილზე,

წამოიღო განძი და დაიწყო მამამისის მკვლელი აზონის წინააღმდეგ შეთქმულების მომზადება. თავისი უმცროსი და მიათხოვა კოლხეთის მამასახლის ქუჯს და დაიმოყვრა. უფროსი და კი მიათხოვა სარმატ მთავარს. შეშინებული აზონი გაიქცა ჯავახეთში, კერძოდ, არტაანში და იქ, ჰურის ციხეს შეაფარა თავი. ფარნავაზი უბრძოლველად შევიდა მცხეთაში. მეორე დღეს ზარ-ზეიმით აუწყეს ხალხს ფარნავაზ პირველის გამეფება. ფარნავაზმა დიდძალი განძი გაუგზავნა ასურეთის მეფე სელევკოს დიდს, რომ არ მიმხრობოდა აზონს. აზონი გადავიდა საბერძნეთში და არმიით დაბრუნდა მცხეთას. ბრძოლაში ფარნავაზმა გაიმარჯვა, მოკლა აზონი, განდევნა ბერძნები, გააერთიანა სამამასახლისოები და შექმნა იბერიის სახელმწიფო. დააკანონა ქართული ენა და დამწერლობა.

ფარნავაზმა შექმნა ახალი ღმერთი სპილენძის ტანით, ბერძნული მუზარადით, ეგვიპტური სამოსით, აღმართული ხმლით, ზურმუხტის თვალებით, სახედ თვისი, დაარქვა ფარნავაზ – სპარსულად არმაზ და დაასახლა გაც და გაიმს შორის. ჩამოართვა მათ ჭექა-ქუხილის, ნვიმისა და ნაყოფიერების ძალაუფლება და გადასცა არმაზს.

კეთილი ღმერთი იყო არმაზ: ქათამს იწირავდა, ღვინოს და შოთის პურს. ეშინოდათ გაცს და გაიმს არმაზის ზურმუხტის თვალებით შემოხედვის. დანყნარდნენ, დამშვიდნენ და ბედს დაემორჩილნენ.

ადიოდნენ მლოცველები არმაზის მთაზე და მიჰქონდათ ქათამი, ღვინო და შოთის პური არმაზისთვის და ჩვილი ბავშვები – გაც და გაიმისთვის.

ერთხელაც, ამოსული მომლოცველების წინაშე სიტყვით გამოვიდა არმაზ:

– ხალხნო, რას დაემსგავსეთო!

გაკვირვებული შეაცქერდა ხალხი.

- ეს ღმერთები რას გიშვრებიანო!
- თქვენი სარჩო-საბადებელი მიაქვთო!
- შეხედეთ, თქვენს ხარჯზე როგორ ცხოვრობენო!
- არმაზ! არმაზ! არმაზ! – შესძახა ხალხმა.
- თვითონ ოქროსი და ვერცხლის არიანო!
- ეგ ოქრო და ვერცხლი თქვენი საკუთრებააო!
- არმაზ! არმაზ! არმაზ!
- კმარა, ბავშვების შეწირვაო!
- კმარა! კმარა! კმარა!
- თითო კაცი გაგზავნეთ სხვების ამოსაყვანადო!
- დანარჩენებმა აქედან ფეხი არ მოიცივალოთო!
- არმაზ! არმაზ! არმაზ! – კიოდა ხალხი.

* * *

მოდის და მოდის მომლოცველნი იბერიიდან. ხალხით გაივსო მიმდებარე მთათა ფერდობნი. შეცბნენ წყვილღმერთნი გაც და გაიმ სულით ხორცამდის. პირველად იგრძნეს ხალხის ძალა საკუთარ თავზე. ჰა, რას იზამთო! – შეუტია არმაზ მრისხანედ. უნდა გადადგნენ გაც და გაიმ, დათმონ ღმერთობა, არმაზს გადასცენ ძალაუფლება ესოდენ დიდი.

აღსრულდეს ნება ხალხისაო, თქვეს გაც და გაიმ. და ბრძანა არმაზ გამოკეტვა მათი პანთეონს.

აღარ სწირავდნენ სასტიკ ღმერთებს პატარა ბავშვებს.

* * *

ადიოდნენ მლოცველები არმაზის მთაზე და მიჰქონდათ შესაწირი არმაზისთვის. იცოდა სიკეთის დაფასება არმაზმა, შემონაწირს ერთგულ ხალხსაც უნაწილებდა.

ერთხელაც, ერთგული ხალხის წინაშე სიტყვით გამოვიდა არმაზი:

- სპილენძის მუზარადი გაშავდა, ოქროსი მინდაო!
- არმაზ! არმაზ! არმაზ!
- ტანსაცმელიც ოქროსი მინდაო!
- არმაზ! არმაზ! არმაზ!
- არმაზის ციხე ამიშენეთო!
- არმაზ! არმაზ! არმაზ!

დაერივნენ იბერიის მოსახლეობას და წაართვეს ლუკმა-პური. შემოსეს არმაზი ოქროს ტანსაცმლით, დაახურეს ოქროს მუზარადი, აუშენეს არმაზის ციხე.

შემდეგ დღესასწაულზე კვლავ გამოვიდა სიტყვით არმაზი და ზურმუხტის თვალელები მწვანედ გააკვესა:

- წელიწადში ოთხჯერ ჩვილი ბავშვები შემომწირონო!
- ვინც უარს იტყვის, არმაზის ციხეში გამოკეტეთო!
- არმაზ! არმაზ! არმაზ!

* * *

მთლად იბერია, მცხეთა-ქალაქს ღრუბლად მომწყდარი, გადედინება პომპეუსის ქვით ნაგებ ხიდზე. ნაპირზე ისევ დაგუბებუ-ლი, გზად შეუყვება ძეგვისკენ ჭალას. მერე კი მარცხნივ, არმაზის ხევთან ზევით აიწევს ვიწრო ნაკადად. ტაფობზე მთისა კვლავ გაიშლება და დაგუბდება ისევე ღრუბლად.

ღრუბელს ხალხისას ზევიდან აწევს შავი ღრუბელი, ცად ჩამოღვრილი. მის სხეულში კი დაიკლაკნება გველებად ელვა. ნიაღვრის ღრიალს ბანს მოსძახებს ქუხილი ცისა.

შოთის პურები – სახედ ხმლისა და საკლავნი უხვად. მამრნი ჩვილნი მარჯვნივ დაყრილნი, და ქალნი ჩვილნი მარცხნივ – ხარკად არმაზისა.

ერთ მხარეს დგანან: ეგვიპტურ კაბით გოლიათი არმაზ შემართული ხმლით, ზურმუხტის თვალელებს აბრიალებს ელინური ჩაჩქანის მიღმა.

მრისხანება ზევსისა, შეუპოვრობა ოსირისისა, დაუნდობლობა ჰოროსისა, სახედ მეფე ფარნავაზისა. და მის პირისპირ – პატარა გოგო, ვაზის ჯვრით ხელში, თმებით განსკვნილი. უბრალოება და სიდიადე, ვით თავად ღმერთი, ძე ღვთისა, ჩასახული სულიწმიდისგან...

* * *

გაიხსნა ზეცა, გადმოვიდა ციღამ ნათელი...



ნადირობა (ნამდვილი ამაზვი)

ერთი გასროლით წყვილი „მოხსნა“. მონყვეტით წამოვიდნენ ციდან და უსულოდ დაეცნენ ტბის პირას ლელიანში.

- ბუჩქებთან მოძებნე, ორივე იქ ჩამოვარდაო! - დაუძახა ოცი-ოცდაერთი წლის ცალპირათოფიანმა ბიჭმა და იხვების ახალი „ტაბუნის“ მოლოდინში ცას თვალი გაუშტერა.

- რა ორი, ერთი იყოო! - უპასუხა შუახნის დიდთავა კაცმა ცალპირათოფიანს და ძებნა ბუჩქებისკენ გააგრძელა.

- მართლა ორი ყოფილაო!

- ხომ გითხარიო!

- კარგი თვალი გქონიაო!

- მობრძანდი, ლუკმა გავტეხოთო!

- „პერელიოტი“ დამთავრდეს და მოვალო!

„ზაპოროჟეცის“ „კაპოტზე“ „ახოტნიჩი კალბასი“, კიტრის მწნილი, „შპროტი“, ყველი, პური, კეთილი გული.

- რითი ხარ ჩამოსულიო? - ჰკითხა, დიდთავა „ზაპოროჟეციანმა“, ცალპირათოფიანს.

- „ელექტრიჩკით“ ჩამოვედიო! - უპასუხა ცალპირათოფიანმა და მანქანით თბილისში ჩაყვანის შეთავაზების მოლოდინში გაირინდა.

- მე გამომყევით! - მართლაც, შესთავაზა დიდთავა „ზაპოროჟეციანმა“ და წინა სავარძლის საზურგე გადასწია, რომ ირლანდიური სეტერი უკანა სავარძელზე შეეშვა.

* * *

- ეს აიღე და ტყიდან მაყვალი მოიტანეო! - უთხრა მწვანე ატ-

ლასის კაბიანმა აზერბაიჯანელმა ქალმა თავის ღიაცავისფერ-
თეთრკოპლებიან კაბაში ჩაცმულ შვილს და კალათი გაუნოდა.

- ფრთხილად იყავი, ტყეში გარეული ღორები მომრავლე-
ბულანო! - მიაძახა მწვანე ატლასის კაბიანმა დედამ, აღმართში
კუნტრუშით მიმავალ გოგონას.

* * *

- მე, ერთი ჩემი ძმაკაცი და მისი მეგობრები: რეზო თავარ-
თქილაძე, რამაზ ჩახვაძე, კომკავშირის ცეკას მდივანი გელა
ახალაძე, რევაზ სვანიძე... ძაღლო, გასწი დრუნჩი!... ხო, კიდევ
ფილოსოფოსი რომ არის - მერაბ შავერდაშვილი და გურამ
დემეტრაშვილი, ხშირად დავდიოდით წითელ ხიდთან, ღორებზე
სანადიროდო - გაიხსენა დიდთავა „ზაპოროჟეციანმა“.

- ახლა აღარ დადიხართო? - ჰკითხა ცალპირათოფიანმა.

- არა, ჩემს ძმაკაცს უბედურება შეემთხვა, თოფი გაყიდა და
იმის მერე აღარ ნადირობსო!

- გზას აღარ გაგიმრუდებთ, ბარათაშვილის ხიდთან გამიჩე-
რეთო!

* * *

- ბოჭორიძეზე ამიყვანო! - უთხრა ცალპირათოფიანმა ბიჭმა
ბარათაშვილის ხიდთან მკვეთრი მუხრუჭით გაჩერებულ, წითე-
ლი „ჟიგულის“ მძღოლს.

- დაჯექი, მონადირეს ვენაცვალეო!

- რამდენად ამიყვანო?

- ფული არ მინდა, ისე აგიყვანო!

ძაღლი უკან შეუშვა, თვითონ მძღოლის გვერდით მოკალათდა.

- სანადიროდ სად იყავიო?

- კუმისზეო!

- მეც ხშირად დავდიოდი მეგობრებთან ერთად სანადიროდ,
მაგრამ ერთი ამბის შემდეგ თოფი გავყიდე და აღარ მინადირიაო!

- უბედურება ხომ არ შეგემთხვაო?

- შენ რა იციო?!

- „ზაპოროჟეციაანმა“ კაცმა მომიყვა, იმან ჩამომიყვანა კუმის-
იდანო!

- ხო, ეგეც იქ იყო!

- როგორ მოხდაო?

- ღორს ვესროლეო!

* * *

ჰაერს კვეთს მარეკების ომახიანი კივილი, ღრიალი, ლითონის
ხმაური. ნელ-ნელა ახლოვდებიან, ღორი გახტა პირდაპირ სამა-
ლავის წინ, ბუჩქებში! ესროლა, გაარტყა.

* * *

ბევრია ტყეში მაცვალი, აგერ, ყველაზე გაბარდღული ეკლიანი
ბუჩქი. ღრმად შევიდა, ეკალმა გაკანრა, ეტკინა, გვერდზე გახტა.
ეს რა გრიალია, რამ უჩხვლიტა მკერდში?

* * *

- რომ მივედი, მინაზე მოცელვით დაგდებული, შვლის ნუკრი-
ვით კოპლებკაბიანი, შვიდი წლის ბავშვი დამხვდაო. თავი უკან
გადაეგდო, სიმწრისგან ტუჩები მოეკუმა და ლოყაზე ცრემლი
ჩამოჰგორებოდაო.



ქურთი

- რომიკ, როგორა ხარო?
- რკინივითო!
- ედიკა სად არისო?
- დედას ხმარობსო!
- რაო?!
- Маме помогает!

* * *

რომიკა თბილისელი ქურთების – თამზოსა და ნიგარას ნაბოლარა შვილი იყო.

- რაზმიკ, ყასო, ზინე, ნენე, ედო, გოზე, რომა! ვარე, ვარე, ვარეო! – კრუხი რომ წინილებს უხმობს, ისე, დილაადრიანად აღვიძებდა მეზობლებს ძველი სახლის ნახევრადსარდაფიდან ნიგარას ნიოკი.

რომიკას უფროსი ძმა, რაზმიკა, მოსკოვში გადავიდა და რაღაც საეჭვო საქმიანობით დაკავდა. ერთხელაც, ოჯახის წევრებს შემოუთვალა:

- კარგად მოვენყვე, გაყიდეთ ყველაფერი და ჩემთან გადმოდით მოსკოვში, ყველას დაგასაქმებთო! – გაყიდეს ბინა, იყიდეს თვითმფრინავის ბილეთები, მაგრამ რომიკამ წასვლაზე სასტიკი უარი განაცხადა და ზედ წასვლის წინ დაიძალა – აქ იყო მისი ადგილი, გული უგრძნობდა. იწინა ნიგარამ:

- რომიკას გარეშე არ წამოვალო! – მაგრამ ოჯახის წევრებმა უთხრეს:

- უკვე 14 წლისაა, თავის თავს მიხედავს, თვითმფრინავის ბილეთებს ხომ არ გავაუქმებთ, მერე ჩამოვალ! – შეაგდეს ნიგარა

თვითმფრინავში და გაფრინდა ოჯახი მოსკოვში რომიკას გარეშე.

რომიკა ქუჩაში დარჩა, უბინაოდ. გლდანის თავზე, პატარა ტბასთან, ძველი ავტობუსი ეგდო. ჩამტვრეულ ფანჯრებზე მუყაოები ააკრა და ღამეს იქ ათევდა. დღისით ვაგზლის მოედანზე დგებოდა მანქანების სადგომთან, აიკოჭლებდა ფეხს, „პარალიჩიანივით“ ჩამოაგდებდა ცალ ხელს, მეორეს სამათხოვროდ გაიშვერდა და ასე დაჩლახუნობდა გაჩერებულ მანქანებს შორის. ქურთის შავტუხა და თმახუჭუჭა ბიჭს მაინცდამაინც არ სწყალობდნენ – საჭმლის ფულს ძლივს შოულობდა.

ერთხელ, სადგომზე „ფიგული 07“ გაჩერდა. უკანა, ნახევრად ჩამონეული ფანჯრიდან გერმანულ ნაგაზს ჰქონდა თავი გადმოყოფილი. მანქანიდან ვიღაც, 40 წლამდე ასაკის, შავსათვალნიანი კაცი გადმოვიდა, მანქანის უკანა კარი გააღო, დაავლო ქეროში ხელი და უკანა სავარძელზე, ძაღლის გვერდით შეაგდო. სანყალმა, ძაღლს ჩასისხლიანებულ თვალეებში რომ ჩახედა, შიშისგან მარცხი მოუვიდა და სავარძელზე ლაქა დატოვა. მანქანამ ლოტკინის მთაზე, ბოშების დასახლებაში აიყვანა. იქ, გაუღეს მანქანის კარი, ისევ ქეროთი გადაათრიეს და ორსართულიან სახლში შეათრიეს. მისაღებში, მაგიდის გარშემო, ოთხი კაცი იჯდა. „ფიგულის“ პატრონი მეხუთე კაცად მიუჯდა. რომიკა შუა ოთახში დააყენეს. გაუგებარ ენაზე საუბრობდნენ, თან მისკენ იყურებოდნენ. მათი ლაპარაკიდან მარტო ის გაიგო, რომ მაგიდის თავში მჯდომი მათი უფროსი იყო, რადგან ბარონს ეძახდნენ და, ის რომ ლაპარაკს იწყებდა, ყველა ჩუმდებოდა. „ფიგულის“ პატრონი შემოუტრიალდა და ქართულად უთხრა:

– მე ზახარა ვარ, ყველა მათხოვარი ფულს მიხდის, შენი ადგილი მანდ იქნება, დღეში 5 მანეთს მომცემო!

– 5 მანეთი როგორ მოგცე, 3 მანეთს ვაკეთებო!

– მაშინ, შენი ფული დაადე, თორემ, მოგკლავ. საღამოობით მოგაკითხავო! – მისცა ერთი ყავარჯენი – გამოგადგებო, – და

გამოაგდო.

ნამოვიდა რომიკა. იმ ღამეს ვერ დაიძინა. დილით ადრე სანაგვეზე ავიდა. ახალი ნაგავი უკვე ამოტანილი იყო და ხალხი შიგ იქექებოდა. გაუმართლა – ქალაქის პარკში გახვეული კარტოფილის ღვეზელი იპოვა. იქვე შეჭამა და სამათხოვროდ თავის ადგილზე გაიქცა, მაგრამ იქ ვიღაც ბიჭი დახვდა. გაგდება დაუპირა, იმან გაარტყა, ამანაც გაარტყა და დაიწყეს ხელჩართული ჩხუბი.

– დახოცეთ ერთმანეთი, თქვენი ჯიშო! – მანქანებიდან აგულიანებდნენ მძღოლები. ამ დროს მილიცია მოვიდა. ის ბიჭი გაიქცა, მოჰკიდეს რომიკას ხელი და ვაგზლის მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს.

* * *

უბანში ამბობდნენ: ქუჩაში, ასფალტს რომ აგებდნენ, პატარა რომიკა გუდრონში ჩავარდაო. თამზომ გუდრონიდან ამოიყვანა, სახლში მიათრია და ნიგარას ჰკითხა:

– ნიგარა, გარეცხავ თუ ახალი გავაკეთოთო?

ერთხელ, რომიკა მამამისს მისდგომია:

– პაპიკ, ლელოსიპეტი მიყიდეო!

– თნა, კურუ, ზონემ აზუმა აღევე, სადა მაქ მაგის ფულიო! – თავში ნამოარტყა თამზომ.

– მე შენ გასწავლი ჭკუასო! – წავიდა რომიკა აფთიაქში, კუჭის ასაშლელი წამალი იყიდა და საჭმელში ჩაყარა. დაიკავეს შვილებმა ყველა სართულზე ტუალეტები. თამზოს მუცელმა გვიან მოუარა.

– ავა ქეა, ავა ქეაო! – ტუალეტის კარზე მიაბრახუნა გამწარებულმა თამზომ.

– ავა, ყასო იაო! – გამოსძახა ჭინთვისგან დაოსებულმა შვილმა...

ქურთებს წესი ჰქონიათ – ქორწილში ნეფე ვაშლს თავში ეს-

როდა პატარძალს. თუ ისეთი ძალით მოარტყამდა, რომ ვაშლი შუაზე გაიხლიჩებოდა, ბედნიერი ცოლქმრობა ექნებოდათ. ყასომ ცოლი რომ მოიყვანა, თამზომ ვაშლი წინასწარ შუაზე გადაუჭრა. მარტო გარტყმა იყო საჭირო, რომ გადახსნილიყო. გაუქანა ყასომ და მეზობლის გოგოს გაარტყა თავში.

– შენს გაკეთებას, ტაბურეტკა გამეკეთებინა, დავჯდებოდი მაინცო! – იყვირა თამზომ. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია, რომ ერთმანეთზე ნეკებით გადაბმულიყვნენ და ზურნის, დუდუკისა და დოლის ხმაზე სამი დღე შეუსვენებლად ეცეკვათ...

თამზო მეზობლის მამის პანაშვიდზე მისულა.

– ვიზიარებო! – უსამძიმრებდნენ ჭირისუფალს მეზობლები. თამზომ „ვიზიარებ“ ვერ გაიხსენა და...

– გავლიზიანდიო, მიუსამძიმრა. პანაშვიდი ჩაშლილა – ჭირისუფლის ჩათვლით, ყველა ხარხარებდა.

* * *

თამთას მშობლები ავარიასში დაეხოცა. ობოლი ბავშვი ბიძამ თავისთან წამოიყვანა. მალე ცოლი შეირთო, ოსის ქალი – ნინა. ბიცოლა თავიდან კარგად ექცეოდა, უვლიდა, მაგრამ, შვილი რომ გაუჩნდა, თამთა შეიძულა. ბავშვს ავლევიანებდა, სახლს ალაგებინებდა, სარეცხს არეცხვინებდა, თან უყვიროდა:

– შე სასიკდილე, რათა ზარმაცობო! – და თავში წამოტყაპუნებასაც არ აკლებდა. ერთი რომ გაუვიდა და გოგომ ბიძამისს არაფერი უთხრა, შედგა და წიხლებით ცემაზე გადავიდა. ქმარი თუ სახლში იყო, თავლი და შაქარი ხდებოდა:

– მიშაა, უთხარი გოგოსა, სანმელს ცოტასა წამსო! – უხაროდა ბიძას, ჩემს ძმისშვილზე როგორ ზრუნავსო!

– ჭამე, შვილო, ძვალი და ტყავი ხარო! – ეუბნებოდა ბიძა, მაგრამ, ერთხელ, თამთამ რომ უპასუხა – ვირივით მამუშავებს, თან მცემს და საჭმელსაც არ მაჭმევსო, – ისე გაიგიჟა ნინამ თავი – იტყუება ეგ სასიკდილეო! – და ისეთი ნიანგის ცრემლები ღვარა,

რომ ქმარი დააჯერა და გოგო აქეთ აცემინა – მოამაგე ქალს რას აბრალებო?

ლამით აკრიფა თავისი გუდა-ნაბადი, ჩაალაგა დედამისის ნაქონ ჩემოდანში და სახლიდან გაიპარა. ის ღამე რკინიგზის სადგურში გაათენა. დილით რომ გაიღვიძა, ჩემოდანი აღარ დახვდა. ეძება, მაგრამ რას იპოვიდა? მილიციელთან მივიდა. იმან საბუთები მოსთხოვა. საბუთები არ ჰქონდა. განყოფილებაში წაიყვანეს და, სანამ ვინაობას გაარკვევდნენ, იქ დატოვეს. რადგან არასრულწლოვანი იყო, კამერაში არ ჩასვეს და ერთ-ერთ ოთახში შეუშვეს. იქ გაიცნო რომიკა.

ლამით ტელეფონზე დარეკეს. მორიგემ სელექტორის ღილაკს თითი დააჭირა და

– მორიგე ქათამაძე გისმენთო! – ჩასძახა.

– მელია ვარ, მოვალ და შეგჭამო! – გაისმა სელექტორიდან.

– ო, შენი დედაო! – შეაგინა ქათამაძემ.

ცოტა ხანში ისევ დარეკეს

– მორიგე ქათამაძე გისმენთო!

– კვერცხებს დამიდებო?

– ო, შენი დედაო!

ისევ დარეკეს.

– მორიგე ქათამაძე გისმენთო!

– მე მამალაძე ვარო!

– ო, შენი დედაო!

ცოტა ხანში განყოფილების წინ შავი „ვოლგა“ გაჩერდა, იქიდან მილიციის პოლკოვნიკი გადმოვიდა და აჭარხლებული შემოვარდა განყოფილებაში:

– მამალაძე ვარ, დედა ვინ მაგინაო?!

– მეო! - დაიბნა ქათამაძე.

– აქ ვინ გყავს დაკავებულიო?

– ორი არასრულწლოვანიო!

– ახლავე გაუშვი და მე გამომყევო!

გამოყარეს რომიკა და თამთა გარეთ, თვითონ ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ.

– სადა ცხოვრობო? – ჰკითხა თამთას რომიკამ.

– არსადო!

– მაშინ, ჩემთან წამოდი, შენ – და, მე – ძმაო! – ფეხით წავიდნენ გლდანის ტბაზე. დილისთვის ჩააღწიეს.

* * *

ქურთები სარდაფებიდან ამოიყვანეს და ბინებში შეასახლეს. თამზოს ოჯახსაც მისცეს ბინა გლდანში, სულ ზედა სართულზე. მეზობლები მივიდნენ მისალოცად.

– ნიგარა, ნიგარაო! – დაუძახეს ქვემოდან. მთელი ცხოვრება სარდაფში ნაცხოვრებმა ნიგარამ – ვინ მეძახისო? – ზევით აიხედა. ცა რომ დაინახა, შეშინებულმა, ქმარს გასძახა:

– ვაი, ვაი, თამზო, ჩვენი სახლი ვინ დაატრიალაო?!

– როგორია შენი ახალი ბინაო? – ჰკითხეს მეზობლებმა თამზოს.

– კარგიაო. ერთი კრანი მოუშვა – უმი ზღალი მოდისო, მეორე კრანი მოუშვა – მოხარშული ზღალი მოდისო...

ბოროტი ენები ამბობდნენ, თამზომ პარკეტი რომ ნახა, სახლმმართველობაში იჩივლა:

– რადგან ქურთი ვარ, იმიტომ ნაჭერ-ნაჭერ პოლი დამიგესო!...

იმასაც ამბობდნენ, სანტექნიკოსი გამოიძახა და უნიტაზთან მიიყვანა:

– გაფუჭებულია. თითს რომ დავაჭერ, სანამ პირს ვიბან, ზღალი მიდისო...

* * *

რომიკა და თამთა ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ. დილით სანაგვეზე ისაუბრებდნენ, მერე ავტობუსით ვაგზალზე მიდიოდნენ. ხალხი მოხდენილ ქართველ გოგოს უფრო სწყალობდა და

ხურდა ფულს არ იშურებდა. სალამოს ზახარას 5 მანეთს უხდინენ და შუადღით ვაგზლის ბუფეტის ფულიც რჩებოდათ.

შეუყვარდა რომიკას თამთა, მაგრამ სიყვარულის ახსნას ვერ უბედავდა.

– თამთაჯან, შენ – და, მე – ძმა, თუ გაგიჭირდეს, ჩემთან მოდიო! – ყოველდღე ეფიცებოდა მეგობრობას.

ერთ დღეს ვაგზალზე ზახარა ადრე მივიდა და თამთას დაუძახა:

– მოდი აქაო! – ჩაისვა მანქანაში და სადღაც წაიყვანა. სალამოს არ დაბრუნებულან. ღამემდე ელოდა რომიკა, მერე იფიქრა – ტბაზე მივიდოდაო! – ჩაჯდა ავტობუსში და შინ წავიდა. იქაც არ დახვდა, შეეშინდა, ავტობუსში წინ და უკან სიარული დაიწყო. თამთა გამთენიისას მივიდა. ნასვამი იყო, პირიდან სპირტის სუნი ამოსდიოდა, თვალები დასიებული ჰქონდა.

– სად იყავიო? – ჰკითხა რომიკამ.

– არსად, დავიძინოთო! – ბიჭს აღარაფერი უკითხავს...

სანაგვეზე ველარ მიდიოდა, გული ერეოდა. რომიკას მოჰქონდა საჭმელი. ცოტა ხანში მუცელიც შეემჩნა.

– რომიკ, რა მეშველებაო?

– ნუ გეშინია, თამთაჯან, მე აქ არა ვარო?!

– შენ ნამდვილი კაცი ხარ, ორივე მიყვარხართო! – მუცელზე დაიდო ხელი.

ქურთის გაბრწყინებული თვალებიდან ჩამოგორებულმა სიხარულის ცრემლმა ჭუჭყიან ლოყაზე თეთრი კვალი დატოვა.



ასია

- ბიჭო, რამდენჯერ მოგხვდა ასიას ჯოხიო?

- სამჯერ, შენო?

- მე ორჯერო! - ტრაბახობდნენ ბიჭები და ზურგზე პერანგ-წამონეულები, ერთმანეთს ჯოხისგან დატოვებულ ვარდისფერ ზოლებს აჩვენებდნენ.

* * *

ასია ჩემი სკოლის კარისკაცი იყო, უფრო სწორად კი - კარისქალი. სკოლის პირდაპირ, ბარაკში ცხოვრობდა. პირველ კლასში რომ შემიყვანეს, ასია უკვე „ბებერი“ იყო - ასე, 30-35 წლისა. დაბალი, შავგვრემანი, მოყავისფრო-მონითალო ფერის თმით, შავი უღვაშებით, ნიკაპზე მეჩხერი წვერით, თითებში გაჩრილი „პრიმა“ პაპიროსით, ნითელი საყურეებით, მრავალშრიანი ქვედაბოლოთი და თავზე ნაკრული ჭრელი ხილაბანდით. მუდმივად, ჯოხსა და კეტს შორის, რაღაც საშუალო ეჭირა ხელში. ასიას წყველა-კრულვა ლოცვა-კურთხევასავით ჩაგვესმოდა, მისგან ბეჭებზე გადაკრული ჯოხი კი - მექისის მასაჟით გვერგებოდა. მიზეზი უამრავი არსებობდა: - სკოლაში ადრე მისვლა ან დაგვიანება, სკოლიდან ადრე გასვლა ან გვიან გასვლა, სკოლის ეზოში ფეხბურთის თამაში ან თამაშის ყურება, კორიდოროში იატაკზე დაყრილ მასტიკაარეულ ნეხერხზე სრიალი ან გორაობა, ჩხუბი ან კინკლაობა, კიბის მოაჯირზე ჩამოსრიალება, ხმამაღლა ლაპარაკი ან, უბრალოდ, თვალში თუ არ მოუხვიდოდი.

- დარ, დარ, დარ! ვაი, შენ მოკდიი, დაგეყაროს მინაა! - ჯოხით ხელში გამოგვეკიდებოდა ასია, ჩვენ კი, თავქუდმოგლეჯილი

გავრბოდით. თუ ვერ დაგვიჭერდა, მეორე თუ არა, მესამე დღეს მოგვეპარებოდა და ჯოხს გადაგვკრავდა ზურგზე. ვისაც ასიას ჯოხის გადაკვრა არ ჰქონდა ნაგემი, ესე იგი არაფერს აშავებდა და „დედიკოს ბიჭი“ იყო. ზოგჯერ განზრახ მიგვიშვერია ზურგი, რომ ჯოხი მოგვხვედროდა და „დედიკოს ბიჭის“ იარლიყი არ „აგვწებებოდა“. ერთი კლასელი მყავდა, ფრიადოსანი იყო, არაფერს აშავებდა, ამიტომ, ასიას ჯოხის გემო არ იცოდა. სულ დავცინოდით.

- შენ რა კაცი ხარ, ასიას ჯოხი არ მოგხვედრიაო?! ისიც, ადგა და, ცხოვრებაში პირველად, სკოლაში დაიგვიანა, მივიდა და ასიას ზუგი მიუშვირა.

- შენზე ჯოხს როგორ გავსვრიო! - პანჩური ამოარტყა ასიამ.

იცოდა ასიამ, ვისთვის ჯოხი ჩაერთყა, ვინ დაენწყევლა და ვისთან ეძმაკაცა. მეშვიდე კლასამდე, ყველას ჯოხით სცემდა, 7-8 კლასელებს სწყევლიდა, 9-10 კლასელებთან - ძმაკაცობდა. პირველ სართულზე, კორიდორის დასაწყისში, ფიზკულტურის გასახდელის გასაღები ასიას ებარა. ბუფეტიდან ჩამოვიტანდით: სკოლის პატარა „სასისკებს“, „იაზიჩოკებს“, სამკუთხა „პავიდლოიან“ ფენოვან ნამცხვრებს, ქადას. ასია გააღებდა გასახდელს, შევიდოდით, გასახდელს შიგნიდან ჩაკეცავდით და თან ვჭამდით, თან სიგარეტს ვენეოდით. რა თქმა უნდა, ასიაც ჩვენთან ერთად იყო.

- ბიჭო, პაპიროსი გაქვსო? - ჩვენ ან „მზიურს“ გავუნწვდიდით, ან „ლუქს“. გამოგვართმევდა, ფილტრს მოატეხდა და ისე ეწეოდა.

ასიას ხელში დავამთავრეთ სკოლა: - მე, ჩემმა ძმამ, 12 წლით უმცროსმა დამ, ჩემმა შვილმა. ასია ისევ ისეთი იყო, თითქოს დრო გაჩერებულაო - ინყევლებოდა და ჯოხით დასდევდა ბავშვებს. მიხაროდა მისი დანახვა, ჩემი ბავშვობა მახსენდებოდა.

* * *

ამას წინათ, შვილიშვილი მივიყვანე ჩემს სკოლაში. შესასვლელში მანდატური იჯდა. იმას ვკითხე ასიას ამბავი, არ იცოდა. სამასწავლებლოში ვიკითხე

- ბავშვს ჯოხი ჩაარტყა, მისი უფლებები დაარღვია, მშობელმა უჩივლა. სანყალი ასია სკოლიდან გააგდეს, იმ ღამით სახლში არ მისულა, დილით ფიზკულტურის გასახდელში ნახეს - მკვდარიო!
- სინანულით მითხრა ტატიანა მასწავლებელმა.



აღსარება

კარის გაღება არ გასჭირვებია, ჩვეულებრივი „ფანტომასი“ ეყენა, რეკლამას რომ უკეთებენ, თითქოს საიმედოაო, სინამდვილეში კი მარჯვე ხელს ორ წუთში შეუძლია გაღება. გამოღებულ კარში შეძვრა და შიგნიდან ჩარაზა. ფანჯარა შეაღო, რომ ქუჩაში „ატანდაზე“ დაყენებული ვოვას სტვენის ხმა გაეგო.

კარგი „ნაკოლი“ მისცეს: მამა რაიონში იყო წასული, ქალიშვილი კი ქმართან და შვილიშვილთან ერთად, ეგვიპტეში ისვენებდა. ბინა სავსე იყო ძვირფასი ნივთებით.

საძინებელში შევიდა, ტანსაცმლის კარადა გამოაღო, ხარისხზე დაკიდებულ ახალთახალ კოსტიუმს შალითა მოხსნა და ელვაშესაკრავით ისე შეკრა, რომ მოზრდილი ტომარა გამოვიდა. ტომარა სასტუმრო ოთახში გაიტანა. ტექნიკისთვის არც შეუხედავს, ვერცხლის ნივთებით დაიწყო. მაგიდიდან – საფერფლე, ბუფეტიდან – ლარნაკი, სურა და დონ-კიხოტის ვერცხლის ფიგურა ტომარაში ჩაალაგა. ბუფეტის ვიტრინა გამოაღო: არყის ჭიქები თავისი მოვერცხლილი გრაფინით, ჩაის სერვიზი – ყველაფერი ვერცხლის, მხოლოდ შუშის ჭიქები ამოიღო სადგამებიდან და გვერდზე გადადო. ბუფეტის უჯრები გამოხსნა – ვერცხლის დანა-ჩანგალი ცალკე ეწყო. წიგნის თაროდან წიგნები გადმოყარა, ფული ვერ იპოვნა. ტომარა საძინებელში გაათრია, კომოდის უჯრა გამოხსნა, ფანარი ჩაანათა. ყუთს წაანყდა, გახსნა, ძვირფასეულობით იყო სავსე. დათვალიერებაზე დრო არ დაუხარჯავს, ყუთი დახურა და ტომარაში ჩადო. კომოდის თავი მოათვალიერა: ხატები იყო დალაგებული. შუაში შანდალი იდგა ჩამწვარი თაფლის სანთლით. შანდლის კავზე ოქროს ჯაჭვზე დაკიდებული მედალიონი კონწიალობდა – ოვალურ ოქროს ჩარჩო-

ში ჩასმულ მინანქარზე ღვთისმშობელი იყო გამოსახული ჩვილი იესოთი. მედალიონი ჩამოხსნა, მუჭში დაიჭირა. ფანარი ცოტა ზევით აანათა. კედლიდან, შავ ჩარჩოში ჩასმული სურათიდან, მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული შემოჰყურებდა.

– აქ ღმერთმა ჩემი ფეხით მომიყვანა, რომ განვლილი ცხოვრება შემეფასებინაო! – გაიფიქრა. სანოლზე ჩამოჯდა.

ყველაფერს თავის ადგილზე დააბრუნებს – არაკაცი ხომ არ არის, აქედან რამე გაიტანოს? როგორც მოვიდა, ისე წავა! პირდაპირ ეკლესიაში მივა. მღვდელს სთხოვს, რომ აღსარება ჩაიბაროს. ალბათ, უარს არ ეტყვის! რამდენი ხანია, ეკლესიაში არ შესულა! ყველაფერს დანვრილებით მოუყვება. მოუყვება და ტვირთს მოიშორებს, ამდენი ხანია, რომ ტანჯავს. აღარასოდეს შესცოდავს. დღეს ხელახლა დაიბადება!

* * *

– მამაო, აღსარება მინდა გითხრაო! – ხო, მასე ეტყვის.

– მოყვები თუ კითხვები დაგისვამო? – ჰკითხავს მღვდელი.

– მოყვებიო!

– დაინყე, შვილოო!

– ხო, მამაო, ცოდვილი ვარო!

– განაგრძეო!

– დედისერთა ვიყავი, უღარდელი ბავშვობა მქონდა. მამაჩემი ცეკავშირის მომარაგების საწყობის გამგედ მუშაობდა და მატერიალურად არ გვიჭირდა. პავლოვის ქუჩაზე ვცხოვრობდით, ოთხოთახიან ბინაში. სკოლაში კარგად ვსწავლობდი. მუსიკაზე დავდიოდი – ვიოლინოზე. მეოთხე კლასში მამაჩემმა კალათბურთზე შემეყვანა.

– კარგი სპორტსმენი დადგებო, – ეუბნებოდა მამაჩემს მწვრთნელი. კვირაში ექვსი დღე დაკავებული ვიყავი, ქუჩისთვის სად მეცალა! კვირას ოჯახი ერთად ვსადილობდით რესტორანში. მაშინ, რესტორნებში ადგილები წინასწარ იჯავშნებოდა, მაგრამ

მამაჩემს ყველა რესტორნის დირექტორი იცნობდა და ჩვენთვის ყოველთვის მოიძებნებოდა მაგიდა საუკეთესო ადგილზე. დედაჩემი პროფესიით ეკონომისტი იყო, მაგრამ არ მუშაობდა.

მერვე კლასში ვიყავი, მამაჩემი რომ დაიჭირეს – დანაკლისი აღმოუჩინეს სანყობში. მოადგილემ დააბეზლა, მაგრამ, არც იმას დაადგა კარგი დღე – სამსახურიდან გააგდეს. სასამართლომ მამაჩემს 12 წელი მიუსაჯა ქონების კონფისკაციით. ბინა, აგარაკი, მანქანა ჩამოგვართვეს და სახელმწიფოს გადაეცა. ჩვენ ერთოთახიანში გადაგვიყვანეს, ვორონცოვიდან სანაპიროზე ქუჩა რომ ჩადის, კუთხიდან მესამე სახლის მეორე სართულზე.

მამაჩემი ჯერ ორთაჭალაში იხდიდა სასჯელს, მერე რუსთავში გადაიყვანეს. ყოველ კვირა დღეს მასთან მივდიოდით და მთელი დღე რიგში ვიდექით „პერედაჩის“ გადასაცემად. იმ ხალხმა, ადრე გარს რომ გვეხვეოდა, უცბად დაგვივინყა.

– განაგრძე, შვილო ჩემოო! – ეტყვის მღვდელი.

– ოჯახში გაგვიჭირდა. დედაჩემმა ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დაიწყო ეკონომისტად მუშაობა. მე-9 კლასში 30-ე სკოლაში გადმოვედი. უცბად ავიყარე ტანი: მოსწავლის ფორმის შარვალი კოჭებს ზევით ახტა, პიჯაკის სახელოები კი იდაყვებს ძლივს მიფარავდა, მაგრამ ახლის საყიდელი ფული არ გვექონდა და სასწავლო წლის ბოლომდე ასე დავდიოდი სკოლაში.

სკოლის შემდეგ სახლში არ მივდიოდი – დედაჩემი მაინც საღამომდე არ მოდიოდა სამსახურიდან. ავიდოდი №1 ტროლეიბუსში, მივუჯდებოდი კიკას გვერდით და მასთან ერთად

– ცოლი მინდა, ცოლი მინდაო! – ვიძახდი.

„დინამოს“ სტადიონი გაიხსნა. უელსის „კარიფ სიტის“ ვხვდებოდით. ტროლეიბუსი ხალხით იყო გაჭედილი, ყველა სტადიონზე მიდიოდა. მე ფეხბურთის ბილეთი არ მქონდა, მაგრამ მაინც შევძვერი ტროლეიბუსში – აბა, სახლში რა მეკეთებინა?! ცენტრისკენ გადავინიე და

– გელაო! – ვილაცამ დამიძახა. ორი სკამის მოშორებით,

მეზობელი, ჩემზე ორი წლით უფოსი ლერი იდგა. მისკენ წავიწიე.

– აქ დადექიო! – მითხრა, თვითონ ვილაც კაცს ამოუდგა უკნიდან. ცოტა ხანში ჩავდივართო! – გამიკვირდა, მაგრამ უხმოდ დავემორჩილე. გავარღვიეთ ხალხი და მარჯანიშვილის მოედანზე, გაჩერებაზე ჩავედით. გორკის კლუბისკენ წავიდა, მეც გავყევი. ბაღში რომ შევედით, კინოთეატრის სალაროს უკან, ჯიბიდან საფულე დააძრო, ფული ამოიღო, ჯიბეში ჩაიღო, საფულე სალაროს თავზე შეაგდო და უკან გამოვედით.

– აი, ფეხბურთის ბილეთების ფულიც გვაქვსო! – მითხრა ლერი.

– საიდანო? – ვკითხე.

– „სტენკას“ რომ მიკეთებდი, ვერ მიხვდიო?

სტადიონამდე ფეხით გავედით. სინდისი მქენჯნიდა.

– მე სახლში წავალო! – ვუთხარი.

– ნამო, ნამო, ბილეთები ვიყიდოთო! – ზემოქმედების ძალა ჰქონდა, დავემორჩილე. სტადიონის სალაროებთან გადამყიდველები ირეოდნენ, იმათგან იყიდა ორი ბილეთი მეორე იარუსის დასავლეთ ტრიბუნაზე. თამაშის დროს ყველაფერი დამავიწყდა, ხმის ჩახლეჩამდე ვლრიალებდი, ვ:მ მოვიგეთ, მაგრამ, სახლში რომ მივედი და დავწექი, მთელი ღამე ვერ დავიძინე. სულ ის კაცი მეღანდებოდა, ჯიბეში ხელს რომ ჩაიყოფდა და საფულე არ დახვდებოდა, რა დღეში ჩავარდებოდა.

კვირას მე და დედა მამასთან, რუსთავეში წავედით. იქ გვითხრეს – საავადმყოფოშია გადაყვანილიო!

ისიც ძლივს გავარკვიეთ, რომელ საავადმყოფოში გადაიყვანეს. პალატაში არ შეგვიშვეს, მილიცია იცავდა. ექიმმა

– გულის შეტევით მოიყვანეს, მიოკარდიუმის ინფარქტი აქვს. ახლა, მგონი, გამოძვრა, მაგრამ, თუ გაუმეორა, ვეღარ გადაიტანსო!

მესამე დღეს გაუმეორა... დასამარხი ფული არ გვქონდა. დედაჩემმა, რაც ოქროს ნივთები შემოგვრჩა, ოქრომჭედელს

მიჰყიდა კაპიკებში. დავმარხეთ მამაჩემი. მისი სიკვდილის შემდეგ, მართალია, „პერედაჩებზე“ ფული აღარ გვეხარჯებოდა, მაგრამ მორალურად გაგვიჭირდა, უიმედობა დაგვეუფლა.

ზაფხულის არდადეგები თბილისში გავატარე. პირველი სექტემბერი ახლოვდებოდა, მე კი არც სკოლის ფორმა მქონდა, არც ფეხსაცმელი და არც ჩანთა.

ერთ დღეს, სახლში ვიყავი, ლერიმ რომ დამიძახა: – გადმოდი ჩემთანო!

გადავედი.

– შენი დახმარება დამჭირდება, გამომყვებიო?

– „სტენკა“ უნდა გაგიკეთოო?

– არა, სხვა საქმეაო!

– მაშინ, წამოვალო! – ვუთხარი.

– ამ საღამოს დაგიძახებო!

ვერაზე ავედით. ქუჩის კუთხეში დამაყენა.

– იმ ორსართულიანი სახლის შესასვლელს უყურე, თუ ვინმე მიუახლოვდება, დაუსტვინეო! – თვითონ აღმართს აუყვა. ველოდე ერთი საათი, ორი საათი. უცბად ვილაცამ უკნიდან მხარზე ხელი დამარტყა. შევტრიალდი – ლერი იღიმებოდა.

– ბიჭო, აქ ვის ელოდები, წავიდეო! – სახლში მივედით. მეორე დღეს გადმოვიდა და 220 მანეთი მომცა

– ეს შენი წილია, ოღონდ, ისე დახარჯე, დედაშენმა არ გაიგოსო!

მთელი დღე ვფიქრობდი, როგორ უნდა დამეხარჯა ფული, რომ დედაჩემს არ გაეგო, და მოვიფიქრე: – ერთადერთი, რაც პავლოვის ბინიდან შემოგვრჩა, წიგნების კარადა იყო. გამოვიღე ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ფული წიგნში ჩავდე და კარადაში, თავის ადგილზე, დავაბრუნე. საღამოს, დედაჩემს ჩამოვუგდე საუბარი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაზე. სახეზე შევატყვევ, ესამოვნა. ზურიკელას ქცევაზე შევკამათდით. კარადასთან მივედი, გამოვიღე წიგნი და იქიდან ფული გადა-

მოცვივდა... ახალი სკოლის ფორმები იყო შემოსული, „მოსკოვის ფორმებს“ ეძახდნენ. პირველ სექტემბერს იმით მივედი სკოლაში.

იმის მერე ხშირად დავყვებოდი ლერის „საქმეზე“. ფულს ვინახავდი. ძალიან თუ გავგიჭირდებოდა, მაშინ გამოვარჩენდი. ეს დღეც მალე დადგა. ღამით, დედაჩემის კრუსუნმა გამაღვიძა, მუცელი სტკიოდა. სასწრაფოს გამოვუძახე.

– კენჭის გავლააო! – გამაყურებელი გაუკეთეს, დამშვიდდა. მეორე დღეს უბნის ექიმი გამოვიძახეთ. გვეჩხუბა:

– ყოველ მუცლის ნამოტკივებაზე ექიმს რატომ იძახებთო!

მესამე დღეს ტურები და ფრჩხილები გაულურჯდა. სასწრაფო გამოვიძახეთ, იმან საავადმყოფოში გადაიყვანა.

– ნაღვლის ბუშტია გახეთქილი, აქამდე სად იყავით, პერიტონიტია დაწყებულიო! – სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთეს. დედაჩემი საოპერაციო მაგიდაზე დარჩა. გადავიხადე ქელეხი, ორმოცი...

ლერიმ გამაცნო უბნის „კაი ბიჭები“,

– ჩემი პატარა ძმავა, მაგრად მეხმარებო! – ამ სიტყვებმა, ჯადოსნურად იმოქმედა – უბანმა შეცვალა დამოკიდებულება ჩემ მიმართ: ბირჟასთან რომ გავივლიდი, ბიჭები მოწინებთ მე-სალმებოდნენ.

ლერი მასწავლიდა უბნის წესებს, ქურდულ კანონებს, საქმის გარჩევას. კარგად ვისწავლე წესები, „ბაზარში წამოკიდება“. ხანდახან ლერი ჩემთან რაზბორკით ერთობოდა:

– მოდი, ვიბაზროთო! – როგორც წესი, მჭედავდა, მაგრამ ერთხელ, ბაზარში რომ წამოვიკიდე და როტვეილერივით ჩავავლე კბილები, იცინა:

– სალოლ შენ, მაგარი ხარო! – ქურდთან ამიყვანა კალინინის ქუჩაზე.

– პერსპექტიული ახალგაზრდაა, სკოლაში პატივს სცემენო!

– რომელ სკოლაში სწავლობსო?

– ოცდამეათეშიო!

– კარგიო! - დაუქნია თავი ლერის.

მაშინ სკოლებში ფულის აკრეფა არ იყო. მე უნდა მიმექცია ყურადღება, რომ არავინ დაეჭრათ და მართალი კაცი არ დაეჩაგრათ. სკოლაში საქმეების გასარჩევად ჩემთან მოდიოდნენ. ჩემი სიტყვა საბოლოო იყო.

ლერის ვთხოვე:

– შენ მუშაობ, რისკზე მიდიხარ, მე მიყოფ, „სპრავედლივი“ არ არის, მოპარვა მასწავლეო!

– მაგის დროც მოვა, თუ ჩავვარდები, მოგინევს ჩემი დედ-მამის რჩენა, სანამ ციხეში ვიქნებიო!

– შენ თუ ჩავარდი, საქმეზე რომ ვერ წავალ, შენი ოჯახი როგორ ვარჩინო და, საერთოდ, მე მარტოხელა ვარ, შენს ჩაჯდომას ჩემი ჩაჯდომა ჯობიაო!

– მართალს ბაზრობ, საღამოს გადმოდიო! – მითხრა ლერიმ.

– ბინის გატანა თითქოს იოლია, მაგრამ „ნაკოლი“ კარგი უნდა იყოს. ზოგი საქმე „ძაღლობის“ შემოგდებულია და ფაქტზე აგიყვანენ. შენ კარგ „ნაკოლს“ არავინ მოგცემს, შენისთანებით გეგმას ასრულებენ. ჯიბე ყველაზე ძნელია: ერთი ზედმეტი მოძრაობა და – „დამწვარი“ ხარ. მართალია, უფრო ხშირად მილიციას არ უძახიან და თვითონ უსწორდებიან, მაგრამ იქ გამორჩენა კარგა ხანს აღარ შეგეძლება. დასაწყისისთვის, ყველაზე ნაღდი – ჩანთაა. შეგიძლია, შენკენ გამოსწიო და ისე იმუშაო. ჯიბგირობის ყველაზე მაღალი დონე კი ყელიდან „ცეპის“ შეუმჩნეველად ჩამოხსნააო! – დაიწყო ლერიმ ჩემი განათლება.

– მთავარია, ყურადღება სხვა რამეზე გადაატანინო. აი, მაგალითად, ორი ღერი თმა რომ ამოგანინკნონ, მტკივნეულია, მაგრამ, ამ დროს, თუ სილას გაგანწავენ, თმის ამონინკვნას ვერც გაიგებ, რადგან, ორი მტკივნეულიდან ტვინი ირჩევს უფრო მეტად მტკივნეულს და მასზე აქვს რეაქცია. ამიტომ, ამოღების მომენტში, თუ ადინოჩკა ხარ, უკნიდან მუხლი უნდა მიაჭირო, მხარი მიარტყა, ან, ვითომ შემთხვევით, თავი მიჰკრა. თუ პარაში მუშა-

ობ, უფრო იოლია – ნაპარნიკი ფეხზე ფეხს დააბიჯებს ან გვერდ-
დიდან მიაწვება, მაგრამ ამ დროს ერთმანეთის უსიტყვოდ უნდა
გესმოდეთ. ერთხელ, გასტრონომში, ხორცის რიგში, ბიჭი მივიდა
და რიგში მდგარ ქალს დაუყვირა:

– რა აილე, ახლავე ხელი მაჩვენეო! – შემცბარმა ქალმა გაშლი-
ლი ხელი აჩვენა.

– ეგ არა, მეორეო! – ქალმა მეორე ხელი გაშალა. ბიჭმა ხელზე
დააფურთხა და გაიქცა. რიგში, იმ ქალის უკან, სანდომიანი სახ-
ის ახალგაზრდა იდგა. ძალიან შეწუხდა, ამოიღო ცხვირსახოცი,
ქალს ხელისგული გაუნმინდა და დამფურთხებელს საცემად
გაეკიდა. მოგვიანებით, ქალმა ხელზე რომ დაიხედა, ბრილიან-
ტის ბეჭედი აღარ ეკეთა... ოღონდ, გახსოვდეს: ჯიბგირი ყაჩალი
არ არის, თუ მიგიხვდნენ, მოპარული უნდა დაუბრუნოო!

ყოველდღე მიკითხავდა ლერი თეორიას, თან პრაქტიკაშიც
მავარჯიშებდა. ორ კვირაში მეზობლებს ისე ვაცლიდი ჩანთიდან
ნივთებს, ვერავინ ხვდებოდა. მერე, ჩუმადვე, უკან ვაბრუნებდი.
პირველი „ნათლობა“ 40 ნომერ ავტობუსში გავიარე. ვორონცო-
ვიდან „ლოკომოტივის“ სტადიონამდე მიდიოდა. გაჩერებაზე
გოგო ამოვიდა, ჩანთა მხარზე ჰქონდა გადაკიდებული. ბილეთის
ასაღებად ჩანთა გახსნა, საფულე ამოიღო, ხურდა გადააწოდა და
საფულე ჩანთაში ისე ჩააბრუნა, რომ ჩანთა არ ჩაუკეტავს. მისკენ
გადავინაცვლე, უკან დავუდექი. ამოვიღე ჩანთიდან საფულე და
ჯიბეში ჩავიცურე. ჩასასვლელად მოვემზადე.

– გამატარე, გენაცვალე! – ვუთხარი იმ გოგოს. მიინია, სახე
ჩემსკენ მოაბრუნა და გულიანად გამიღიმა. თეთრი კანი ჰქონ-
და. სწორი, ჩამოშვებული თმა მხრებზე ყვითლად ეფინებოდა.
ლამაზ, ღია თაფლისფერ თვალებში ბავშვური სხივი კრთოდა.
ცხვირი სწორი, დახვეწილი. გამხდარს ვერ იტყვოდი. გაღიმების
დროს, ლოყებზე საყვარელი ფოსოები უჩნდებოდა. გავჩერდი.
ჩასვლა გადავიფიქრე. ისევ ამოვუდექი უკან იმ გოგოს, ამოვაც-
ურე ჯიბიდან საფულე და ჩანთაში ჩავუდე.

– გოგონი, ჩანთა დაკეტე, არაფერი ამოგაცალონო! – ვუთხარი. ჩანთაში საფულე შეამონმა, ჩანთა დაკეტა,

– რა დაბნეული ვარო! – ჩაილაპარაკა და მადლიერი ღიმილით შემომხედა. ის გოგო მე-9 საავადმყოფოს გაჩერებაზე ჩავიდა, მეც ჩავყევი. გვერდით გავყევი. ეჭვით შემომხედა.

– დაბნეული ყოფილხარ, მიგაცილებო! – ვუთხარი. მხრები აიჩეჩა.

– სად მიდიხარო? – ვკითხე.

– აქვე, ჭავჭავაძეზეო!

– აქ ცხოვრობო?

– არა, ვემზადებო!

– რაშიო?

– ბიოლოგიაშიო!

– სად აბარებო?

– სამედიცინოზეო! – ამასობაში ორსართულიანი სახლის შესასვლელთან მივედი.

– აბა, კარგად იყავი, აქ ავდივარო! – კიბეზე ჩამოვჯექი, დაველოდე. საათ-ნახევარში ჩამოვიდა.

– შენ კიდევ აქ ხარო? – გაკვირვებულმა შემომხედა.

– სახლამდე მიგაცილებ, სად ცხოვრობო? – ვკითხე.

– მარჯანიშვილის მოედანზე! შენო?

– მე ვარანცოვზეო!

– აბა, ერთი გზა გეკონიაო! – გადავირბინეთ გამზირი და ავტობუსის გაჩერებაზე ისევ 40 ნომერს დაველოდე.

– რა გქვიაო?

– მანანა, შენ რა გქვიაო?

– გელაო!

– რომელ სკოლაში სწავლობო?

– 23-ეში! შენო?

– 30-ეშიო! – ავტობუსი მოვიდა, ხალხით გაჭედილი. ძლივს ავედით. ხალხი მანვებოდა, სკამის საზურგეს ვეჭიდებოდი, რომ

არ ჩავხუტებოდი. ჩუმიად ვიყავით. ავტობუსმა ერთი-ორჯერ ორ-
მოში რომ ჩაკრა, მაინც მოგვინია ჩახუტება. ორივეს გაგვეცინა.
ორი ბილეთი ავიღე. მივანოდე. ერთი მოხია და უკან დამიბრუნა

- შენ ბოლო გაჩერებაზე ჩადიხარო!
- სახლამდე მივაცილებო! - ვუთხარი.
- არ მინდა, პრობლემები შეგექმნებაო!
- პრობლემებს ვინ შემიქმნისო?

- ერთიაო! - მაინც გავაცილე. მეტროს გვერდით, მარჯანიშ-
ვილის ქუჩის მხრიდან, ბიჭები იყვნენ ჩამომსხდარი. რომ მივუახ-
ლოვდით, წამოდგნენ და მომესალმნენ. ერთს ვიცნობდი, ორი
წლით უფროსი იყო, კიტრას ეძახდნენ. ბიჭებს გამოეყო

- გამარჯობა, გელაო! - გადამკოცნა.
- გაგიმარჯოს, კიტრაო! - გზა გავაგრძელე.

- ეგ არის, კიტრას დაძახებაზე ცემით კლავს, შენ როგორ
შეგარჩინაო?

- მე მაგის სახელი არ ვიციო! - ვუპასუხე.
- მერაბი ჰქვიაო!

- კარგი, მეცოდინებაო! - მეტროს უკანა ეზოში ცხოვრობდა,
სახლამდე მივაცილე. უკან რომ დავბრუნდი, მეტროსთან ისევ
კიტრას „სასტავი“ იჯდა.

- კიტრა, იმ გოგოს იცნობო?
- მანანას? კიო!
- აღარ იცნობო!
- გასაგებიაო!

მეორე დღეს 23-ე სკოლასთან დავხვდი. გამოვიარეთ კამოს
ქუჩა და უნივერსიტეტთან, მარჯანიშვილზე ავუხვიეთ. სახლამდე
მივაცილე. ჩამოვედი მოედანზე, შევახტი 73 ნომერ ავტობუსს და
ნუცუბიძისკენ გავყევი. საბურთალოს ბაზართან ჩამოვედი. კი-
ნოთეატრ „გაზაფხულის“ უკან გადავედი, ამოვიღე საფულედან
ორი ათმანეთიანი ხურდებით. საფულე იქვე დავაგდე. სახლში მი-
ვედი. ლერისთან გადავედი და ათმანეთიანი მაგიდაზე დავუდე.

– ეგ რა არისო? – გაუკვირდა.

– როგორც შენ მიყოფდი ძმურად, ისე გიყოფო! – არ ელოდა, გაუხარდა.

ხელი გავინაფე. ერთ თვეში ჯიბეზე გადავედი. მაგრად ვმუშაობდი, ჩავარდნა არ მქონია. „ადინოჩკა“ მერჩივნა, ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე ვიყავი. კიდეც ცოტა ხანში ისე ვგლეჯდი ქალებს ყელიდან „ცეპებს“, ვერც კი იგებდნენ.

მანანას ყოველდღე ვაცილებდი. ბიოლოგიაში, ქიმიაში, ფიზიკაში და ქართულში ემზადებოდა. მამამისს სამედიცინოზე თითქმის ჩანყობილი ჰქონდა საქმე, მაგრამ რექტორი, თავისი პრორექტორებიანად მოხსნეს და, ვინც საქმეს უწყობდა, ფულის აღების შეეშინდა. ამიტომ, მანანამ საბუთები „ზოოვეტში“ შეიტანა.

მეათე კლასში გაკვეთილებზე აღარ დავდიოდი.

– ოღონდ ეგ სკოლას მოშორდესო! – კლასში არ ჩამტოვეს, სამიანები დამიწერეს და ატესტატიც „ჩამახუტეს“.

მანანასთან ურთიერთობა გავარკვიე – ორივეს გვიყვარდა ერთმანეთი. ერთ გოგოს ყელიდან მედალიონი შევხსენი – ოვალურ ოქროს ჩარჩოში ჩასმულ მინანქარზე ღვთისმშობელი იყო გამოსახული ჩვილი იესოთი. ბარიგასთან მისატანად შემეცოდა – მანანას ვაჩუქე.

ივლისში ლერი დაიჭირეს. 7-წლიან მუხლს უყენებდნენ. 5 000 მანეთი იყო საჭირო, რომ 3-წლიანზე ჩამოეყვანათ. ფული უნდა მეშოვა. ბიჭებმა „ნაკოლი“ მომცეს, ვაკეში, ვიღაც დიპლომატის ბინა იყო. გამაფრთხილეს, ასპროცენტისანი არ არისო. მოუმზადებელი ნავედი, დრო არ ითმენდა. კარი რომ გავაღე, შესვლა არ მაცალეს, ისე ამიყვანეს. უკვე სრულწლოვანი ვიყავი და ბოლომდე „გამსროკეს“ – 5 წელი მომისაჯეს.

ციხეში „კაი ბიჭებში“ მივედი, ძმასავით მიმიღეს. უცბად ავუღე ალლო, არ გამჭირვებია. ციხის „შუტკეებში“ არ ვერეოდი. მე არავინ მავინროებდა და არც მე ვავინროებდი ვინმეს. ერთი

ქურდი იხდიდა სასჯელს – მამუკა კიტოვანი, „კიტოს“ ეძახდნენ. იმისი წერილი შემოვიდა: „გელაზე კარგს ამბობენ, მაგას ვაბარებ კამერასო!“

ჩემი იქ ყოფნისას არავინ დაუჩაგრავთ და არც შიმშილობა დაუწყია ვინმეს. ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. არ ვთამაშობდი და ნარკოტიკს არ ვეკარებოდი.

– ეს აქედან ქურდად გავაო! – ამბობდნენ ბიჭები. ერთ წელიწადში რუსთავში გადამიყვანეს ზონაზე. იქ ოთხი ქურდი იჯდა: ერთი ძველი ქურდი იყო – კოლკა, სამნი – ახალი ტიპის ქურდები იყვნენ, „1 500-მანეთიან ქურდებს“ რომ ეძახიან. ისე, კარგი ბიჭები იყვნენ, კოლკას თვალელებში შეჰყურებდნენ, მაგრამ, ქურდობის არაფერი ეტყობოდათ. კოლკა რომ არა, ერთმანეთს კბილებით დაღრღნიდნენ. კოლკას ძალიან შევუყვარდი, გვერდიდან არ მიშორებდა, „ძმისშვილს“ მიწოდებდა და „კოლია ძიას“ მაძახებინებდა. იცოდა, რომ რისკიან საქმეზე ძმაკაცის გამო ნავედი და ამისთვის პატივს მცემდა, „სხადნიაკებს“ მეც ვესწრებოდი. მიყვებოდა ამბებს: თბილისში ერთი ქურდი მოკვდა. როსტოვიდან ჩამოვიდა ერთი „პაპა“, გაცრეცილი შავი საროჩკითა და ძველი შარვლით. მივიდა პანაშვიდზე იმ ქურდის სახლში. ხედავს – სამ სართულიანი სახლია კარგი რემონტით, ქერზე ბროლის ჭაღები კიდეა, კედლებზე – ძვირფასი ნახატები.

– ეს სახლი ვისიაო? – უკითხავს როსტოველ ქურდს.

– მიცვალებული ქურდისააო!

მისულა როსტოველი ქურდი მკვდართან, ყური აუწევია და სილა გაურტყამს, შემოტრიალებულა და წამოსულა.

მოსწონდა კოლკას ძველი დრო, არ ენდობოდა ახალ ქურდებს – „შეკრულები“ არიანო!

ერთხელაც, დამიძახა და ქურდობა შემომთავაზა. უარი არ მითქვამს, დავთანხმდი.

– ოღონდ, ერთი პირობით – ძველი ქურდული კანონებით იცხოვრებო! – ამაზეც დავთანხმდი. ძველი კანონები იმას ნიშ-

ნავდა, რომ ქურდს ცოლი არ უნდა ჰყოლოდა, ფუფუნებაში არ უნდა ეცხოვრა, იმაზე მეტი არ უნდა მოეპარა, რაც არსებობისთვის სჭირდებოდა, საქმის გარჩევაში ფული არ უნდა აელო და, ქურდობის გარდა, შემოსავლის სხვა წყარო არ უნდა ჰქონოდა.

მორიგ სხადნიაკზე ქურდად მომნათლეს. კოლკამ გამოაცხადა – ჩემი შვილიაო!

ციხიდან 22 წლის გამოვედი. მანანა მოვიკითხე. მითხრეს, ინსტიტუტი დაამთავრა, მოიტაცეს და ქუთაისში ცხოვრობსო. ძებნა არ დამინცია. მის ცოლად მოყვანას ქურდული კანონები მიკრძალავდა. ტყუილად გავიახლებდი ჭრილობას, მით უმეტეს, უკვე გათხოვილი იყო.

შემდეგ, კიდევ ორჯერ მოვხვდი ციხეში: ერთხელ ქურდობაზე, მეორედ – მკვლელობაზე, თუმცა, შემთხვევით შემომაკვდა. ბინაში შევედი, იქ არავინ უნდა ყოფილიყო. სიძეს გასაღები ჰქონია, სადღაც ახლოს უქეიფია, მოსულა და დაუძინია. უკვე გამოვდიოდი, დანით რომ დამეძგერა. ხელი ამოვუტრიალე და თავის-სავე დანაზე წამოვაგე.

ბევრჯერ მინდოდა ცხოვრების წესის შეცვლა, ეკლესიაში მისვლა, აღსარების თქმა. ვერ ვახერხებდი. ღმერთის ნიშანს ველოდი.

გუშინ „ნაკოლი“ მომცეს:

– ასპროცენტიანია: კაცი სოფელშია, შვილი, სიძე და შვილიშვილი დასასვენებლად არიან წასულები. მდიდრები არიანო! – მანანას ბინაში შევსულვარ. იქ მიმიყვანა განგებამ, რომ ჩემი თვალით მენახა – თურმე, ვუყვარდი; ჩემს ნაჩუქარ მედალიონს ატარებდა სიცოცხლის ბოლომდე; მე მელოდებოდა. მე კი დავანგრეე ჩვენი სიყვარული, მოვუსწრაფე სიცოცხლე და მეც გავიუბედურე თავი. უკანვე დავანყე აღებული ნივთები, შანდალზე ჩამოვკიდე მედალიონი – იქიდან რა წამომალებინებდა რამეს! წამოვედი და პირდაპირ აქ მოვედი. შემინდე, მამაო, მე ცოდვილს! დღეიდან სხვა კაცი დაიბადაო!

* * *

...ქუჩიდან სტვენის ხმა შემოესმა. ფიქრებიდან გამოერკვა: სანოლზე იჯდა, გაშლილ ხელისგულზე დადებულ მედალიონს დაჰყურებდა და ცრემლები ღაპალუბით ჩამოსდიოდა. წამოდგა, მედალიონი ჯიბეში ჩაიცურა, სავსე ტომარას წამოავლო ხელი და, საიდანაც შემოძვრა, იქიდან გაიპარა.



NATO

– კაცო, რა დროს ტლევინზორია, ბიჭს გააღვიძებო! – შეუტია ბებიაშ პაპას.

– დაბალ ხმაზე დავაყენებ, საქართველოს ბედი წყდება, „ნატოს“ სამიტიაო! – უპასუხა პაპამ და წინ გაშვერილი პულტით ხელში, სავარძელს მოერგო.

– სიტყვით გამოდის საქართველოს წარმომადგენელიო! – ინგლისურდან გადმოთარგმნა ქალის სასიამოვნო ხმამ. სიმპათიური მამაკაცი წამოდგა და ტრიბუნასთან მივიდა.

– ჩვენ ევროპელები ვართო!

– ჩვენი წინაპრებიც ევროპელები იყვნენო!

– ჩვენი მიზანი ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოება და „ნატოსთან“ თავსებადობის გაზრდააო!

– კიდევ, პირადი შემადგენლობის საბრძოლო გამოცდილები-სა და თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონის ამაღლებიაო!

– კიდევ, საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებაში წვლილის შეტანა, რითაც უმჯობესდება ქვეყნის იმიჯი და საერთაშორისო არენაზე ცნობილი ხდება, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების კონტრიბუტორიო!

– აქეთურიო!

– იქითურიო!

– გვიშველეთ, თორემ ძლიერი მეზობელი გადაგვყლაპავსო!..

* * *

– შენ იცი, რომ „ნატო“ ახალი არ არის და რომის იმპერიიდან მოდისო?! – უთხრა პაპამ ბებიას და სავარძელი მისკენ შეაბრუნა.

– რაებს ბჟუტურებ, სიბერეში სულ გამოშტერდიო!

– აბა, მაშინ მომისმინეო! - უთხრა პაპამ და დაიწყო:

– ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, რომის რესპუბლიკაში, ოქტავიანე ავგუსტუსმა აიღო ხელში ძალაუფლება. სენატს, რომელიც მანამდე მართავდა რომის რესპუბლიკას, დაუტოვა საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ფუნქცია, თვითონ დაიქვემდებარა ჯარი, დაამყარა სამხედრო დიქტატურა და თავი იმპერატორად გამოაცხადა.

ოქტავიანემ მთელს იმპერიაში გაიყვანა გზები, შექმნა საშიკრიკო სისტემა, დადო სამშვიდობო ხელშეკრულება პართიასთან, შექმნა რეგულარული არმია; შეიერთა: ეგვიპტე, დალმაცია, პანონია, ნორიკუმი და რეცია, გააფართოვა აფრიკული და გერმანული სამფლობელოები და დაასრულა ესპანეთის დაპყრობა; გაამაგრა იმპერიის საზღვრები, შექმნა პოლიცია, სახანძრო-სამაშველო სამსახური და თითქმის ახლიდან ააშენა რომი.

არ არსებობდა ძალა, რომელიც რომს დაამარცხებდა. იმპერიას სჭირდებოდა ახალი ტერიტორიები, სხვანაირად ვერ იარსებებდა, მაგრამ ომით ახალი ტერიტორიების დაპყრობა დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. ოქტავიანემ მოიფიქრა გენიალური გეგმა: მიიწვია მეზობელი სახელმწიფოს მეფე და შესთავაზა:

– შენ ხომ გესხმის თავს შენი მეზობელიო?

– კიო!

– ჰოდა, რა გიჯდება ომიო?

– ბევრიო! ხარჯის გარდა ეკონომიკა მენგრევაო, მოსახლეობა მთაში იხიზნებაო.

– მოდი, რაც გეხარჯება, იმის ნახევარი მე გადამიხადე, ჯარისკაცები გამომიგზავნე და მე დაგიცავო!

– აგაშენა ღმერთმაო! - უპასუხა მეზობელი სახელმწიფოს მეფემ

– ბარემ იმპერიაში შემოვალთ!

– კარგი, შემოდით!

დაიწყო რომის სიმშვიდის ხანა. რომს ომი აღარ სჭირდებოდა. იმპერიაში შესვლის მსურველთა რიგი დაუდგაო.

– ვა, მართლა „ნატოსავით“ არ ყოფილაო?! - გაიკვირვა ბე-ბიამ.

– ჯერ სადა ხარ, მომისმინეო! - უთხრა პაპამ და განაგრძო:

– რომმა ორი საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნა მშვიდობა. გააფართოვა საზღვრები ატლანტის ოკეანიდან მდინარე ევფრატამდე. იმპერიის გარშემო კი, შექმნა ბუფერული ზონა ვასალი სახელმწიფოების მეშვეობით.

– თუ კი რომის იმპერია ატლანტის ოკეანიდან მდინარე ევფრატამდე იყო გადაჭიმული, მაშინ იბერია რომის იმპერიაში შედიოდა თუ ვასალი იყო? - ჰკითხა ბებიამ.

– აი, იბერიასთან სულ სხვანაირად იყო საქმე, ახლავე მოგიყვებო:

– რომის იმპერიის ძლიერების პერიოდში, საქართველოს ჰყავდა ძლიერი მეფე – ფარსმან მეორე, რომელსაც ხალხმა, ქკუისა და სიმამაცისთვის, ქველი უწოდა. ფარსმანი გამეფებიდან რამდენიმე წელიწადში შევიდა ალბანეთში – დღევანდელი აზერბაიჯანი რომ არის, იმ ტერიტორიაზე – და შეიერთა. ცოტა ხანში, ილაშქრა კაბადოკიაში და ისიც შეიერთა. უკვე იმ პერიოდში, ფარსმანს მთელი სამხრეთ კავკასია ემორჩილებოდა. სომხეთის სახელმწიფო იბერიის ვასალი გახდა.

– შენ, მანდ რა დღეში ხარ, ერთი აქჩამოდი, რომშიო! - შემოუთვალა ფარსმანს რომის იმპერატორმა ადრიანემ.

– თუ ჩემი ნახვა გინდა, შენ თვითონ ჩამოდი და მნახეო! - შეუთვალა ფარსმანმა.

შეეშინდა ადრიანეს იბერიასთან ომის დაწყების და ფარსმანს საჩუქრად 50 ლეგიონერი და საბრძოლო სპილო გამოუგ-

ზავნა. ფარსმანი მაინც არ ჩავიდა რომში. ცოტა ხანში, ადრიანე ანტონიუს პიუსმა შეცვალა, რომელმაც მეგობრულად, ოჯახით დაპატიჟა ფარსმანი. დიდი ზარზეიმით დახვდა ფარსმანს რომი. დაიღო რომსა და იბერიას შორის მოკავშირეობის ხელშეკრულება. ფარსმანის ამალამ კოლისეუმში მხედრული ჯირითი მოაწყო. ანტონიუს პიუსის ბრძანებით, რომში, მარსის მოედანზე, ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება დადგეს. რომმა სცნო იბერიის ჰეგემონია კავკასიაში. ხედავ, ძლიერი რომ იყო საქართველო, რომის იმპერია მეგობრობას როგორ ეხვეწებოდაო?!

– მერე, მერე, გააგრძელე, კარგ რამეს ყვებიო!

– მერე, მეორე ძლიერ სახელმწიფოს, პართიას, არ აწყობდა იბერიის გაძლიერება და ორჯერ შემოვიდა იბერიაში. ფარსმანმა ორჯერვე დაამარცხა. იბერია ისე გაძლიერდა, რომ მესამედ, თვითონ ფარსმანი შევიდა პართიაში, დაამარცხა პართიელები და დედაქალაქი ქტეზიფონიც აიღო.

პართიის მეფემ, ვოლოგეზ მესამემ, სამუდამო თავდაუსხმელობის პირობისა და დიდი ძღვენის ფასად დაიხსნა თავისი ქვეყანა. დამამთავრებინე, რომზე ვყვებოდიო!

ამასობაში შუა აზიიდან მომთაბარე ტომები, რომლებსაც ჰუნებს უწოდებდნენ, წამოვიდნენ ევროპისკენ. დაიპყრეს ჩრდილოეთ ევროპა და დაიწყეს სამხრეთით გადაადგილება. ევროპული ტომები: გალები, საქსები, გოთები, ფრანკები, ვანდალები და კიდევ სხვები მიადგნენ რომის იმპერიას:

– ჰუნები გვერეკებიან, სხვა გზა არა გვაქვს, იმპერიაში შემოვალთ და დაგვიცავიო!

– თქვენ ბარბაროსები ხართ, მიგიღებთ, მაგრამ ჯერ ვერაო!

– აბა, როდისო?

– თქვენი კანონები ჩვენს კანონებს მოარგეთ და მერეო! მოარგეს კანონები.

– ახლაო?

– ჯარსკაცები მოგვეცი, გავრწვრთნით და მერეო!

მისცეს ჯარისკაცები.

– ახლაო?

– ვერ გეტყვით როდის მიგიღებთ, მაგრამ აუცილებლად მიგიღებთო!

– კი, მაგრამ ჰუნები რომ გვხოცავენო?

– უნდა მოითმინოთო!

ითმინეს, ითმინეს და...

– წადით, თქვენიო! - შევარდნენ რომში. ამდენი ხნის უბრძოლველობის გამო, რომს ბრძოლისუნარიანობა დაჰკარგვოდა. ააოხრეს იმპერია, ჩამოაგდეს იმპერატორი და ამით დასრულდა რომის იმპერიის არსებობა. მანამდე, ჰუნების წინამძღოლი ატილა მოკლეს და ჰუნებიც დაიშალნენ. ბარბაროსულმა ტომებმა გაძარცვეს რომის იმპერია, დაიკავეს ევროპა და ათასი წლით უკან დასწიეს ცივილიზაციაო!

– ეგ ბარბაროსები ახლა ჩვენ გვასწავლიან კულტურასო?!

– მოიცა, მოვუსმინოთ, სამიჯის დადგენილებას კითხულობენო!

* * *

– „ნატოს“ სამიჯმა მიიღო დადგენილება, რომ „ნატოს“ კარი საქართველოსთვის ღიაა, მაგრამ უნდა მოითმინოთო!

– ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ გასაკეთებელი, რომ „ნატოს“ დაუახლოვდეთო!

– ვერ გეტყვით, როდის მიგიღებთ, მაგრამ აუცილებლად მიგიღებთო!

– ზაფხულში „ნატოს“ წვრთნები რომ ჩატარდება, თქვენც მიიღებთ მონაწილეობასო!

– ხედავთ, რა კარგი დადგენილება მივიღეთ, მადლობლები უნდა იყოთო!

– ტფუო! - გადააფურთხა პაპამ და ტელევიზორი გამორთო.
ბებიას სავარძელში ჩასძინებოდა...

* * *

იმ ღამით პატარა ბიჭმა სიზმრი ნახა: თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი პირით ჩამავალი მზისკენ იდგა. მარჯვენა მხარეს უშველებელ გველეშაპს ეძინა. ფერდგამოჭმულ ცხენს თეთრი ბენვი სისხლით ჰქონდა მოსვრილი, მაგრამ ერთმანეთს შეზრდილი ცხენი და მხედარი მაინც მყარად იდგნენ და ჩამავალი მზის მხრიდან ვილაცას ელოდნენ. არავინ იცოდა, გველეშაპი როდის გაიღვიძებდა...



Angie

-ბიჭო, მომეცი Angie, შენ ხომ მაინც არ უსმენო! - მეხვეწე-ბოდა დათოია „როლინგ სთოუნსის“ პატარა ფირფიტის ჩუქებას.

- Hey Jude მომეცი და მოგცემო! - ვუცვლიდი „ბითლზის“ ფირფიტაში.

- ვერ მოგცემ, ხომ იცი, ნაჩუქარიასო! - ცდილობდა თავის დაძვრენას.

- ჩემიც ნაჩუქარიასო! - არ ვუთმობდი მე.

- ვინ გაჩუქა, ლოვამო? - მპასუხობდა, რადგან, ვაკელ ლოვას, ფირფიტების ბარივას, „ბითლზების“ ფირფიტისთვის ფული და-ვუტოვე, იმან კიდევ, „როლინგ სთოუნზის“ ფირფიტა დამახვე-დრა:

-„ბითლზები“ აღარ იყო და ეს წამოგიღეო!

* * *

დათოია ფრუიძე ჩემი ინსტიტუტის მეგობარი იყო. პირველივე კურსიდან დავძმაკაცდით. მუსიკამ დაგვაახლოვა: მე „ბითლზი“ მიყვარდა, იმას - „როლინგ სთოუნზი“. სულ ვკამათობდით, რომელი ჯობდა. არა, „როლინგ სთოუნზი“ მეც მომწონდა, მაგრამ არ ვამჟღავნებდი, რადგან დათოიასთან კამათი ძალიან მიყვარდა.

- ე ბიჭო, მოხვედი აზრზე, რომელი ჯობსო? - მეკითხებოდა შეხვედრისას.

- რა თქმა უნდა, „ბითლზიო“, - ვპასუხობდი მე.

- აბა, ჭკვიან ხალხს შევეკითხოთო! ალიკ, „ბითლზი“ ჯობს თუ „როლინგ სთოუნზიო“? - ჰკითხავდა დათოია ჩვენს თანაკურსელს, 120-კილოგრამიან ხაშურელ ალიკას, რომლისთვისაც

მუსიკა „შალახოთი“ იწყებოდა და „სემ სოროკით“ მთავრდებოდა.

- რაიო!

- „ბითლზი“ სჯობს თუ „როლინგ სთოუნზიო“?

- მეორეო! - უპასუხებდა ალიკა, რომელიც, პირიქით რომ გეკითხა, მაინც „მეორეს“ გიპასუხებდა.

დათოია ქუთაისიდან იყო, წერეთლის ქუჩაზე ჰქონდათ სამსართულიანი სახლი, რომელიც მდინარე რიონს გადაჰყურებდა. ბინა თბილისშიც ჰქონდათ, ვაკეში, მრგვალ ბაღთან, სადაც დათოია და დედამისი - ნათელა, იგივე ჯუტუ დეიდა ცხოვრობდნენ სწავლის პერიოდში. დათოია ინსტიტუტში გამორჩეული ბიჭი იყო, კარგად სწავლობდა. გამხდარი, მაღალი, ლამაზი, გემოვნებით იცვამდა: „ადიდასი“, „პუმა“ და „ოლ სტარი“ პირველად მის ტანზე ვნახე. სალათისფერი „06-ით“ დადიოდა. ყველა გოგო დათოიაზე იყო შეყვარებული. მისი სურათი, მარჯანიშვილის მოედანზე ფოტოატელიე რომ იყო, ბოლომდე ეკიდა ვიტრინაში.

მამამისი, ზაზა ბიძია, თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა, მაგრამ, მისი ჩამოსვლა დღესასწაული იყო: გაშლიდა სუფრას, შეგვეყრიდა დათოიას ძმაკაცებს, დაჯდებოდა თამადად და ისე გაგვეჭყებდა ღვინით, რომ ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით. თვითონ, ზაზა ბიძიას, სიმთვრალეს მარტო იმით ვამჩნევდით, რომ ცოლს უწყებდა ხუმობას:

- ჯუტუია, აბა, თუ გამეიცნობ: ოთხი ფეხი აქვს, კუდი აქვს, ერთგულია და ყეფავს - რა არისო?

- ძაღლიო! - უპასუხებდა ნათელა დეიდა.

- იცოდია, ჯუტუია, მაი შენ, იცოდია! - ეტყოდა ზაზა ბიძია.

- არა, დათოიას გეფიცები, არ ვიცოდია! - გულზე ხელს დაიდებდა ნათელა დეიდა.

ზაზა ბიძია ქუთაისში სამშენებლო ტრესტის მმართველი იყო. მთელი ქუთაისი პატივს სცემდა. იცოდა ხალხის შეფასება, და-

ფასება და პატივისცემა. დიდი ფულის პატრონი იყო. დათოია ხუმრობდა:

- მამაჩემმა თბილისიდან ქუთაისამდე ლიანდაგებზე 25-მანეთიანები რომ დაალაგოს, 5-სანტიმეტრიანი „სლოი“ გამოვაო!

ზაფხულის არდადეგებზე, როგორც წესი, ორი კვირით ჩემს სოფელში მივდიოდით და, მერე ორი კვირით - მასთან, ქუთაისში. დათოიას სახლის დარბაზში დიდი სუფრა იშლებოდა

- მოდი, ბიჭო, კულტურას გაზიარო, ხალხი გაგაცნოო! - მეხუმრებოდა დათოია. მომატარებდა ქუთაისის ღირსშესანიშნაობებს: - ე, ბიჭო, ეზიარე კულტურასო!

- კაი, დათოია, რამდენჯერ უნდა მაჩვენო, ზეპირად ვისწავლო! - ვეუბნებოდი მე.

- არ განყენსო! - იცინოდა. თუ „ტორპედო“ თამაშობდა, სტადიონზე მივდიოდით. ფეხბურთს ვინ უყურებდა, ყურებდაცქვეტილი ვუსმენდი გულშემატკივრებს:

- გეინძერი, ბიჭო, თორემ, ძალღს ხე ეგონები და მოგაშარდავსო! - უყვიროდა ფეხბურთელს ერთი გულშემატკივარი,

- ნამოაყენეთ, ბალახი არ გადანვასო! - ნუხდა მეორე, ნითურთმიანი ფეხბურთელის მოედანზე ნაქცევისას.

- აგი რავა ტროსზე გამობმული ძალღივით დარბისო! - ჩიოდა მესამე.

სახლში მისულებს ისევ გაშლილი სუფრა გვხვდებოდა - აბა, ზაზა ბიძია დღეს ხომ არ ჩააგდებდა?! მე და დათოიას ნაბახუსევზე თავები გვისკდებოდა, ის კი დილის 8 საათზე მძლოლს მიუჯდებოდა გვერდით და სამსახურში მიდიოდა. დათოიამ მომიყვა:

- ეს მძლოლი გვარად დესპოტიშვილია. მამაჩემს ახალი აყვანილი ჰყავდა სამსახურში, სადღაც დალია და მძლოლმა სახლში წამოიყვანა. გზაში გამოჰკითხა: ცოლ-შვილი გყავსო? რამდენი წლის ხარო? გვარი დავინყებია და - თქვენ, სადისტაშვილები, საიდან ხართო? - უკითხავს.

თბილისში წამოსვლის წინ რამდენიმე დღით ზღვაზე მივ-

დიოდით. მოვივლიდით მთელს სანაპიროს ბათუმიდან გაგრამდე, რუს გოგოებს ქართულ ტემპერამენტს ვაგრძნობინებდით და დაოსებულები ვბრუნდებოდით, მე - თბილისში და დათოია - ქუთაისში.

უცებ გაირბინა ინსტიტუტის წლებმა. მე თბილისში გამანანილეს, დათოია - ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, მაგრამ მამამისმა ჩაუნყო და სამტრედიის საკონსერვოს „სას-ტავში“ ჩასვა. მალე ცოლი მოიყვანა. ჩავედი ქორწილში, გადაირივნენ სიხარულით. საჩუქარი გადავეცი.

- მაგას, **Angie**-ს ფირფიტა გეჩუქებინა, უფრო გამიხარდებოდაო! - იხუმრა დათოიამ.

- **Hey Jude**-ში გაგიცვლიო! - ვუპასუხე მე.

- ხომ იცი, ნაჩუქარიო! - ორივეს გაგვეცინა. სამი დღე ვიქეიფეთ ქორწილში, გვერდიდან არ მომცილებია.

- ბიჭო, მე ხომ არ მიპირებ რამეს, წადი, ცოლს მიხედო! - ვუთხარი ხუმრობით.

- შენ წახვალ, ცოლი აქ დამრჩებაო! - მიპასუხა დათოიამ.

გავიდა წლები, ტელეფონით თუ შევეხმიანებოდით ერთმანეთს. ერთხელ, ცოლ-შვილით ბათუმში დასასვენებლად მიმავალმა, ქუთაისში შევეუარე. სახლში არ დამხვდა, გვიან მოვიდა. არ მომეწონა: თვალები თითქოს შუშისა ჰქონდა, დამძიმებულ ქუთუთოებს ძლივს ერეოდა, ცოლი გასცილებოდა. ნათელა დეიდას ვკითხე,

- რა მოუვიდაო?

- ვილაც მორფინისტების წრეში მოხვდა, გაგვანადგურა, თავი არსად გამოგვეყოფა, თვეში ერთხელ გვინევს მაგის ციხიდან დახსნა, ახლა სახლს ვყიდითო!

- ბიჭო, სულელი ხომ არ ხარ, შენ და ნარკომანობაო?! - ვეცი დათოიას.

- ეგ როგორ მაკადრე, ამას შენგან არ ველოდი, დედაჩემს ნუ უსმენ, ეჩვენებაო!

- მეც მეჩვენებაო?

- ხო, შენც გეჩვენებაო! - შეგონებას აზრი აღარ ჰქონდა. მეხვენა-დარჩიო, მაგრამ დავჯექი მანქანაში და უკან, თბილისში, დავბრუნდი - ბათუმში დასვენების ხალისი დამეკარგა.

ზაზა ბიძიას გასვენებაში ვნახე დათოია, ველარ ვიცანი - სახე დაგრძელებოდა, კბილები ჩასცვენოდა. ჩემი დანახვისას უემოციო, დამჭკნარ სახეზე არც სიხარული გამოხატვია, არც წყენა, მხოლოდ დაძაბულობა ეტყობოდა - ეგონა, შეგონებას დავუნყებდი. არაფერი მითქვამს, მივუსამძიმრე.

* * *

ღვიძლის ციროზით გარდაიცვალა დათოია, წინა ზაფხულს გავასვენეთ ქუთაისის გარეუბნის „ბარაკიდან“. გვირგვინი არ მიმიტანია, Angie-ს ფირფიტა დავუდე თავთან, ნიშნად წმინდა მეგობრობისა.

- დათოია, ძამა, ეს წაილე, გამოგადგებაო! - ვილაცამ შპრიცი დაადო Angie-ს ფირფიტას.



სოფლის მავანებლები

ერთი მამალი და ერთი ძალი დაძმობილდნენ.

- მოდი, სოფელი ავაშენოთო! – უთხრა ძალს მამალმა.
- როგორ ავაშენოთო? – ჰკითხა ძალმა.
- მე კენკრას მოვაგროვებ, შენ დაწურე, და სოფელიც აშენდებო! – უპასუხა მამალმა.

* * *

ბიზნესის პირველი მამოძრავებელი ძალა – ინტერესი.

* * *

წავიდნენ ტყეში. მოაგროვა კენკრა მამალმა, მოიტანა. ძალმა სანახელში ჩაყარა, დაწურა. წვენი ცოტა გამოვიდა. გაყიდეს და ფული აიღეს. უფრო მეტი კენკრა მოაგროვა მამალმა, მეტი დაწურა ძალმა, მეტი წვენი გაყიდეს, ფულიც მეტი აიღეს.

* * *

ბიზნესის მეორე მამოძრავებელი ძალა - სიზარმაცე.

* * *

დაეზარა მამალს კენკრის შეგროვება, შეკრიბა ჩიტები.

- ჩიტებო, ფული გინდათო?
 - გვინდაო!
 - კენკრა შეაგროვეთ, მოიტანეთ და ფულს მოგცემთო! – შეაგროვეს ჩიტებმა კენკრა, მთები დააყენეს.
- დაეზარა ძალს სანახელში დგომა და კენკრის ჭყლეტა, შეკრიბა მხეცები.

- მხეცებო, ფული გინდათო?
- გვინდაო!
- სანნახელში ჩადექით, კენკრა დაწურეთ და ფულს მოგცემთო! - ჩადგნენ სანნახელში მხეცები, დაწურეს კენკრა, წვენი იმდენი გამოვიდა, სად წაეღოთ, აღარ იცოდნენ.
- საიდანღაც მოცუნცულდა მეღია, მამალს ჰკითხა:
- რას აკეთებთო?
- სოფელს ვაშენებთო!
- სოფელს როგორ აშენებთო?
- მე კენკრას ვაგროვებ, ძალლი წურავს, და სოფელიც შენდებო!

* * *

ბიზნესის მესამე მამოძრავებელი ძალა – სიხარბე.

* * *

იფიქრა მეღამ:

- ეს მამალი კი შაქრად შემერგებოდა, მაგრამ ამ საქმიდან მეტს გამოვადნობო! - მამალს უთხრა:
- წვენის გაყიდვას ჩემს თავზე ავიღებო! – მოითათბირეს მამალმა და ძალღმა და დასთანხმდნენ.
- შეაგროვა მეღამ მეღა-ტურები, თავის ცოლ-შვილებიანად.
- თუ დამეხმარებით, დიდი კაცია რომ გავხდები, გვერდით დაგიყენებთო!
- დაგეხმარებითო! - უთხრეს მეღა-ტურებმა.
- მაშინ, რაც ტყეში მოქეიფების დატოვებულ ბოთლები ნახოთ, აქ მოიტანეთო! – შეგროვდა ბოთლები. ჩამოასხმევინა მეღამ წვენი ბოთლებში, მიარტყა იარლიყი – „მელიის ნობათი“, მისცა მეღა-ტურებს და გააყიდინა. ყიდულობდნენ „მელიის ნობათს“ ტყის ბინადრები, შვილებს ასმევდნენ, რომ კარგი მადა ჰქონოდათ. ცოტა ხანში, მამალი და ძალლი აღარავის ახსოვდა,

მთელ ტყეს მელიის სახელი ეკერა პირზე.

გადმოსახლდნენ თანამშრომლები წვენსანურთან ახლოს, გაშენდა სოფელი. აირჩიეს მელა სოფლის გამგებლად. მოისვა მელამ მელა-ტურები გვერდით და მართავდნენ სოფელს.

– ჩვენ რაღა ვქნათო? – ჰკითხა ძაღლმა მამალს.

– წავიდეთ და სხვა სოფელი ავაშენოთო! – უპასუხა მამალმა.

– როგორ ავაშენოთო?

– მე ხილს მოვაგროვებ, შენ არაყი გამოხადე და სოფელიც აშენდებაო!

– მერე, მელაო? – ჰკითხა ძაღლმა.

– ჩვენ დავიწყით, და მელიები თვითონ მოვლენო! – უპასუხა მამალმა.



საჩუქარი

ჯიბიდან სურათი ამოიღო – ცხენებშებმული ფაეტონიდან ტყუპი ფერია იყურება, ერთნაირ თეთრ კაბებში გამონწყობილი, შავ დალალეებზე თეთრი ბაფთებით. მკერდზე მიიკრა, ეამა, თითქოს გოგონები ჟივილ-ხივილით ჩასწოლიან მამიკოს ლოგინში და ერთმანეთს მამის მკერდიდან ბალნის წინკნაში ეჯიბრებიანო.

* * *

ჩერქეზოვზე დაიბადა ერთ მინგრეულ სახლში, სახურავად „ბრეზენტი“ რომ ჰქონდა გადაფარებული და ავდარში, შინ და გარეთ ერთნაირად წვიმდა.

დედა მის მშობიარობას გადაჰყვა.

– შენი ბრალია, დედა რომ მოკვდაო! - უფროსი ძმებისგან თავში ტყაპუნი ყოველდღე გამონეროილი ჰქონდა. მამას უყვარდა, მაგრამ მისთვის სად ეცალა, დილიდან ღამემდე თბილისის ქუჩებში ფაეტონით კლიენტებს დაატარებდა. დედინაცვალს ეცოდებოდა, უფროს გერებს უჯავრდებოდა:

– დაანებეთ თავი, ცოდოაო!

დღისით სკოლაში დადიოდა, ღამე კი გვიანობამდე მამას ეხმარებოდა ცხენების დაბინავებაში. რვა კლასის ატესტატი აიღო და ცოცხალი თავით სკოლაში აღარ წავიდა. არც მამამისს დაუძალეპია მაინცდამაინც. სამსახურში შეგირდად მიაღებინა, შემოისვა კოფოზე და ერთად დახრიგინებდნენ ძველი თბილისის ვიწრო ქუჩებში.

მამა, რადგან დამხმარე იშოვა, სასმელს მიეძალა. ჩამოხტებოდა სადმე დუქანთან და სამუშაოდ შვილს ატანდა ფაეტონს.

გაიზარდა, დავაჟკაცდა, ცოლი მოიყვანა – რაჭველი გოგო, ხაბაზის ქალიშვილი. საღამოობით გაუვლიდა არდონის ქუჩაზე

სიამამს საცხოვრებელ და სახლში ორი ცხელი პური მოჰქონდა.

მოკვდა მამა, ღვიძლი დაეშალა, დამარხეს.

სახლი უფროს ძმებს დარჩათ, ხელობა – უმცროსს. წაიყვანა ცოლი, გამზრდელი დედინაცვალი და ნავთლულში გადავიდა ნაქირავეებში.

* * *

ქერჩის ყურე. ჩვენები უკან იხევენ. მინა დულს, ზანზარებს. დაეცა, მგონი, ფეხშია დაჭრილი. წამოდგა, გაქცევა სცადა, ისევ დაეცა, გახობდა. ბიჭები სად არიან? ყველა დაიხოცა თუ მისთვის არა სცხელათ, თავის გადარჩენაზე ფიქრობენ?! სისხლით გაივსო ჩექმა, არაქათი გამოეცალა. გაჩერდა, გულაღმა გადაბრუნდა, ცას ახედა. ორ ღრუბლის ქულას დააცქერდა, თავისი გოგონებივით ფაფუკს და სპეტაკს. ჯიბიდან სურათი ამოიღო, გულზე მიიკრა.

თითქოს ხმაურმა იკლო. მასირებული დაბომბვა მორჩა. კანტიკუნტად ისმის ავტომატის ჯერი, გერმანელები წმენდენ ბრძოლის ველს დაჭრილებისგან. სიკვდილი მოდის ლურჯი თვალებით.

* * *

ნავთლულში გადასვლიდან ცოტა ხანში, ტყუპი გოგონა შეეძინა. მამის სიცოცხლე, ორი ფერია. ქმარი მეფაეტონობდა, ცოლი დედობდა, დედინაცვალი ბებიობდა, ბავშვები იზრდებოდნენ, სიამარი პურს უგზავნიდა. ხელფასი ყველზე ჰყოფნიდათ, დედინაცვლის პენსია ქირაზე და მეტი რაღა უნდოდა მოკრძალებულ ოჯახს. ცხოვრობდნენ ბედნიერად, სანამ ომი არ დაიწყო.

პირველივე ნაკადმა მოუწია. ცოტა ხანს „ზბორები“ გაიარა, რომ იარაღის ხმარება შესძლებოდა, მერე ნავთლულელ ბიჭებთან ერთად, ქერჩში საბრძოლველად მომზადებულ ქართულ დივიზიაში ჩანერეს და გამგზავრების წინ უკანასკნელად გაუშვეს სახლში ღამის გასათენებლად. მთელი ღამე თავისთან ეწვინა გოგონები და უსმენდა მათ მშვიდ, თანაბარ სუნთქვას.

* * *

ვილაცამ ხელიდან სურათი ააცალა, თითქოს ბავშვები მამიკოს ლოგინიდან წამოხტნენ და გაიქცნენო. შეაფრჟოლა, თვალი გაახილა – სიკვდილი ადგას თავზე, სურათი ხელში უჭირავს, ლურჯი თვალებით დაჰყურებს. ცელის მაგივრად ავტომატი მოუგდია მხარზე. თვალები დახუჭა, წყვილიაღში ჩაიძირა...

მიტოვებულ ბოსელში გაედვიდა თივაზე დაწოლილს. ფეხი სუფთად ჰქონდა შეხვეული შარვლის ნახევით. გვერდით იდო პური, ზემოდან კი შვილების სურათი კუთხეში მინანვრით: **Geschenk von meiner Tochter für Ihre Töchter** – საჩუქრად შენს გოგონებს, ჩემი გოგონებისგან.

* * *

ბერლინი, 1 მაისი 1945 წელი. რაიხსტაგზე 150-ე ქვეითი დივიზიის დროშა ფრიალებს. რაიხსტაგის გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა. ქალაქს ასუფთავებენ ფაშისტების იმ ნარჩენებისგან, რომლებიც არ ნებდებიან, ბინებში გამაგრებულან და ფანჯრებიდან ესვრიან მოწინააღმდეგეს.

სახურავჩამოქცეულ სახლში შევიდა. ორი ერთნაირი, ჩაცუცქული ქერა გოგონა ნანგრევებიდან ამოყვანილი დედის ცხედარს დასტიროდა. თავზე დაადგა. ოთხმა ლურჯმა, შეშინებულმა, ცრემლით ავსებულმა ზღვამ ამოხედა.

* * *

ჯიბიდან სურათი ამოიღო – ცხენებშებმული ფაეტონიდან ოთხი ფერია იყურება, ორი შავთმიანი და ორიც ქერა, ერთნაირ თეთრ კაბებში გამონყობილი, თავზე თეთრი ბაფთებით. მკერდზე მიიკრა, ეამა.



სარჩევი

იტალიური ეზო	6
მელიკო.....	14
ჩიტი.....	18
რიყე.....	21
ბორკილები.....	30
ნადარბაზევის ტბა	50
პიგმალიონი.....	61
დაბადება	65
ანომალია.....	68
სიმდიდრე	73
ძიძა.....	77
ლალატი.....	81
მგელი	87
მკვლელი	94
კოლექტიური გონი.....	96
ჟიზელი.....	99
იბერიის გაბრწყინება.....	104
ნადირობა.....	110
ქურთი	113
ასია.....	120
აღსარება	123
NATO	137
Angie.....	143
სოფლის მამუნებლები.....	148
საჩუქარი.....	151